# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 20 თებერვალი, 2007 წელი.

№ 32 (5633)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge | ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika | ფასი 50 თეთრი.




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ფუქილობით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.



## „უმრავლესობას იმიჯი სერიოზულად შეელახა“ 2

## წინაპრების ქვებზე წასმული ღორის ქონი

რეპლიკა 3 გულის ბუხარი

## „ნაციონალური“ „შცურმოჯშჩინა“

სეპარატისტები – სეპარატისტებზე 4

## მედროვეობის ეპიდემია

## დაიწყო მაგიური წიგნის „მოგვის დღიურის“ ბეჭდვა 7




## ინფლაციის მსხვერპლნი



კახა ბენდუქიძე



ბესო ჯუღელი



ოტია ჩართოლანი

## ქართველებს ქვა დაღმართში დაგვეწია 6

## აღიარების დრო დადგა 10



სახელმწიფო

● უმრავლესობა კი, ოპოზიციისგან განსხვავებით, ფიქრობს, რომ პრესას მოგების გადასახადისგან გათავისუფლება არ სჭირდება, რადგან კონკურენტუნარიან გარემოში უკეთ განვითარდება, ვიდრე სასათბურე პირობებში. უმრავლესობა დარწმუნებულია, რომ პრესისათვის მოგების გადასახადისგან გათავისუფლების მოთხოვნა პირადი ვიწრო პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარეობს და მასმედიის მხარდაჭერის მოსაპოვებლად არის გამიზნული





**◉ კანონმდებლები**

# ოპოზიცია ქუჩის აქციებით იმუქრება

**გუშინ პარლამენტის ბიუროს სხდომაზე ქონების საკუთრების თემაზე განცხადებები გაკეთდა. ეს ის თემაა, რაზეც თვით ოპოზიციური ფრაქციებიც ვერ შეთანხმებულან.**

„დემოკრატიული ფრონტი" ქონების საკუთრების საკითხზე ინტერფრაქციული ჯგუფის შექმნასთან დაკავშირებით მმართველი პარტიისგან ინფორმაციას მოითხოვს. კახა კუკავა მიიჩნევს, რომ ინტერფრაქციული ჯგუფის შექმნა ჯერჯერობით ისევ იდეის დონეზეა. მას ეჭვი ეპარება, რომ მმართველ პარტიას ნამდვილად სურდეს ისეთი ჯგუფის შექმნა, რომელიც კერძო საკუთრების საკითხებზე იმუშავებს. მოგეხსენებათ, კერძო საკუთრების დაცვის შესახებ კანონპროექტი დეპუტატებმა კახა კუკავამ, კოკა გუნცაძემ, გია თორთლაძემ და გია ცაგარეიშვილმა შეიმუშავეს, მაგრამ, მმართველი პარტიის წარმომადგენლებმა და მთავრობის წევრებმა განმარტეს, რომ ოპოზიცია, უბრალოდ, დროს ჩამორჩა და დღეს მსჯელობს იმაზე, რაზეც მთავრობამ მუშაობა კარგა ხნის წინათ დაიწყოო. კოლეგა ოპოზიციონერებს მოუთმენლობა მაშინ არც დავით გამყრელიძემ მოუწონა. „დემოკრატიული ფრონტი" კი მიიჩნევს, რომ ამ საკითხის გადაწყვეტა დროში გაიწელა — დღემდე ჯგუფის შემადგენლობა და ფორმატი ცნობილი არ არის. მათი თქმით, თუ დარწმუნდებიან, რომ მთავრობას ინტერფრაქციული ჯგუფის შექმნა არ სურს, მაშინ ქონების საკუთრებასთან დაკავშირებულ საკითხებზე დამოუკიდებლად იმუშავებენ. უფრო მეტიც, არ გამორიცხავენ, რომ პარლამენტიდან ქუჩაში გადაინაცვლონ და შეუერთდნენ იმ აქციებს, რომლებიც ქონების ხელყოფის გამო ქუჩაში მიმდინარეობს.



**„თუ ეს ჯგუფი შეიქმნება, მასთან ვითანამშრომლებთ. ჩვენი სურვილია, ეს საკითხები კომპრომისის წესით გადაწყდეს. თუ არადა, დამოუკიდებლად მოვახდენთ ჩვენი კანონპროექტის ინიცირებას. ამასთან, უფრო გავაძლიერებთ იმ კამპანიას, რომელიც პარლამენტის გარეთ მიმდინარეობს",** — აღნიშნავს კახა კუკავა.

„მრეწველები" უფრო იმედიანად არიან. მათი თქმით, ამ საკითხზე შეთანხმება მიღწეულია პრეზიდენტთან, პარლამენტის თავმჯდომარესთან და ამდენად, ინტერფრაქციული ჯგუფის შექმნის შესახებ, კონსულტაციები აუცილებლად გაგრძელდება. ამჯერად კი შეყოვნება, მათი აზრით, მხოლოდ იმან გამოიწვია, რომ პარლამენტის თავმჯდომარე საქართველოში არ არის.

მემარჯვენეების ერთ-ერთი ლიდერი მანანა ნაჭყებია დარწმუნებულია, რომ ჯობდა შექმნილიყო საგამოძიებო კომისია, რომელიც, რაც მოხდა, ყველაფერს გამოიძიებდა. მემარჯვენეები მიიჩნევენ, რომ ინტერფრაქციულ ჯგუფს არ უნდა ჰქონდეს კანონზე მუშაობის ფუნქცია. მან უნდა გამოიკვლიოს კონკრეტული საკითხები, უზრუნველყოს იმ ადამიანთათვის კომპენსაციის გამოყოფა, ვინც ამ კამპანიის დროს უკანონოდ დაიჩაგრა. კანონები კი, მემარჯვენეების თქმით, კომიტეტებმა უნდა განიხილოს.

საპარლამენტო უმრავლესობაში აცხადებენ, რომ ინტერფრაქციული ჯგუფის ამოცანა საგამოძიებო ფუნქციები არ უნდა იყოს. მან მხოლოდ და მხოლოდ ისეთ კანონმდებლობაზე უნდა იმუშაოს, რომელიც ქონების საკუთრებასთან დაკავშირებულ საკითხებს დამატებითი გარანტიებით გაამყარებს.

გუშინ ბიუროს სხდომაზე „მრეწველების" ერთ-ერთმა ლიდერმა ზურაბ ტყემალაძემ ორ საკითხზე ილაპარაკა. იგი მიიჩნევს, რომ დღევანდელი საგადასახადო კოდექსი ბუნებრივ დანაკარგებს არ ცნობს, რაც, მისი თქმით, მეწარმეს ძალიან უხერხულ მდგომარეობაში აყენებს.

**„მეწარმე დამნაშავე გამოდის. მან უნდა აანაზღაუროს ეს დანაკარგი. ეს უნდა ჩაეთვალოს რეალიზაციაში. არც ერთ დარგში ასეთი რამ არ ხდება",** — განაცხადა ზურაბ ტყემალაძემ. იგი საგადასახადო კოდექსში არსებული უზუსტობის შეცვლას ითხოვს. მისი განმარტებით, წარმოების ბუნებრივი დანაკარგი კოდექსში გათვალისწინებული არ არის. მისი მეორე ინიციატივა — სასამართლო ბაჟის შემცირებაზე, ჩაკვდა. მეტიც, ტყემალაძის თქმით, ეს გადასახადი საპარლამენტო უმრავლესობამ ოპოზიციის ბოიკოტის დროს ათჯერ გაზარდა.

**მზია გელენავა**

**◉ ინფორმაცია**

## პარტნიორობის პერსპექტივა

**არაბეთის გაერთიანებული საამიროების, რას ალ-ხაიმაჰის საამირო და საქართველო ბიზნესის სფეროში პარტნიორობაზე შეთანხმდნენ. ეს საქართველოში უძრავი ქონების სფეროში 817 მილიონი აშშ დოლარის ინვესტირებას ითვალისწინებს.**

გარიგება რას ალ-ხაიმაჰის მმართველის მოადგილემ, შეიჰ საუდ ბინ საქრ ალ ქასიმმა და საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა განიხილეს. ეს უკანასკნელი 15-17 თებერვალს არაბთა გაერთიანებულ საამიროებს სტუმრობდა.

შეთანხმება ითვალისწინებს თბილისში 2 მილიონ კვადრატულ მეტრზე საცხოვრებელი ფართის — „თბილისის სიმაღლეები" მშენებლობას და ასევე უმსხვილესი სავაჭრო ცენტრის მშენებლობას 150 000 კვადრატულ მეტრზე.

შეთანხმება ასევე ითვალისწინებს საქართველოს ტურიზმის სფეროში ინვესტიციების განხორციელებას.

— ის გამოცდილება, თუ როგორ მოახერხა საამიროებმა თავისი ეკონომიკა ენერგოდამოკიდებულიდან ფართოდ დივერსიფიცირებულ ეკონომიკაზე გადაეყვანა, დიდ იმედებს გვიმყარებს, რადგან თუ ეს შესაძლებელი გახდა აქ, საქართველოში და სხვა ქვეყნებშიც იქნება შესაძლებელი, — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

მან ასევე აღნიშნა, რომ საქართველომ და რას ალ-ხაიმაჰმა, სპარსეთის ყურეს ჩრდილოეთით მდებარე საამირატომ, მოახერხეს „დროის მოკლე პერიოდში მჭიდრო პარტნიორობის" დამყარება.

## თომას ჰამაბერგი უკმაყოფილოა



**ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლესი კომისარი თომას ჰამაბერგი საქართველოს პენიტენციალური სისტემის მუშაობით უკმაყოფილოა. მისი განმარტებით, საქართველოს ციხეებში არსებული მდგომარეობა ადამიანის უფლებათა დაცვის ელემენტარულ მოთხოვნებსაც არ აკმაყოფილებს.**

— ხშირ შემთხვევაში ქართველი პატიმრები, რიგ-რიგობით იძინებენ, იმის გამო, რომ საკნები უბრალოდ სავსეა პატიმრებით. ერთ პატიმარზე კი გაცილებით ნაკლები ადგილი მოდის, ვიდრე ეს ევროპაში მოქმედი საერთაშორისო ნორმებითაა გათვალისწინებული, — ამბობს ევროკომისარი და დასძენს: ის, რომ ამა თუ იმ დანაშაულის გამო ადამიანებს თავისუფლება აქვთ აღკვეთილი, არ ნიშნავს იმას, რომ ციხემ ისინი უნდა დაასავადოს და მათი ჯანმრთელობა შეარყიოს.

თომას ჰამაბერგმა ასე ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველოში მის წინა ვიზიტთან შედარებით მდგომარეობა შეცვლილია.

— 2006 წლის ივნისში, როდესაც მე საქართველოში ვიმყოფებოდი, ციხეები ასე გადაჭედილი არ იყო, — დასძინა ევროკომისარმა ჰამაბერგმა.

**ХО-ЭОБ-ЭБО**

**◉ თავისუფალი პრესის მესაფლავენი**

# მანანა ნაჭყებია: უმრავლესობას იმიჯი სერიოზულად შეელახა

## ვინ და რატომ არ დაუჭირა მხარი ბეჭდვითი მედიისთვის შეღავათების დაწესებას?

**„მემარჯვენე ოპოზიციის" საკანონმდებლო ინიციატივას, ბეჭდვითი მედიისთვის საგადასახადო შეღავათების 2010 წლის 1 იანვრამდე დაწესების შესახებ, საქართველოს პარლამენტმა მხარი არ დაუჭირა.**

ამ გადაწყვეტილების მისაღებად 79 ხმა იყო საჭირო, მაგრამ მომხრე მხოლოდ 25 დეპუტატი აღმოჩნდა...

საკითხის ინიციატორს, ფრაქცია „მემარჯვენე ოპოზიციის" წარმომადგენელს მანანა ნაჭყებიას სწორ და დროულ გადაწყვეტილებად მიაჩნია 2004 წლის 8 დეკემბერს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მიერ პრესის მოგებისა და ქონების გადასახადისგან გათავისუფლების ინიციატივით გამოსვლა.

ის ფიქრობს, რომ ამ ორი წლის განმავლობაში, საქართველოს ეკონომიკას საგრძნობი წინსვლა არ ჰქონია და პრესის შეღავათებს, რითაც ის ფეხზე უნდა დამდგარიყო, არნახულმა ინფლაციამ შეუშალა ხელი.

ოპოზიციონერი დეპუტატის აზრით, 250 ათასი ლარი, რაც ბიუჯეტს შეიძლება დააკლდეს, თუ პრესა ქონებისა და მოგების გადასახადისგან გათავისუფლდა, წარმოუდგენელია, რომ მას სერიოზულ ზიანს მიაყენებს.

მანანა ნაჭყებია ამბობს, რომ ბალტიის ქვეყნებში პრესა გათავისუფლებულია დამატებითი ღირებულების გადასახადისგან; ასევე, პოლონეთის პრესაც რამდენიმე წლით სარგებლობდა საგადასახადო შეღავათებით.

უმრავლესობა კი, ოპოზიციისგან განსხვავებით, ფიქრობს, რომ პრესას მოგების გადასახადისგან გათავისუფლება არ სჭირდება, რადგან კონკურენტუნარიან გარემოში უკეთ განვითარდება, ვიდრე სასათბურე პირობებში. უმრავლესობა დარწმუნებულია, რომ პრესისათვის მოგების გადასახადისგან გათავისუფლების მოთხოვნა პირადი ვიწრო პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარეობს და მასმედიის მხარდაჭერის მოსაპოვებლად არის გამიზნული.



ფრაქცია „მაჟორიტარების" წევრის ნოდარ გრიგალაშვილის განცხადებით, მთელი ეს აჟიოტაჟი ყვითელი პრესისა და 2-3 აკადემიური გაზეთის მფლობელის ჯიბეების გასასქელებლად არის ატეხილი...

მმართველი პარტიის ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა — დემოკრატების" ლიდერმა მაია ნადირაძემ განაცხადა, რომ **„მედიის თემა პოლიტიკური სპეკულაციების საგნად იქცა".**

**„მთელი ამ რიტორიკის მიზანია, მედიის წარმომადგენლებისთვის ეთქვათ, ოპოზიცია თქვენს მხარეს ვართო. ისედაც თქვენს მხარეს არიან..."**

მანანა ნაჭყებიამ უმრავლესობის ლიდერის ამ განცხადებას ასე უპასუხა: **„იმ ადამიანებს, რომლებმაც ორი წლის წინათ პრეზიდენტის ინიციატივას მხარი დაუჭირეთ, დღეს იმიტომ არ გინდათ მისთვის მხარდაჭერა, რომ ბეჭდვითი მედია მრავალ თქვენს მხარდამჭერ რამეს არ წერს. მაგრამ, მიზეზს და სათავეს ამაში ნუ ეძებთ. მიზეზი და სათავე ჩვენი დღევანდელი ხელისუფლების პოლიტიკაში ეძებეთ..."**

ხოლო ფრაქცია „მემარჯვენე ოპოზიციის" წარმომადგენელმა მამუკა კაციტაძემ ნოდარ გრიგალაშვილს ჰკითხა: **„ამ ორი წლის განმავლობაში გაყვითლდა პრესა? ორი წლის წინათ, თქვენ ამ შეღავათს მხარი დაუჭირეთ. მაშინ პრესა ყვითელი არ იყო? და კიდევ ერთი, ბატონმა ნოდარმა ორი თვის განმავლობაში ამ კანონპროექტის გარშემო მიმდინარე პროცესს „გაგანია" უწოდა. მაგრამ ორი წლის წინათ დაწყებულ ამ „გაგანიას" პრეზიდენტის სიტყვა ჭექა-ქუხილად მოჰყვა. ვერ გავიგე, ჩვენი ნათქვამი „გაგანიაა" და პრეზიდენტის სიტყვები „გაგანია" არ არის?**

**ეს ინიციატივა პრეზიდენტის ინიციატივად გაფორმდა. მინდა ბატონ პრეზიდენტს მივმართო — დღესაც გაფორმდეს ეს თქვენს ინიციატივად, გააგრძელეთ ეს შეღავათი და მერე შემახედეთ ბატონი ნოდარისთვის (და არა მხოლოდ მისთვისძ, როგორ დაეთანხმება ამ „გაგანიას"...**

სხდომის დასრულების შემდეგ, ქალბატონმა მანანა ნაჭყებიამ უიმედოდ გვითხრა, რომ მეორე და მესამე მოსმენითაც კანონპროექტი ჩავარდება, რადგან უმრავლესობა პოზიციას არ შეიცვლის: **„ჩავარდება, მაგრამ ერთი რამ ცხადია — უმრავლესობას იმიჯი სერიოზულად შეელახა. მათი გამონათქვამები არაობიექტური და არაარგუმენტებული იყო, ყველა მიხვდა, რომ ობიექტური, სამართლიანი პრესის, მართლაც, ეშინიათ.**

**ისინი გრძნობენ, რომ ამ ორი წლის განმავლობაში, შეღავათების მიცემის შემდეგ, პრესა კი ვერ მოისყიდეს, პირიქით — მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო: პრესამ ობიექტურობას არ გადაუხვია. სწორედ ამიტომ აღარ აინტერესებთ ობიექტური პრესა და მისთვის ხელშეწყობა",** — დაასკვნა „ახალი მემარჯვენეების" წარმომადგენელმა.

დაბოლოს, „ახალ მემარჯვენეებს" გამოსაქვეყნებლად მზად აქვთ ყველა იმ დეპუტატის სია, ვინც მხარი არ დაუჭირა მათ საკანონმდებლო ინიციატივას, ბეჭდვითი მედიისთვის საგადასახადო შეღავათების 2010 წლის 1 იანვრამდე დაწესების შესახებ.

**თამარ შაიშმელაშვილი**

დაანებეთ თავი საკუთარ ხალხთან ძალისმიერ, უკანასკნელი ინსტანციის ჭეშმარიტების ფლობის პრეტენზიით საუბარს, საქართველო არც თქვენით არ დაწყებულა და, მით უმეტეს, არც თქვენით დამთავრდება. მოეშვით ამ უაზრო ტაშ-ფანდურას, გიგანტომანიას, „შტურმოვშჩინას“, რაც ტოტალიტარული რეჟიმების დამახასიათებელია და არა დემოკრატიულისა, რაზედაც სიტყვით გაქვთ პრეტენზია. უფასო სასადილოებით ყელყელაობას, სჯობს ფასიანი სამუშაო ადგილების შექმნაზე იზრუნოთ, თორემ...



◉ რეპლიკა

# წინაპრების ქვებზე წასმული ღორის ქონი

**არის იდეა და არის ამ იდეის მოწოდების ფორმა. თავისთავად, რაგინდ კარგი იდეაც გქონდეს, თუ მას საზოგადოებას მიმზიდველად ვერ წარუდგენ, გამორიცხული არ არის, მკვდრადშობილიც კი აღმოჩნდეს.**

შეიძლება ითქვას: იდეა იგივე საქონელია, პროდუქციაა, რომელიც საგანგებოდ, მომგებიანად უნდა შეფუთო და, ისე მიაწოდო მყიდველს.

იდეის სათანადოდ „შეფუთვის“ საჭიროება ჯერ კიდევ სკკპ ცკ-ის პირველმა მდივანმა ღბადაღებულმა ხრუშჩოვმა აღმოაჩინა, როცა ერთ-ერთ მიტინგზე ასეთი ხატოვანი შედარება დაახეთქა: **„მარქსის იდეა ეს, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ თუკი ღორის ქონს წავუსვამთ, კიდევ უფრო უკეთესი იქნება“.**

მთავარი პირველთქმა იყო, თორემ მერე სულ რიხინ-რიხინით წავიდა: იშვება იდეა, წაუსვამენ ღორის ქონს და მიდიიი!

ასეთი ღორისქონწასმული იდეის ამბავი გამახსენა კვირას „რუსთავი-2“-ის „პოსტსკრიპტუმით“ მოსმენილმა ამბავმა.

საქმის არსი, მოკლედ, ასეთია: სომხეთში გადაუღიათ დოკუმენტური ფილმი „წინაპართა ქვები“ (თუ რაღაც ამის მსგავსიძ, რომელიც საქართველოში სომხების უფლებების დაკნინება-შელახვას, ფაქტობრივად, ამ ეთნოსის დევნა-შევიწროებას ეხება. ერთ-ერთ მთავარი „ჯილა“ ამ დაკნინება-შელახვა-დევნა-შევიწროებისა ეს არის: თბილისში, სანაპიროზე, „დედაენის“ პარკში, კედელი მოპირკეთებულია სომხური სასაფლაოდან წამოღებული ქვებით, რომლებზეც დღემდე იკითხება ცალკეული ასოებიო (რა თქმა უნდა, სომხური!ძ.

ისეთი არგუმენტია, ქვას გახეთქავს: ურჯუკ ქართველებს სომეხთა ძვალშესალაგი წაუბილწავთ, საფლავის ქვები აუყრიათ და სამშენებლო მასალად გამოუყენებიათ!..

მარტო ეს ერთი მაგალით-არგუმენტი კმარა, რომ სომხეთის საზოგადოება აალელვოს და სიძულვილით განაწყოს „კ ბრატსკომუ გრუზინსკომუ ნაროდუ“.

იქნებ ამიტომაც არის, რომ ეს დოკუმენტური ფილმი დღეს სომხეთში უპოპულარესი ყოფილა, ვიდეოკასეტებს თურმე პირდაპირ იტაცებენ.

აქ თითქოს სათქმელი, თავის გასამართლებელი არაფერი უნდა გვქონდეს. მაგრამ... მაინც გვაქვს. ყოველ შემთხვევაში, ვცდი.

ჯერ ერთი, როგორც შევატყვე, ფილმში ისეა საქმე წარმოდგენილი, თითქოს ეს საფლავთწაბილწვა აგერ ახლა, 2000-იან წლებში ხდება. თითქოს ქართველები სომხურ სასაფლაოს შესევიან და მოუოხრებიათ.

არ იყო, ძმებო სომხებო, ასე. და ახლავე მოგახსენებთ რატომაც, ანუ, სინამდვილეში როგორც იყო.

დარწმუნებული ვარ, თბილისში ერთი ათი სომეხი (სომხეთისძ ტელეოპერატორი მაინც მუშაობს. ჰოდა, მათ ვთხოვ, თავიანთი აპარატებით ყურადღებით ჩაუარონ სამაგრ კედლებს ცირკიდან ჩელუსკინელების ხიდამდე და დააკვირდნენ მოპირკეთების ქვებს — ბევრზე შეამჩნევენ ქართულ ასოებს, გადაიღონ და აჩვენონ სომხეთის საზოგადოებრიობას (თუ თვითონ ვერ მოახერხებენ, მე ვუმეგზურებძ. ეს ის საფლავის ქვებია, რომლებიც 1930-იან წლებში, როცა ეს ქუჩა გაიჭრა, მისი კეთილმოწყობისათვის მოზიდეს ვერის სასაფლაოდან, დღეს რომ ვერის პარკი ჰქვია (ყოფილი კიროვის სახელობის პარკიძ. ძველი, დიდი სასაფლაო „გააუქმეს“ და ბაღად აქციეს. და ახლა, როცა სიცხით შეწუხებული მოქალაქენი ამ პარკის ჩრდილს ეფარებიან ხოლმე, ბევრმა არც იცის, რომ წინაპართა ძვლებზე გადიან (სხვათა შორის, იქ დღემდე შემორჩა მხოლოდ დანიელ ჭონქაძისა და ლავრენტი არდაზიანის საფლავებიძ.

კიდევ ერთი: ჩემი თაობის თბილისელებს ახსოვთ, როცა 1960-იან წლებში კიროვის პარკში შადრევანს აშენებდნენ, რამდენი თავის ქალა და კუზოს ნარჩენი ამოჰყვა ექსკავატორის ციცხვს, ან როცა დიდუბის ეკლესიასთან გზას აკეთებდნენ, რა მკრეხელურად ხელჰყვეს განსასვენებლები. **არადა, ვერისა და დიდუბის სასაფლაოები ძირითადად ქართული იყო!**

ისე რომ, გასული საუკუნის პირველი ნახევრის კომუნისტურ ულმერთობას „ქართველებს“ და „საქართველოს“ ნურავინ დააბრალებს (დარწმუნებული ვარ, კომუნისტურ ხანაში ასეთი ანტიქრისტიანული ქმედებები სომხეთშიც ხდებოდაძ, მით უფრო, ამას გუშინდელ და დღევანდელ საქმედ ნუ წარმოაჩენს და ღორის ქონს ნუ წაუსვამს სამწუხარო სინამდვილეს — სომხური საზოგადოების ერთ ნაწილში ჩაბუდებულ ქართველთმოძულეობას.

ეს ამ ორი ხალხის, ორი ძმის ერთმანეთის მხარში დგომის მრავალსაუკუნოვან, დიდებულ ისტორიას არ ეკადრება.

**სანდრო ალექსიძე**

◉ კონფლიქტის ზონა

# აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს განცხადება

***საქართველოს ხელისუფლებამ, საერთაშორისო თანამეგობრობამ, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებათა დაცვის საერთაშორისო ინსტიტუტებმა ერთმნიშვნელოვნად გამოხატეს პოზიცია აფხაზეთის ტერიტორიაზე სეპარატისტული რეჟიმის მიერ 2007 წლის 11 თებერვალს ჩატარებული ე.წ. ადგილობრივი მმართველობის ორგანოების არჩევნებთან დაკავშირებით და ისინი სცნეს აფხაზეთის მოსახლეობის ორი მესამედის მონაწილეობის გარეშე ჩატარებულად, იურიდიული ძალის არმქონედ.***

ამ კონტექსტში ტრადიციული, ცინიზმითა და პოლიტიკური თავხედობით გაჯერებული განცხადება გააკეთა რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტრომ, რომელშიც მოიწონა აფხაზეთში ჩატარებული არჩევნების დემოკრატიულობის ხარისხი და, შესაბამისად, თვითგამოცხადებულ რესპუბლიკაში ამომრჩევლების ნების თავისუფლად გამოხატვის შესაძლებლობისადმი პატივისცემა გამოხატა.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო უკიდურეს შეშფოთებას გამოთქვამს იმის გამო, რომ რუსეთის ფედერაცია, თავისი ნეოიმპერიული ზრახვებიდან გამომდინარე, აგრძელებს აფხაზეთის პრობლემატიკის გარშემო დაძაბული ვითარების ესკალაციას, რაც, უპირველეს ყოვლისა, სეპარატისტების ყველა უკანონო პოლიტიკური აქტის ჩატარებისადმი დაუფარავ მხარდაჭერაში გამოიხატება. ამის ნათელი დადასტურებაა რუსეთის საგარეო საქმეთა უწყების განცხადებაში 11 თებერვლის არჩევნების 4 მარტს დანიშნული სეპარატისტთა სახალხო კრების არჩევნებისათვის მზადების წარმატებულ რეპეტიციად მოხსენიება. აღნიშნული დოკუმენტი თავისი ფორმითა და შინაარსით არის შეურაცხმყოფელი და პირდაპირი მუქარის მატარებელი გალის რაიონის ტერიტორიაზე ამჟამად მცხოვრები მოქალაქეების მიმართ. კონფლიქტის ზონაში მცხოვრებ ქართული ეროვნების მოსახლეობას სრულად აქვს გაცნობიერებული სეპარატისტთა მსგავსი პოლიტიკური ნიშნის მატარებელი ფარსების მიზანი, რომ მათი მოქალაქეობრივი პოზიციების გამოხატვაზე ვერავითარ გავლენას ვერ მოახდენს ე.წ. ადგილობრივი ადმინისტრაციისა და გარეშე რეაქციული ძალების უკვე ნაცადი ხრიკები, მათ შორის მუქარისა და ფიზიკური განადგურების მცდელობებიც კი.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო გამოთქვამს რწმენას, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა, საერთაშორისო პოლიტიკური და არასამთავრობო ორგანიზიციები ადეკვატურად შეაფასებენ აფხაზეთში/საქართველო, შექმნილ რეგიონისთვის ერთობ ფეთქებადსაშიშ სიტუაციას და საბოლოოდ ამხელენ მისი ესკალაციის სისტემატურ მცდელობაში შემჩნეულ ძალებს.

**აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო**

№ 32. სამშაბათი, 20 თებერვალი, 2007 წელი.

◉ გულის ბუხარი

# „ნაციონალური“ „შტურმოვშჩინა“,
## ანუ „სოფლის შენებას რა უნდა“

**ნამდვილად არ მინდა, რომ ქვემოთ თქმულის გამო მავანმა „ჩასაფრებულად“ ჩამთვალოს, მაგრამ რა ვქნა? ის, რაზეც მსურს საუბარი, სამწუხაროდ, ეპიზოდი არ არის. ეს უკვე ტენდენციაა ჩვენი ხელისუფლების ქმედებისა. მხედველობაში მაქვს ამა თუ იმ „მრგვალი“, გინდა „ღირშესანიშნავი“ თარიღისთვის, რაიმე ობიექტის ფაცი-ფუცით შენება და საზეიმო გახსნა, თუ ამოქმედება.**

რომელი ერთი გავიხსენო: თუნდაც ნატახტარის ლუდის ქარხანა ავიღოთ, რომელიც პრეზიდენტმა საზეიმოდ გახსნა. წითელი ლენტი გაჭრა და ღილაკზე თითიც დააჭირა. როგორც შემდეგ ავი ენები ამბობდნენ, თურმე იმ დროს წყალი რომ წყალია, ის არ იყო ქარხანაში შეყვანილი და პრეზიდენტის საამებლად რამდენიმე ბოთლი ჩამოასხეს. ქარხანამ კი მოგვიანებით დაიწყო სრულყოფილი მუშაობა. ან თავისუფლების მოედანზე დადგმული ქანდაკება, როცა უკრაინის და ჩვენი პრეზიდენტების წასვლისთანავე აიყარა გრამატიკულად გაუმართავი ინგლისურ-ქართული წარწერები. და აი ახლა, გასულ კვირაში, სამი პრეზიდენტის მიერ საზეიმოდ გახსნილ თბილისის ახალ აეროპორტში, პირველივე წვიმისას წყალი ჩამოვიდა. კიდევ კარგი 7 თებერვალს, როცა წითელი ლენტი გაჭრა, დარი იყო, თორემ...

როგორ ჰგავს ყოველივე ეს ჩვენს ახლო, ბოლშევიკურ წარსულს, ე.წ. „შტურმოვშჩინას“. კომუნისტებსაც უყვარდათ „მრგვალი თარიღები“, რევოლუციის წლისთავები, წეთელი ლენტები, გიგანტომანია — მონუმენტები. ზემოთ თავისუფლების მოედანზე აღმართული ქანდაკება ვახსენე, რაც, სწორედ რომ, უადგილო მონუმენტალიზმია, თორემ ზოგადად წმინდა გიორგი რომ სჯობს ლენინს, ამაზე რომელი „ჭკვიანი“ იდავებს. თუმცა ერთსაც და მეორესაც ერთი საერთო მახასიათებელი აქვს. ორივე ზედმეტად მონუმენტური, ანუ დიდი იყო და არის, იმ მოედანთან შედარებით, რომელსაც ახლა თავისუფლების მოედანი ჰქვია. არქიტექტურას თავისი კანონები აქვს და, ამიტომ, თუ არა და გადით, ნახეთ, შეხედეთ მოედნის ნებისმიერი კუთხიდან და დარწმუნებით, რომ ქანდაკების სრულყოფილი აღქმა, „დანახვა“ შეუძლებელია სწორედ მისი ზედმეტად დიდი სიმაღლის გამო, მაგრამ ეს სხვა თემაა...

ხელისუფლება იმით ამაყობს, რომ საქართველოში სამშენებლო ბუმია. რა, მაინცდამაინც გადამთიელებს უნდა დავუკვეთოთ აეროპორტის შენება? ქართველებს არა გვყავს არქიტექტორები, ინჟინერ-მშენებლები? რამდენიც გინდა, მაგრამ ჩვენში შინაურ მღვდელს შენდობა როდის ჰქონია? შენ ფული თქვი, თორემ ქართველებს ნიჭი არ გვაკლია. თავის დროზე უნიკალური სპორტის სასახლე, გინდა „დინამოს“ სტადიონი ქართველი არქიტექტორ-მშენებლების გაკეთებული არ არის? არა, მაინცდამაინც უცხო ფირმა თუ გვინდა, თურქეთის მეტი არავინ არის მსოფლიოში? თუმცა მშენებლობას ვინლა ჩივის, „მალიარობასაც“ არ ენდობიან ქართველებს. აქაც თურქები დომინირებენ. იმიტომაც ააჭრელეს თბილისის ფასადები.

### ასე სოფელი არ აშენდება

უფრო სწორად კი არა ის და არა ისეთი, რაც და როგორიც ჩვენ გვინდა. ფაცი-ფუცით, მიფუჩეჩებით „პოტიომკინის სოფელს“ ვაშენებთ. რა ამბავია ამდენი წითელი ლენტების ჭრა-კერვა, ბუკი და ნაღარა? რა არის ეს, თუ არა ნეობოლშევიკური „შტურმოვშჩინა“ „ნაციონალების“ შესრულებით? ნამდვილად არა ვარ ჩემი ქვეყნის მტერი და გამიხარდება ამ ხელისუფლების წარმატებები, რომლის აპოლოგეტობას დღეს ვერავინ დამწამებს. დღეს, რადგან თავის დროზე, ისევე როგორც ბევრი ჩვენგანი, არა მარტო, რომ იტყვიან, ორივე ხელით მივესალმე, არამედ მათი მოსვლისთვის რაც შემეძლო ვაკეთე კიდეც ჩემი პროფესიიდან გამომდინარე. ამიტომ იმ დღეს, როცა ტელევიზიით აეროპორტის შენობის „ჭერის ჩამოქცევა“ გავიგე, მეწყინა. რადგან ზოგიერთივით არ მიმაჩნია, რომ რაც უარესი, მით უკეთესი, ნამდვილად არა მაქვს ბიოლოგიური ზიზღი ხელისუფლებისა. რასაც ვამბობ, მხოლოდ „მოყვარეს პირში უძრახეს“ პრინციპიდან გამომდინარე ვამბობ და...

### „კარგ მთქმელს კარგი გამგონე უნდა“

ამიტომ ბოლოს ისევ ხელისუფლებას მივმართავ. დაანებეთ თავი საკუთარ ხალხთან ძალისმიერ, უკანასკნელი ინსტანციის ჭეშმარიტების ფლობის პრეტენზიით საუბარს, საქართველო არც თქვენით არ დაწყებულა და, მით უმეტეს, არც თქვენით დამთავრდება. მოეშვით ამ უაზრო ტაშ-ფანდურას, გიგანტომანიას, „შტურმოვშჩინას“, რაც ტოტალიტარული რეჟიმების დამახასიათებელია და არა დემოკრატიულისა, რაზედაც სიტყვით გაქვთ პრეტენზია. უფასო სასადილოებით ყელყელაობას, სჯობს ფასიანი სამუშაო ადგილების შექმნაზე იზრუნოთ, თორემ...

„შენი არ გაცოდინა და სხვისი არ შეგასმინაო“, ეს არის ამ ხელისუფლების წყევლა, თუ მისი შესაფერი ანდაზა.

**დავით მხეიძე**

მთავრობის სამოქმედო ლოზუნგა – „გაიყიდოს ყველაფერი, რაც იყიდება“ – პრივატიზაცია აფხაზეთის ეროვნული უშიშროებისთვის საფრთხედ აქცია. უპირველესად, იმის გამო, რომ ეს პროცესი ფარულად, ღია აუქციონების, ინფორმაციის საჯაროობის გარეშე და მყიდველთა ვინაობის, მათი კაპიტალის წარმოშობის სახელმწიფო საიდუმლოების რანგში აყვანით წარიმართა



◉ ინფორმაცია

## ჩაკაბერიას ბედით ქიშმარია აღშფოთდა

გალის აფხაზური ადმინისტრაციის უფროსმა რუსლან ქიშმარიამ, აფხაზეთის გალის რაიონის სოფელ ბარღების ადმინისტრაციის უფროსის ფრიდონ ჩაკაბერიას ათწლიან პატიმრობას სპეციალური ბრიფინგი მიუძღვნა.

ქიშმარიას თქმით, ფრიდონ ჩაკაბერია, საქართველოს მიერ დაპატიმრებული პირველი აფხაზი პოლიტპატიმარია, რომელმაც სასჯელი მხოლოდ იმიტომ მიიღო, რომ აფხაზეთის „ხელისუფლებასთან“ თანამშრომლობდა.

– ჩაკაბერია საქართველოს ციხეში საკუთარი მოქალაქეობრივი პოზიციის გამო მოხვდა. ეს პოლიტიკური საქმეა. საქართველოს ხელისუფლებამ ამით დაანახა გალელებს თუ როგორ მოიქცევიან ისინი თუკი გალელი მოსახლეობა მშვიდობიან ცხოვრებას მოინდომებს, – განაცხადა ქიშმარიამ.

ქიშმარიამ ბრიფინგზე ისიც შეახსენა საქართველოს ხელისუფლებას, რომ აფხაზეთის ე.წ. ხელისუფლებამ, რამდენიმე დღის წინათ „ტერორიზმში ბრალდებული საქართველოს მოქალაქე ლევან მამასახლისი საკუთარი კეთილი ნებით გაათავისუფლა“.

მისივე ინფორმაციით, აფხაზეთის ხელისუფლებას აქვს ინფორმაცია, გალის რაიონის ე.წ. ცესკოს თავმჯდომარის დავით სიგუას საქართველოში ყოფნის შესახებ.

– იგი თბილისში იმყოფება და ჩვენ შეშფოთებულნი ვართ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობით, – ამბობს ქიშმარია და დასძენს, რომ აფხაზეთის „ხელისუფლება“ საქართველოთან კეთილმეზობლობისა და მშვიდობიანი თანამშრომლობისთვის მზადაა.

– ჩვენ მზად ვართ საქართველოს მშვიდობის ხელი გაუწოდოთ და მოვუწოდებთ მას კონფლიქტის მოგვარების ძალოვან მეთოდებზე უარი თქვას, – დასძენს ბალაფშის ე.წ. წარმომადგენელი გალის რეგიონში.

ჯი-ეიჩ-ენი

◉ სეპარატისტები – სეპარატისტებზე

# მედროვეობის ეპიდემია

## რა საერთო აქვთ ჩვენსა და აფხაზეთის ხელისუფალთ?

*რა საერთო შეიძლება ჰქონდეს ამჟამინდელ საქართველოს, ანუ მთლიანი საქართველოს იმ ნაწილს, რაზეც ქვეყნის საჭეთმპყრობელთა ძალაუფლება ვრცელდება და ორ სეპარატისტულ წარმონაქმნს – აფხაზეთსა და ე. წ. სამხრეთ ოსეთს? სახელმწიფოებრივად, მათი ინტერესები მართლაც ყრუდ გამიჯნულია, მაგრამ ხელისუფალთ საერთო ის ოქროთი დასაპალნებული სახედარი ჰყავთ, ფილიპე მაკედონელის თქმით, ნებისმიერი სიმაღლის გალავანს რომ გადაახტება, ანუ, გაყიდული სახელმწიფო ინტერესები. ეს გამოთქმა იტევს მედროვეობას, ცრუ დაპირებებს, კორუფციას, კანონზე პირადულის ზეობას, ხშირად – კანონის განსახიერებასაც და ა. შ. ასე, რომ სახელმწიფო ინტერესების თუნდაც პოლარული დაპირისპირება სულაც არ უშლის ხელს ხელისუფალთ სახელმწიფოსა და თავისავე ხალხის ხარჯზე ხელის მოთბობაში – დანაშაულს არც საზღვრები აქვს და არც ეროვნება, ხოლო პრივატიზაცია, ინვესტიციები, გადასახადები, საკუთრებისა და სხვა რესურსების გადანაწილება კორუფციისთვის ყოველთვის ნოყიერ ნიადაგს ქმნიდა. მედროვეობა ასეთ ხელისუფალთა საერთო სენია და ისინიც ქაფავენ და ქაფავენ, ვიდრე, მათი დასარევლებული გონებით, საამისო დრო უდგათ.*

კოკოითს შიგნიდან, ჩვენდა გასაგონად მაინც, ჯერ ვერ უკიჟინებენ კორუმპირებულობას. უფრო გარედან შეუძახებენ ხოლმე. აფხაზეთში კი კლანურმა დაპირისპირებებმა უკვე ვულკანივით ამოხეთქა და სეპარატისტული ე. წ. ოპოზიცია სეპარატისტულსივე ხელისუფლებას ისეთ რამეებს წამოაძახებს, ტყუპის ცალივით რომ ჰგავს იმას, რაშიც ჩვენს ხელისუფალთ ადანაშაულებენ.

აფხაზეთის სახალხო ერთობის ფორუმი (ასეფ-ძ ქართველმოძულეობაში დე ფაქტო ხელისუფლებას კი აჭარბებს, მაგრამ მოქმედ ხელისუფლებას ხელს ადებს, წინასაარჩევნო დაპირებები პირწმინდად დაავიწყდაო. წინასაარჩევნო პერიოდში თავი წაგვჭამეთ, მენეჯერთა გუნდი გვყავს, სულ ტვინიკოსები, აფხაზეთის ეკონომიკას მალე ფეხზე მყარად დააყენებს და ლამის ელვისებური სისწრაფით განავითარებსო; თან კანონმდებლობის, სახელმწიფო ხელისუფლებისა და მართვის სანატრელ რეფორმებს გავატარებთ და სულ რაღაც სამ წელიწადში მინიმალური, და არა საშუალო, ხელფასი 5 ათასი რუბლი გახდებაო. მაგრამ რა? რუსეთში მინიმალური ხელფასი ათასი რუბლია, აფხაზეთში – 60. ხელისუფალთ არ მოსწონთ, როცა ამას ახსენებენ. თავს იკატუნებენ, 2010 წლისთვის მივართმევთ ხალხს 5-5 ათას რუბლსო (ოღონდ, იმაზე კრინტს აღარ ძრავენ, ეს მინიმალური ხელფასი იქნებაო-ძ. მაგრამ იმ ხნობისათვის ინფლაცია თითქმის სულ შეჭამს ამ ვითომც გაზრდილ ხელფასს, რადგან ახლა აფხაზეთში საშუალო ხელფასი 1900 რუბლია, სამომხმარებლო კალათის მინიმუმი – 2500, ხოლო 5 წლის მერე 5 ათასი რეალურად 2000 გახდება და, ამდენად, 5 წლის შემდეგაც ხელისუფლება ხალხს რეალურ ხელფასზე მხოლოდ და მხოლოდ 100 რუბლსღა წაუმატებსო.

ხელისუფლების განცხადებები ბიზნესისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნის შესახებ, პირუკუ შესრულდა – გადასახადებით ახრჩობენ მცირე და საშუალო ბიზნესს.

თურმე, აფხაზეთის ტელევიზიასა და სხვა სახელმწიფო მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს ბოლილა გასდიოდათ (დე ფაქტო პრემიერის მონაწილეობით-ძ „აფხაზეთის ხილის კომპანიის“ პროპაგანდით. ამ კომპანიას გაგრის რაიონის საკურორტო ზონაში 140 ჰექტარზე მეტი მიწის ნაკვეთი გამოეყო. მაგრამ მწარმოებლებმა ციტრუსების გატანა ვერ შეძლეს. პრემიერი კი აცხადებდა, მთავრობა კერძო კომპანიის ქმედებებზე პასუხს არ აგებსო. ჰოდა, ასეფ-ს სრულიად საფუძვლიანი ეჭვი აქვს, რომ მთელი ამ პროექტის ერთადერთი დანიშნულება ფულის გათეთრება და ჯერხანობით უცნობი ინვესტორებისთვის ყველაზე ნაყოფიერი მიწების გადაცემა იყო.

მთავრობის სამოქმედო ლოზუნგა – „გაიყიდოს ყველაფერი, რაც იყიდება“ – პრივატიზაცია აფხაზეთის ეროვნული უშიშროებისთვის საფრთხედ აქცია. უპირველესად, იმის გამო, რომ ეს პროცესი ფარულად, ღია აუქციონების, ინფორმაციის საჯაროობის გარეშე და მყიდველთა ვინაობის, მათი კაპიტალის წარმოშობის სახელმწიფო საიდუმლოების რანგში აყვანით წარიმართა. ცხადია, ხელისუფლება პრივატიზების კორუფციულ სისტემას იყენებს. იგი სრულიად უკანონოდ ყიდის ხალხის დოვლათს და თან ცინიკურად უცხადებს მას, ამას თქვენ არავინ გეკითხებათო. არადა, კომერციული საიდუმლოს შენახვის წესი, სახელმწიფო ქონების პრივატიზებაზე არ ვრცელდება, როგორც ამის დამტკიცებას პრემიერი ცდილობს.

პარლამენტი მთავრობის დამჯერი ორგანოა და ამ მორჩილებით თავადაც კარგა ისქელებს ჯიბეს. სწორედ მისი თანხმობით გაიყიდა აფხაზეთის ორი თვის ბიუჯეტის შესატყვის ფასად სანატორიუმი „მოსკოვი“ და ბიჭვინთის თევზის გადამამუშავებელი კომბინატი. ასეთი დიდმნიშვნელოვანი ობიექტების გაყიდვასთან ერთად, საკურორტო ზონების ყველაზე პერსპექტიულ ადგილებშიც ჩუმ-ჩუმად ყიდიან მიწებს. მალე ზღვის სანაპირო თითქმის მთლიანად აღმოჩნდება უცნობ ინვესტორთა ხელში. შესაძლოა, მათს შორის საქართველოს მოქალაქეებიც აღმოჩნდნენ, რაც ხელისუფლების კორუმპირობულობის გათვალისწინებით, სრულიად ადვილად შესაძლებელიაო, განსაკუთრებულად წუხს ასეფი. ყველაზე რეალური კი ისაა, რომ ხელისუფალნი, მესამე პირთა მეშვეობით, თავადვე იძენდნენ გამორჩეულად პერსპექტიულ ობიექტებს. ეს მით უფრო სარწმუნოა, რომ გალატაკებულ ქვეყანაში ერთობ თვალშისაცემია ჩინოვნიკების უზომოდ გამდიდრება.

იქ, სადაც კანონი არ კანონობს, სადაც უპირველესი დამნაშავე თავად ხელისუფლებაა, იგულისხმება, რომ სამართლის დაცვაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. ამიტომ გაუხსნელია ბევრი მძიმე დანაშაული. ე. წ. სამართალდამცავნი ხშირად აჭარბებენ უფლებამოსილებას. მეტიც – თავად არიან ჩართულნი დანაშაულში. კორუფციაში ჩაძირული სამართალდამცავნი თავს არ იწუხებენ მოქალაქეთა სიცოცხლის, ღირსების, ქონების დასაცავად.

ამ ფონზე კი ხელისუფლება საჯაროდ გაჰყვირის დანაშაულის წინაააღმდეგ ბრძოლაში მოპოვებულ წარმატებებზე, სწორედ იმ სამართალდამცავებს აჯილდოებს, ვინც ყველაზე მეტად არის გასვრილი ათასგვარ სიბინძურეში.

ასეა – ხელი ხელსა ბანს.

აი, მოკლედ ასე „ასურათხატებს“ „აფხაზეთის სახალხო ერთობის ფორუმი“ სეპარატისტული აფხაზეთის ამჟამინდელ ხელისუფლებას.

ახლა პასუხი თქვენზეა, ზემოთ რომ ვთქვი, ტყუპისცალივით ჰგავანან – რა აფხაზეთისა და რა ჩვენი ხელისუფალნი-მეთქი, გადავაჭარბე?

**კონსტანტინე გურგენიძე**

◉ მოსახლეობა

# დამაფიქრებელი სტატისტიკა

**სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, 1997 წელს საქართველოში 4558 400 ადამიანი ცხოვრობდა. ამ პერიოდიდან იწყება ქვეყნის მოსახლეობის მნიშვნელოვანი კლება. კულმინაციური მომენტი 2003 წელს დადგა: 1 იანვრიდან 2004 წლის 1 იანვრამდე ქვეყნის მოსახლეობამ 274 000 კაცით იკლო. ოფიციალური მონაცემებით, 2006 წელს მოსახლეობის რაოდენობამ 4 401 300 კაცს მიაღწია. ეს მაჩვენებელი 2005 წელზე 49500 კაცით, ხოლო 2004-ზე – 86100 კაცით მეტია.**

დღეისათვის, როდესაც სოფლებში, დაბებსა და რაიონულ ცენტრებში თითქმის აღარაფერი მუშაობს, მოსახლეობამ ლუკმა-პურის საშოვნელად დედაქალაქსა და რამდენიმე მსხვილ ქალაქებში იწყო ჩამოსვლა და დაფუძნება. დემოგრაფები შეშფოთებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ ქართულმა სოფლებმა დაცარიელება იწყეს. ერთ დროს აგრარული საქართველო რამდენიმე თავკომბალა ქალაქების ქვეყანად იქცა. სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, დღეისათვის ქალაქებში 2310400 ადამიანი ცხოვრობს, სოფლებში კი 2 090 900. შეიმჩნევა სოფლის მოსახლეობის ხარჯზე ქალაქების ზრდის ტენდენცია. 2004 წელს ეს მაჩვენებელი 189 800-ს უტოლდებოდა, 2005-ში – 193 500, 2006-ში კი მაჩვენებელმა 219 500-ს მიაღწია. ყველაზე დიდი მატება დედაქალაქში შეინიშნება. თბილისის მოსახლეობამ 1 103 300 მიაღწია. ქუთაისში მოსახლეობის რაოდენობამ 190 000 გადააჭარბა, მატებაა 5600. ქვეყნის ორი მსხვილი ქალაქის მოსახლეობის ზრდის ფონზე აშკარად თვალშისაცემია მცხოვრებთა რიცხოვნობის კლება რეგიონებში. სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით არავითარი მატება არ არის გურიაში, რაჭა-ლეჩხუმსა და მთიან რეგიონებში. მოსახლეობამ ბათუმში 2006 წლის 1 იანვრის მონაცემებთან 100 კაცით იკლო. – 122 100 კაცია.



საქართველოს მოსახლეობაში ქალების რაოდენობა 219 ათასით სჭარბობს მამაკაცებისას. დემოგრაფების მონაცემებით, ქვეყნის მოსახლეობაში 14 წლამდე მოზარდთა შორის ბიჭები აშკარად სჭარბობენ გოგონებს. 20-24 წლის ასაკში რაოდენობა თანაბრდება, 25-29 წლის ასაკში კი ქალები სჭარბობენ. სპეციალისტები ამ გარემოებას ქვეყანაში დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ განვითარებული უმართავი კრიმინოგენური ვითარებითა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებით ხსნიან. კრიმინალისტები შექმნილ სიტუაციას მძიმე კრიმინოგენური სიტუაციის შედეგით აფასებენ. ექიმი-ნარკოლოგები ყოველივეს ახსნას ქვეყანაში ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიის ფართოგანვითარებით ცდილობენ. მათი მონაცემებით, ამ სენისგან გამოწვეული შედეგებით ქვეყანაში წელიწადში 3,5-4 ათასი ადამიანი იღუპება. მათგან 75-80 პროცენტი 30 წლამდე ასაკისაა.

საქართველოში დღეს, ისე როგორც არასოდეს, დაბალია სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა – 73 წელი. მამაკაცებში ეს მაჩვენებელი 69-ს უტოლდება, ქალებში 76-ს. ფსიქოლოგები და ფსიქიატრები მიიჩნევენ, რომ მამაკაცებში ნაადრევი სიკვდილიანობა გამოწვეულია ქვეყანაში არსებული უაღრესად რთული სოციალურ-ეკონომიკური გარემოთი. უიმედობას, ცხოვრებასთან შეჭიდების ელემენტარული პირობების არ არსებობას ხშირად მამაკაცები თვითმკვლელობამდეც მიჰყავს.

ოფიციალური მონაცემებით, საქართველოში ძირითადად განვითარებულია სისხლის სისტემების, სიმსივნური, საჭმლის მომნელებელი, სასუნთქი ორგანოების, ენდოკრინული და ინფექციური დაავადებები. ექიმები მსგავს დაავადებებს განსაკუთრებით დაბალშემოსავლიან მასში აღნიშნავენ. მათი გადმოცემით, მას შემდეგ, რაც მკურნალობა ყველგან ფასიანი გახდა, სოციალურად შეჭირვებული მოქალაქეები თავს არიდებენ ექიმთან მისვლას. ექიმთან მხოლოდ მას შემდეგ მიდიან, როცა ავადმყოფობის მეტასტაზები მთელს ორგანიზმს მოედება და პაციენტის გადარჩენა შეუძლებელი ხდება.

ფასების მასობრივი ზრდის, დაუსაქმებლობის პირობებში ხელისუფლება მეთოდურად ამცირებს სამუშაო ადგილებს. ოფიციალური ინფორმაციით „ვარდების“ რევოლუციის შემდეგ უმუშევრობის დონე ყოველწლიურად 3-3 პროცენტით მატულობს. სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემების მიხედვით, ქვეყნის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო დონე სწრაფად უარესდება, მატულობს საარსებო მინიმუმის ზღვარი. 2004 წლის 1 იანვრისთვის შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცისთვის საარსებო მინიმუმი 87 ლარს, ხოლო საშუალო მომხმარებლისთვის 77 ლარს შეადგენდა. 2006 წლის ბოლოსთვის ეს მაჩვენებლები, შესაბამისად, გაუტოლდა 107 ლარსა და 60 თეთრს, და 95 ლარსა და 50 თეთრს. საარსებო მინიმუმი კიდევ უფრო მაღალია დედაქალაქში. 2004 წელს ის 101 ლარს შეადგენდა 2006 წლისათვის კი – 110 ლარს.

სტატისტიკის დეპარტამენტის ინფორმაციაში ერთადერთი ნათელი წერტილი ბავშვთა შობადობის მატებაა. 2006-ში 43902 ბავშვი დაიბადა, 2005-ში კი – 34792. კლებაა ჩვილთა სიკვდილიანობის მაჩვენებლებშიც. თუ 2005 წელს ყოველ ათას ახალშობილზე 24 იღუპებოდა, შარშან ეს რიცხვი 19-მდე დავიდა. მიუხედავად დადებითი ტენდენციებისა, ექიმი-პედიატრები შეშფოთებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ ნაკლები შემოსავლის მქონე მშობლები ჩვილებს იაფასიან, ხშირად სიცოცხლისათვის საშიში ხელოვნური საკვებით კვებავენ, რაც ბავშვის ორგანიზმზე გავლენას მოზარდობის ასაკში ახდენს.

ექსპერტების ვარაუდით, სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემები ვერ ასახავენ ქვეყანაში არსებულ რეალობას, ამის უმთავრეს მიზეზად კი მიიჩნევენ მოშლილ სარეგისტრაციო სისტემას, მოქალაქეთა უმეტესობა საცხოვრებელ ადგილს იცვლის ყოველგვარი რეგისტრაციის გარეშე. უსინდისო ჩინოვნიკების ხელშეწყობით ჩვენი თანამოქალაქეები ყალბი საბუთებით, სხვისი (ზოგჯერ გამოგონილი, გარდაცვლილებისძ გვარებით გადიან ქვეყნიდან. მიუხედავად მსგავსი ფაქტებისა, კანონის შესაბამისად არავინ დასჯილა.

**ზაზა ბილიხოძე**

● რუსეთში ნეგატიურად აღიქვამენ საქართველოს პროდასავლურ ორიენტაციას, ხოლო აფხაზეთში მეამბოხე, სეპარატისტული განწყობაა. საქართველო იზიარებს ევრო-ატლანტიკურ ფასეულობებს და იცავს მათ როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ



◎ ევროპის კარიბჭესთან

# ჭეშმარიტი პარტნიორობის საფუძვლები



*ცოტა ხნის წინათ უსაფრთხოების საკითხებისადმი მიძღვნილ მიუნხენის კონფერენციაზე რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის გამოსვლას მსოფლიოს მასმედიის საშუალებებმა დიდი ყურადღება დაუთმეს, რაც, თავისთავად, არ არის გასაკვირი. შეფასებები ნამდვილად არ იყო ერთგვაროვანი და არც ეს გახლავთ გასაოცარი. მსოფლიო საზოგადოებრიობისთვის, ალბათ, გაცილებით მოულოდნელი იყო პრეზიდენტის გამოსვლაზე თავად რუსეთის მასმედიის ერთი, საკმაოდ წონიანი ნაწილის, გარკვეულწილად ნეგატიური რეაქცია, რომელმაც იგი (ყოველგვარი ალეგორიების გარეშე) ნიკიტა ხრუშჩოვის გაეროში ცნობილ გამოსვლას შეადარა. ამ ფონზე, ვფიქრობთ, ერთობ საგულისხმოა ცნობილი ამერიკელი პოლიტიკური მოღვაწის, გავლენიანი არიზონელი სენატორის, რესპუბლიკური პარტიისგან ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტობის კანდიდატის ჯონ მაკეინის წერილი „რუსეთის პროვოკაციული თამაში საფრთხეს უქმნის დასავლეთ ევროპას“.*

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ევროპამ რუსეთს უნდა შეაგნებინონ, რომ მას დასავლეთთან ჭეშმარიტად პარტნიორული ურთიერთობების იმედი მანამდე არ უნდა ჰქონდეს, სანამ მისი მოქმედებები ევრო-ატლანტიკური დემოკრატიის ძირითადი ფასეულობების პრინციპულად საპირისპირო იქნება. წლეულს იანვარში მოსკოვმა კვლავ შეუწყვიტა ევროპას გაზის მიწოდება, რისი მიზეზი მეზობელ ბელორუსიასთან კონფლიქტი გახდა. **მანამდე კი ენერგორესურსებს იარაღად ხმარობდა საქართველოსა და მოლდავეთის წინააღმდეგ.** ევროპისთვის გაზის მიწოდება მხოლოდ მას შემდეგ განახლდა, რაც გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა რუსეთის პოლიტიკა სასტიკად გააკრიტიკა და მას „დესტრუქციული“ უწოდა.

ამ კრიზისმა, აგრეთვე გერმანიის კანცლერის მტკიცე პოზიციამ, ამერიკელ სენატორს ყურადღება მთავარ საკითხზე გადაატანინა: **რა უნდა მოიმოქმედოს დასავლეთმა საიმისოდ, რათა კვლავ შეძლოს რუსეთის ნდობა და მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდეს არა მარტო მასთან, არამედ საკუთარი პრობლემებით დატვირთულ აღმოსავლეთ ევროპის ყველა სახელმწიფოსთან?** ამერიკის შეერთებული შტატები უაღრესად დაინტერესებულია საიმედო და წარმატებული ევროპის არსებობით, რომელსაც შეეძლება რუსეთისთვის ღირსეული წინააღმდეგობის გაწევა, თუკი იგი შემდგომშიც ეცდება ზეწოლის ინსტრუმენტად ენერგორესურსების მიწოდების გამოყენებას.

ევროკომისიის თავმჯდომარე ჟოზე მანუელ ბაროზუმ კი განაცხადა, რომ ევროპაში ენერგოუსაფრთხოების ერთიანი პოლიტიკის გატარებაა საჭირო. გასაკვირია, მაგრამ ბაროზუ იძულებული გახდა საზოგადოებრიობისა და პოლიტიკოსებისთვის შეეხსენებინა, რომ ენერგეტიკის საკითხებში ევროკავშირს ერთიანი პოლიტიკა ჯერაც არა აქვს შემუშავებული ისევე, როგორც არ არსებობს მოქმედებათა კოორდინაცია ამერიკის შეერთებულ შტატებსა და კანადასთან. არადა, **ერთობლივი მოქმედებები რუსეთთან სანდო ურთიერთობების უმთავრესი წინაპირობაა.** თუმცა, ამავე დროს აღსანიშნავია ისიც, რომ ეს არ არის საკმარისი ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში არასტაბილურობის თავიდან ასაცილებლად.

გერმანიას, ასევე ევროკავშირის სხვა ქვეყნებს, შეუძლიათ იამაყონ ევროპის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მიღწეული შედეგებით. **„ორიენტაცია ჩვენ ამ წარმატებების ისტორიაზე უნდა ავიღოთ, როცა ვფიქრობთ იმაზე, თუ როგორ უნდა ვუპასუხოთ იმ გამოწვევებს, რომელთა წინაშე ევროპის აღმოსავლეთში აღმოვჩნდით. ევროპის მეზობელ ქვეყნებში ამის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია საქართველო“,** — აღნიშნავს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტობის კანდიდატი და დასძენს, რომ 2003 წელს მშვიდობიანი „ხავერდოვანი“ რევოლუციის შედეგად ხალხმა თავიდან მოიცილა ავტორიტარული ხელმძღვანელობა. მისი აზრით, პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების გასატარებლად საქართველოს მთავრობის ძალისხმევა ერთობ შთამბეჭდავია. **„ეს უდავო წარმატებაა, მით უმეტეს, რომ მთავრობამ მემკვიდრეობით მიიღო სუსტი, კორუმპირებული ინსტიტუტები. ამასთან, რუსეთში ნეგატიურად აღიქვამენ საქართველოს პროდასავლურ ორიენტაციას, ხოლო აფხაზეთში მეამბოხე, სეპარატისტული განწყობაა. საქართველო იზიარებს ევრო-ატლანტიკურ ფასეულობებს და იცავს მათ როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ. ჩვენ უფრო მეტის გაკეთება გვმართებს საქართველოს წარმატებისთვის. წლეულს ჩვენ უნდა მოვიწვიოთ ეს ქვეყანა ნატოში შესასვლელად მოქმედებათა გეგმაში მონაწილეობის მისაღებად. ეს მთავრობას დაეხმარება სახელმწიფო ინსტიტუტების გაძლიერებასა და სახიფათო რეგიონში სტაბილურობის მიღწევაში. საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებისა და ეკონომიკური პოტენციალის ზრდის პროცესებში, თავის მხრივ, მნიშვნელოვან როლს ასრულებს ევროკავშირიც“,** — მიაჩნია ჯონ მაკეინს.

სენატორის აზრით, იმ შემთხვევაშიც, თუკი დასავლეთი ერთობლივ ენერგეტიკულ პოლიტიკას გაატარებს და ხელს შეუწყობს ევროპის უახლოესი ქვეყნების ეკონომიკისა და მთავრობების გაძლიერებას, **შავი ზღვის რეგიონში გაჭიანურებული კონფლიქტები მაინც ძირს გამოუთხრის უკრაინის, მოლდავეთის, საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის სტაბილურობას, რითაც ეს ქვეყნები, თავის მხრივ, მთლიანად ევროპაში სტაბილურობას საფრთხეს შეუქმნის.**

საბჭოთა კავშირის დაშლიდან 15 წელიწადზე მეტი გავიდა, მაგრამ **აღნიშნული კონფლიქტებიდან არც ერთი გადაჭრილი არ ყოფილა. მეტიც: დნესტრისპირეთში, აფხაზეთში, ე.წ. სამხრეთ ოსეთში და მთიან ყარაბაღში რემილიტარიზაციის ნიშნებიც კი გაჩნდა.** გარდა ამისა, ეთნიკურ კონფლიქტებსა და სეპარატისტულ განწყობებს გარედან აქეზებენ. რუსეთი მხარს უჭერს მათ პროვოკაციული და ცინიკური მოქცევით. კერძოდ, ეს გამოიხატება მთელი რიგი საერთაშორისო (მაგალითად, გაეროსძორგანიზაციების თანამშრომელთათვის მოსკოვის მხრიდან მუშაობაში ხელის შეშლაში. **დასავლეთის რეაქცია ამაზე საკმაოდ გულგრილია, რაც საგანგაშოა. მრავალი კონფლიქტი ამჟამად გაყინულია, მაგრამ ნებისმიერ დროს შეიძლება ახალი ძალით იფეთქოს და იმას ნამდვილად მძიმე შედეგი მოჰყვება, მათ შორის არა მარტო ახლო, არამედ შორეული მეზობლებისთვისაც.**

**ე.წ. სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში კონფლიქტები საქართველოს დემოკრატიისთვის საფრთხეს წარმოადგენს, ხოლო სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის ახალმა ომმა შესაძლოა საფრთხე შეუქმნას დასავლეთის ენერგო-პოლიტიკურ ინტერესებს.**

რუსეთის ახალი ავტორიტარული სტილი დასავლეთის თანამეგობრობისთვის ფასეულობებისთვისა და უსაფრთხოებისთვის საშიში გამოწვევაა. სენატორ მაკეინს მიაჩნია, რომ დასავლეთი მზად უნდა იყოს რუსეთთან მოლაპარაკების გასამართად და რუსული დემოკრატიის გრძელვადიანი შესაძლებლობების იმედიც უნდა ჰქონდეს. **„თუმცა, ამავე დროს, ქვეყნის ხელმძღვანელობას უნდა ვაგრძნობინოთ, რომ რუსეთს დასავლეთთან ჭეშმარიტად პარტნიორული ურთიერთობების იმედი მანამდე არ უნდა ჰქონდეს, სანამ მისი მოქმედებები ეწინააღმდეგება ევრო-ატლანტიკური დემოკრატიის ძირითად ფასეულობებს“.**

**„რუსეთის ხელმძღვანელობისთვის ნათელი უნდა იყოს, რომ ჩვენი ურთიერთობების ხარისხი განუყოფლადაა დაკავშირებული რუსეთის დემოკრატიის ხარისხთან. კანცლერი მერკელი მართალია, როცა ამბობს, რომ ევროპასა და ამერიკას რუსეთთან უფრო საიმედო ურთიერთობები სჭირდება. იგი მართალია იმაშიც, რომ ჩვენ უყურადღებოდ არ უნდა დავტოვოთ ისეთი თემები, როგორებიცაა სიტყვის თავისუფლება, სამოქალაქო უფლებები და რუსეთის მეზობელ ქვეყნებში კონფლიქტები“,** — აცხადებს ჯონ მაკეინი და დასძენს, რომ ცივი ომის დასრულების შემდეგ წარმოშობილი გეგმების ფრთაშესხმა დღესაც ჭირს.

**„ჩვენთვის აუცილებელია კასპიის ზღვის რეგიონში რუსეთთან ერთიანი ენერგეტიკული პოლიტიკის გატარება,** — აცხადებს სენატორი. — **ამასთან, ჩვენ უნდა ვიზრუნოთ უახლოეს ევროპელ მეზობლებზეც: უკრაინაზე, მოლდავეთსა და საქართველოზე, გავაძლიეროთ მათი ეკონომიკა და დავეხმაროთ სტაბილური დემოკრატიის მშენებლობაში. ასევე პირი უნდა ვიბრუნოთ შავი ზღვის რეგიონში კონფლიქტებისკენ, რომლებიც საფრთხეს უქმნის ევროპულ უშიშროებასა და ფასეულობებს. და ჩვენ უნდა გავაგებინოთ რუსეთს, რომ ჭეშმარიტი პარტნიორობის აგება მხოლოდ ერთიან ფასეულობებზე დაყრდნობით შეიძლება განხორციელდეს,“** — ასეთია თვალსაჩინო პოლიტიკოსის ანალიზი და პერსპექტივის ხედვა.

მოამზადა
**ოთარ ტურაბელიძე**

◎ რას ფიქრობს ხალხი?

# ვანგრევთ თუ ვაშენებთ?

## თბილისელი მოქალაქეები თავიანთ მოსაზრებას გვიზიარებენ

**საპარლამენტო ოპოზიციის ნაწილი კერძო მესაკუთრეთა ინტერესების დაცვის თაობაზე კანონპროექტს ამზადებს, თუმცა ნაკლებად სავარაუდოა მან დღის სინათლე იხილოს. საქმე ის გახლავთ, რომ უმრავლესობის ზოგიერთი წევრი მართალია გაეცნო ოპოზიციონერთა ნააზრევს, მაგრამ მას დოკუმენტად ვერ აღიქვამს, ამიტომ ეჭვს გამოთქვამს, რომ თუკი ასეთი დოკუმენტი პარლამენტში შევა, მას მხარს არ დაუჭერს. თუმცა იგრძნობა, რომ თვით პარლამენტში ამ საკითხზე არაერთგვაროვანი პოზიცია არსებობს.**

ოპოზიციონერი დეპუტატები კოხა კუკავა, კოკა გუნცაძე, გიორგი თორთლაძე მიიჩნევენ, რომ ამჟამად ქვეყანაში მესაკუთრეთა უფლებები აბსოლუტურად იგნორირებულია და დაუცველი, ამიტომ გადაწყვიტეს კანონპროექტზე მუშაობა. თუ პარლამენტი განხილვაზე უარს იტყვის, თავიანთ აზრს ოპოზიცია საპარლამენტო სესიაზე მაინც დააფიქსირებს. პარლამენტს გარეთ დარჩენილი პარტიებიც საპარლამენტო ოპოზიციის პოლიტიკას იზიარებენ. ძირითადი მოთხოვნა — შენობა მხოლოდ სასამართლო დადგენილების საფუძველზე დაინგრეს — ძალაში რჩება.

რას ფიქრობს საზოგადოებრიობა ამ საკითხზე? რამდენად ილახება კერძო მესაკუთრეთა ინტერესები, რომლებმაც საკმაოდ პრესტიჟულ ადგილებში სავაჭრო ობიექტები ააშენეს გაცემული ნებართვის საფუძველზე? ნგრევა თუ შენება?! ამ შეკითხვებზე რესპონდენტები საკმაოდ გულახდილობით საუბრობენ.




**ცისანა მაჩაბელი, მასწავლებელი, 40 წლის:** თუ მშენებლობა უკანონო იყო, რატომ დაუკანონეს? ან თუ კანონიერად ააშენა, რატომღა ანგრევენ? ვისაც კანონით ეკუთვნის, იმას მისცენ. ასე თუ მიყვებიან, ნახევარი თბილისი უკანონოდაა აშენებული. მე, მაგალითად, პარლამენტის შენობა არ მომწონს, ვიცი, რომ აქ ადრე ეკლესია იყო. მე რომ ხელისუფლებაში მოვიდე, რა, პარლამენტიც უნდა დავანგრიო? ერთ უკანონობას მეორე უკანონობით ნუ ვცვლით.

**თამარ მაგრაქველიძე, ექიმი, უმუშევარი:** ანჩისხატთან რომ სასტუმრო შენდება, განა კარგია? საზოგადოებას და მრევლს არ მოსწონდა, მაგრამ მაინც დაუკანონეს. რატომ?

**ქიშვარდი სკამკოჩაშვილი, ოჩამჩირიდან დევნილი, დამსახურებული პედაგოგი:** რა მგონია იცით, ჩემო ბიძიკო? პრეზიდენტს განგებ უწყობენ ასეთ რამეს, რომ ხალხს მისი თავი შეაძულონ და მომავალში ხმა არ მისცეს, სხვანაირად ვერ წარმომიდგენია. მაშინ, როცა აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ტერიტორიები დასაბრუნებელი გვაქვს, უამრავ ადამიანს საქართველოში იმდენად უჭირს, რომ საჭმლის მოსაგროვებლად ნაგვის ბუნკერებში იქექება. ულამაზოა, ქალაქის იერსახეს აუშნოებსო, ამ საბაბით დაანგრიო აშენებული შენობა, სადაც არაერთი და ორი ადამიანი მუშაობს, ოჯახს არჩენს, უზნეობად მიმაჩნია! დელისის მეტროსთან სახინკლე ერთ დღეში ხომ არ დაუდგამთ? ყველა ხედავდა, რომ შენდებოდა, რატომ თავის დროზე არ დაუშალეს მეპატრონეს, თუ საბუთები წესრიგში არ ჰქონდა?

**ბიჭიკო თანდილაძე, ინჟინერი, უმუშევარი:** ინფექციური საავადმყოფოს ტერიტორიაზე რომ ორჯერ დაანგრია ჩვენმა პრეზიდენტმა ავტოგასამართი სადგური, მერე ხომ კაფე ააშენეს, რატომღა არ დაანგრიეს? ბარემ მიყვნენ და რაც აშენდა, ყველაფერი ნანგრევებად აქციონ, ასე როგორ შეიძლება?

იხ. 8 გვ.

№ 32. სამშაბათი, 20 თებერვალი, 2007 წელი.

# საზოგადოება

**პირდაპირ საოცარია ეროვნული ვალუტის – ლარის მოქმედება და „საქციელი“. იგი ბოლო წლების მანძილზე თითქოს მტკიცედ ერკინება ამერიკულ დოლარს, რომელსაც ნაბიჯ-ნაბიჯ ახევინებს უკან და საცაა „კისრულზე წამოილებს“, მაგრამ იგივე ლარი ყოველდღიურად უფასურდება ბაზრებსა და მაღაზიებში. რაში უნდა ვეძებოთ მისი ასეთი ქმედების ლოგიკურობა, უფრო სწორად, ულოგიკობა?**



◉ ინფლაცია

# ქართველებს ქვა დაღმართში დაგვეწია

**ნათქვამია, საწყალ კაცს ქვა აღმართში დაეწიაო. ამას კიდევ რა უჭირს, აღმართში მიმავალს ქვა ძნელად თუ წამოეწევა, აი დაღმართში დაქანებულს კი კიდევ ქვაც თუ დაემატა, უფსკრულში გადაჩეხვას ნაღდად ვერ გადაურჩება. ჩვენ ახლა უფრო მეორე საშიშროების წინაშე ვდგავართ, რამეთუ თავქვედაშვებულებს ინფლაცია ფეხდაფეხ მოგვყვება და ისედაც გაფხეკილი ჯიბიდან უკანასკნელ გროშებს გვართმევს.**

ამას, რა თქმა უნდა, ნაკლებად გრძნობენ, ან საერთოდ ვერ გრძნობენ ჩვენი ბოზოლა ჩინოვნიკები და ცხოვრების ნებიერა დეპუტატები (ყველას არ ეხება!ძ, რომელთაც ხელფასებიც თავზე გადასდით და უკანონო „ბიზნესიდან“ და „წილებიდან“ მიღებული უთვალავი შემოსავალიც. ამიტომაც ეჩვენებათ „სხვისი ჭირი ღობის ჩხირად“ და „გულწრფელად“ სჯერათ, რომ ქვეყნის ეკონომიკა ყოველწლიურად მეტი თუ არა, სულ მცირე 10 პროცენტით მაინც იზრდება.

თუმცა, რატომ არ უნდა სჯეროდეთ, როცა სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი ასეთ ციფრებს ოფიციალურად იძლევა (!ძ. რა ვუყოთ, რომ ეს მონაცემები რეალურს ოდნავადაც არ ესადაგება და ზეციდან ჩამოფრენილს უფრო ჰგავს, სამაგიეროდ ისინი ჩვენს „ზეციურ ხელისუფლებას“ მოსწონს და საერთაშორისო თანამეგობრობაში სატრაბახოდ მშვენიერ შანსს იძლევა.

სხვათა შორის იმავე სტატისტიკის დეპარტამენტში აქვთ სხვა ციფრებიც, მაგალითად, ასეთი: 2007 წლის იანვარში, წინა წლის იანვართან შედარებით, საქართველოში ინფლაციის დონემ 10,4 პროცენტი შეადგინა; ბოლო ერთ წელიწადში ძირითად სასურსათო პროდუქტებზე (კარტოფილი, ლობიო, ხახვი და სხვ.) ფასები თითქმის გაორმაგდა; წლეულს იანვარში ინფლაციამ დეკემბერთან შედარებით 2,7 პროცენტით მოიმატა; 2007 წლის იანვარში ბოსტნეულზე ფასების საერთო დონის ზრდამ ქვეყანაში საშუალოდ 17,9 პროცენს მიაღწია, ხოლო ხილზე – 10,5 პროცენტს.

დიახ, ჩვენდა სამწუხაროდ, ასეთი ციფრებიც არსებობს, მაგრამ მას ხელისუფლების ქურუმები თავიანთ საჯარო გამოსვლებში რატომღაც არ იყენებენ, ალბათ იმიტომ, რომ ხალხის ნერვებსა და საკუთარ რეიტინგს უფრთხილდებიან. რეიტინგი კი, იცოცხლეთ, ისეთი აქვთ, ბაზრის ფასებს თუ არ აჭარბებს, აღარც ჩამოუვარდება.

ამაში თვითონაც ღრმად არიან დარწმუნებულნი და ბაზარს სათოფეზეც არ ეკარებიან. ამ უკანასკნელს ისევ უქონელნი, ღარიბ-ღატაკნი ვერ ეშვებიან, რომელნიც ინფლაციის ყოველ ახალ შემოტევას საკუთარ კისერზე განიცდიან. პროდუქტის საყიდლად მისულთა წუწუნსაც ყველაზე ხშირად აგრარულ ბაზრებზე გაიგონებთ:

– გვეშინია, რომ დავაფასებინოთ, ყველაფერს ცეცხლი უკიდია;

– კარტოფილი რომ კარტოფილია, ისიც ველარ გვიყიდია;

– ხილის საყიდლად წამოვედი, მაგრამ ისეა გაძვირებული, ხელცარიელი ვბრუნდები.

პირადად შევესწარი ხანდაზმულმა ქალბატონმა გამყიდველს ვაშლი რომ დააფასებინა.

– მაგ ვაშლს, დედიჯან, ოთხი ლარი უნდა.

– უი, მაგდენი სადა მაქვს, შვილო, ცოტა დამიკელი.

– კაპიკს ვერ დავაკლებ, ფული თუ არ გყოფნის, მაშინ, აგე, ორლარიანი იყიდე.

– ავადმყოფისთვის მინდა, გენაცვალე, სათვალიო თუ არ იყო, უმადოდ არის და არ შეჭამს.

– აბა, რა გიყო?

– იქნებ ნახევარი კილო ამიწონო...

შევატყვე, გამყიდველს არ ესიამოვნა, მაგრამ რაღას იზამდა. ვაშლი მსხვილი იყო და ნახევარმა კილომ სამ ცალზე მეტი არ აიწონა. ქალბატონმა ისინი ფრთხილად, სულ ხელის კანკალით ჩააწყო ცელოფნის პარკში, მერე წამწამზე დაკიდული ცრემლი მალულად შეიმშრალა და ბაზრიდან მხრებაბუზული გავიდა.

მეორე ფაქტს ჩემ საცხოვრებელ კორპუსთან ახლოს, სუპერმარკეტში გადავაწყდი. მოხუცმა მამაკაცმა დახლში მდგომ ქალბატონს ლარიანი გაუწოდა.

– რა მოგართვათ? – იკითხა გამყიდველმა.

– ერთი ბოთლი „ნატახტარი“, შვილო.

– ლუდი? გაძვირდა, ბიძია, ლარი და 15 თეთრი გახდა.

– რატომ გააძვირეს?

– წყალი გაგვიძვირეს და ზარალზე ხომ ვერ დავსხდებითო.

– რატომ ჩვენ ზარალზე არავინ ფიქრობს, ჰა? – იწყინა მოხუცმა, – პენსიიდან ერთ ლარს საყვარელი ლუდისთვის შემოვიტოვებდი ხოლმე და ეტყობა ახლა ამაზეც უარი უნდა ვთქვა...

– 15 თეთრს მე დაგიმატებთ, ბიძია, – შესთავაზა მოხუცს იქვე მდგომმა ახალგაზრდამ.

– არა შვილო, მასეთ დალევას დაულევლობა მირჩევია, – იუკადრისა პენსიონერმა, – გამყიდველს ლარიანი უკანვე გამოართვა და მაღაზიიდან პირუჩუმრად გავიდა.

ასეა, წყლის გადასახადის, გაზისა და ელექტროენერგიის ტარიფების უსაშველო ზრდამ არა მარტო საწარმოები და ორგანიზაციები, არამედ მოსახლეობაც, განსაკუთრებით კი პენსიონერები და სოციალურად დაუცველი სხვა ფენები მძიმე განსაცდელის წინაშე დააყენა. ამ გადასახადების გასტუმრების შემდეგ მათ იმდენიც კი აღარ რჩებათ, რომ ხილი და ბოსტნეული მაინც იყიდონ, რომ აღარაფერი ვთქვათ ხორცსა და თევზეულზე, რომელთა შეძენაზე ბევრმა საერთოდ ხელი აიღო.

დეპუტატი ბესო ჯუღელი კი, როგორც ამას წინათ თავად განაცხადა, თურმე გაკვირვებულია იმის გამო, რომ ამ ხალხს პენსიები ეცოტავება და არა იმის გამო, რომ ქვეყანაში ამ საერთო სიღატაკის ფონზე ზოგმა ჩვენმა ჩინოვნიკმა უპრობლემოდ მილიონები და მილიარდები დააგროვა. საიდან ამდენი – იკითხა ვინმემ? არავინ. ეს ამბავი გაზეთში რომ ამოიკითხეს, ისევ თავად მილიარდერები დარჩნენ განცვიფრებული – ამდენი ფული თუ გვქონდა, სინდისს გეფიცებით, არ ვიცოდითო. ჰოდა, რა გასაკვირია, რომ ბატონმა კახა ბენდუქიძემ მხოლოდ ამის შემდეგღა გაბედა გაძლიერებულ დიეტაზე გადასვლა. არადა, რაც მის გამჭლევებას დასჭირდება (ამხელა წონას დაგდება ხომ უნდა!ძ, ის თანხა ალბათ, მთელი ქვეყნის ღატაკ მოსახლეობას ამოიყვანდა გაჭირვებიდან (!ძ.

საქმე გაუიოლდებოდათ პარლამენტარებსაც, რომლებიც ხალხზე ზრუნვით ისე არიან გადაღლილი, რომ ხშირად ერთმანეთს ვეღარც კი სცნობენ. ამის თაობაზე ისევ ბატონმა ბესომ გარისკა ეთქვა მაშინ, როცა დეპუტატ გოგი წულაიას ნაციონალური პარტიიდან რიცხავდნენ – ეს კაცი მხოლოდ ერთხელ მყავს ნანახი, ისიც რესტორანშიო. როგორც ჩანს, ჩვენი ღვაწლმოსილი დეპუტატები რესტორნებში ქეიფს უფრო მეტ დროს ანდომებენ, ვიდრე პარლამენტის სხდომათა დარბაზში მუშაობას, სადაც კვორუმის უქონლობის გამო კანონშემოქმედებითი საქმიანობა არცთუ იშვიათად უვარდებათ.

ეს რაც შეეხება ჩინოვნიკებსა და პარლამენტარებს, აი, საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების წარმომადგენლებს კი, რომლებიც საქართველოში არსებულ ეკონომიკურ სიტუაციას აკვირდებიან, ამ ეტაპზე ჩვენი ქვეყნის ყველაზე სერიოზულ მაკროეკონომიკურ პრობლემად ისევ და ისევ ინფლაციის ზრდა მიაჩნიათ. მათი აზრით, ამის ძირითადი მიზეზია გადასახადების სისტემატური ზრდა, რაც მომენტალურად აისახება ყველა სახეობის პროდუქციაზე. გაძვირდა განსაკუთრებით ის პროდუქტები, რომელთა წარმოებისთვის დიდი რაოდენობით წყალი იხარჯება. მაგალითად, უალკოჰოლო სასმელები საშუალო 5,5 პროცენტით გაძვირდა, ფასები გაიზარდა მომსახურებისა და ჯანდაცვის სფეროებშიც“, საშუალოდ 5,2 პროცენტით გაძვირდა ტკივილგამაყუჩებელი მედიკამენტები, სისხლის ანალიზის ფასმა კი 8 პროცენტით მოიმატა.

**პირდაპირ საოცარია ეროვნული ვალუტის – ლარის მოქმედება და „საქციელი“. იგი ბოლო წლების მანძილზე თითქოს მტკიცედ ერკინება ამერიკულ დოლარს, რომელსაც ნაბიჯ-ნაბიჯ ახევინებს უკან და საცაა „კისრულზე წამოილებს“, მაგრამ იგივე ლარი ყოველდღიურად უფასურდება ბაზრებსა და მაღაზიებში. რაში უნდა ვეძებოთ მისი ასეთი ქმედების ლოგიკურობა, უფრო სწორად, ულოგიკობა?** ამაზე პასუხს ვერ იძლევიან ვერც ეროვნული ბანკი და ვერც ფინანსთა სამინისტრო, რომლებიც ინფლაციის შესაჩერებლად ვითომ ძალისხმევას არ იშურებენ, მაგრამ შედეგი? ის არა და არ ჩანს!

**გაზაფხული კი კარზე მოგვადგა. ეს ის პერიოდია, როცა ინფლაციის გაღვივების ალბათობა კი არ მცირდება, პირიქით, იზრდება. ნუ შევაქმევინებთ, ბატონებო, ეკონომიკურად მზარდ, აყვავებად ქვეყანას (ხელისუფლებას ასე სჯერაძ ამ რაღაც ინფლაციას!**

**ოტია ჩართოლანი**

## ინფლაციის მსხვერპლნი



კახა ბენდუქიძე



ბესო ჯუღელი



ოტია ჩართოლანი

◉ დავფიქრდეთ!

# იდუმალი ინტრიგანი

**– ვინ გვართმევს შენობას, სადაც ჩვენი შვილები მიგვიყვანია?**

**– რატომ უნდა დაიშალოს 100 წლის სკოლა-პანსიონი?**

**– ვინ არის ახალი დირექტორის უკმაყოფილო, რაში არ ეთანხმება? – აფორიაქდა ანასტასია კაიშაურის სახელობის 203 ყრუ და სმენადაქვეითებულთა სკოლა-პანსიონი.**

**მშობლებმა პანსიონის დირექტორს საერთო კრების მოწვევა სთხოვეს – საჯაროდ სურდათ გამოეთქვათ თავიანთი დამოკიდებულება პანსიონის ადმინისტრაციისადმი.**

**პანსიონის დირექტორი ნინო კვარაცხელია კრების მოწვევაზე დათანხმდა...**

კრების დაწყებამდე დირექტორმა ასეთი პასუხი გაგვცა:

– შენობას მართლა გვართმევენ, შევეკითხეთ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და გვიპასუხეს, ამის შესახებ არაფერი გვსმენიაო.

– სკოლა-პანსიონი უნდა დაიშალოს? – ამაზეც სამინისტროსგან უარყოფითი პასუხი მივიღეთ.

წლინახევრის წინათ დანიშნულმა დირექტორმა ისიც გვითხრა, ჩემით თუ უკმაყოფილონი იქნებიან მშობლები და აღმზრდელ-პედაგოგები, დღესვე დავწერ განცხადებას და წავალო...

– კრებაზე, რომელიც პანსიონის სააქტო დარბაზში გაიმართა, მშობლები აქტიურობდნენ, ვინც ამბობს, რომ უკმაყოფილოა, გამოვიდეს აქ, თქვას საჯაროდ თავისი სათქმელიო. და, მართლაც, მშობლებმა და მასწავლებლებმა: ვერა გოგიამ, მარიამ ბენდიაშვილმა, ნადია თანდილაშვილმა, ექიმმა მარიკა ხვედელიძემ, ცისანა მეცხვარიშვილმა, ნანა პერტენავამ (აფხაზეთიდან ლტოლვილმა), ინგა სეროპიანმა, ლილი გეგენავამ, ლია ფირცხაძემ, ყოფილმა მოსწავლემ, ახლა პანსიონის აღმზრდელმა თენგიზ კევლიშვილმა, ირაკლი ბახტაძემ და სხვებმა ხმამაღლა განაცხადეს, რომ მათი შვილები ამ პანსიონმა გადაარჩინა. საწყენია, რომ ამ გაწამაწიაში იდუმალ ინტრიგანს ჭორი შემოაქვს და კოლექტივი წყობილებიდან გამოყავსო, ვიღაცას დირექტორის ადგილი უნდა, ვიღაცას, მგონი, ეს შენობაო და ა. შ.

100 წელიწადია, რაც ეს პანსიონი არსებობს და მას არავინ შეხებია. მშობლებმა საყვედური გამოთქვეს ზურგს უკან მოლაპარაკეთა მისამართით, მაგრამ არ დაუსახელებიათ. კრებაზე მოსულთა შორის არავის ეყო გამბედაობა ეთქვა, მე ვარ უკმაყოფილოო. ჰოდა, სადაც არ არის საერთო ინტერესები, იქ არ შეიძლება იყოს მიზანთა ერთიანობა, ამიტომ მშობელთა ერთიან აზრს პედაგოგ-აღმზრდელთა საერთო ინტერესი უნდა შეუერთდეს.



**– პანსიონი თავისებური ოჯახია. ნათქვამია, ოჯახში ერთი მახინჯიც გამოერევა, ასეთად მიგვაჩნია ის იდუმალი ინტრიგანი, რომელიც კოლექტივს ახალ-ახალი ჭორებით „ამარაგებს“. ოჯახური ცხოვრება დიდ ბედნიერებას მოგანიჭებს, თუკი იგი სიყვარულთან არის დაკავშირებული, თუმცა, სადაც ოჯახისადმი რწმენა არ არის, იქ ყველაფერი ირყევა. მოზარდები ამ პანსიონში ყოველი მხრით იწვრთნებიან – გონებით, ზნე-ხასიათით, სულით და ხორცით...** ეს აღნიშნეს გამოცდილმა პედაგოგებმა: ილია ჭავჭავაძის სახელობის პედაგოგიური უნივერსიტეტის პროფესორმა ეთერ ხუფაცარიამ, სასწავლო ნაწილის გამგემ ვალენტინა ზახაროვამ, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ ნანა ხარატმა, დირექტორის მოადგილემ აღმზრდელობით დარგში ლია კვანტალიანმა, პედაგოგებმა ლამარა ბუაძემ, ვიოლა წაქაძემ და სხვებმა. ისინი წლების მანძილზე მუშაობენ იქ, დიდი გამოცდილებისა არიან და ცდილობენ თავიანთი მუშაობის შინაარსი განათლების სფეროში დღეს მიმდინარე რეფორმებს მოარგონ.

ბოლო დროს პანსიონი ახალგაზრდა კადრებით შეივსო. ზოგიერთ მათგანს ეს პანსიონი აქვს დამთავრებული.

ჯერ ორი წელიც არ არის, რაც დირექტორი მოვიდა, მას მხარში ამოდგომა სჭირდება, ვიდრე ინტრიგა, რომლის ხმამაღლა თქმა იქ ვერავინ გაბედა. მან უკვე გაიარა ტესტირება. პანსიონის სამეთვალყურეო საბჭო თვლის, რომ მას შეუძლია პანსიონის გაძღოლა. ახალ დირექტორს გამოცდილი კადრები არ გაუყრია. აქ, ამ სპეციფიკურ გარემოში ყველა ვერც იმუშავებს.

არადა სკოლა-პანსიონში ყველაფერი როდია მოგვარებული. არა აქვთ სახელმძღვანელოები და ის მასალებიც, რაც ხელგარჯილობას სჭირდება.

კიდევ რა უჭირთ? – ჯერ კიდევ 1960-იან წლებში გამოშვებული სახელმძღვანელოებით სარგებლობენ. აგრეთვე იმ თანხით, რომელსაც სკოლა-პანსიონს ურიცხავენ. ამით შეიძინეს კომპიუტერები, სპორტული ინვენტარი, ტანსაცმელი (იმათთვის, ვინც შაბათ-კვირას მათთან რჩებაძ. აუცილებელია ინდივიდუალური სმენის აპარატის შეძენა, საშუალება კი არ არის – ძვირია.

შენობის წართმევაზე, მიუხედავად განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დადებითი პასუხისა, კოლექტივის დაშოშმინება კრებამ მაინც ვერ შესძლო.

აქ მოყვანილ მოზარდთა შორის ბევრია სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან. ადრე პანსიონს ყრუმუნჯთა საზოგადოება ეხმარებოდა, ახლა არავინ ეხმარება, ეს საზოგადოება აღარ არსებობს.

დრო ჩვენი მასწავლებელია, იგი გვიჩვენებს, რა გაკეთდა და რა გაფუჭდა, ვისი მიზეზით. თუ ყოველივეს სალი თვალით შევხედავთ, უფრო კარგად გავიგებთ სიხარულსა და მწუხარებას, აღელვების ფასს, უფრო მეტად ვიგრძნობთ ადამიანთა ტკივილებსა და უძლურებას, საკუთარ სისუსტეს და სწორ გზაზე დავდგებით.

**ნათელა ფაილოძე**

№ 32. სამშაბათი, 20 თებერვალი, 2007 წელი.

● პაულო კოელიოს გზა თვალწარმტაცი და ნაყოფიერია — ალალი იყოს ჩვენი ტაში. ღმერთმა ქნას, თითოეულ ჩვენგანს ჩვენ-ჩვენი საკუთარი გზა დაგვექნას



## ◉ ჩვენი ბიბლიოთეკა

### *მიძღვნა*

***ლოცვადმავლობას თუ მწირობას, ანუ სულის ზრდასა და წმინდა ადგილთა მოლოცვას რომ ვიწყებდი, აგრე მეგონა, ეგ არის და ჩემი სიყმაწვილის ერთ-ერთი ყოვლის უფრო სანუკვარი ოცნება მისრულდება-მეთქი. შენ ჩემთვის მოგვი დონ ხუანი იყავი, და სასწაულებრივის ძებნა-ძიებაში კასტენადას საგა ცხადში გამოვიარე.***

***თუმცაღა ჩვეულ სიკერპეს არ იშლიდი და ჯიუტად უძალიანდებოდი შენი გმირად გახდომის ჩემს ყოველ საცადისს. ეს ამბავი ძალზე ართულებდა ჩვენს ურთიერთობას, ვიდრე არ შევიგნე, რომ ყოველივე სასწაულებრივი ჩვეულებრივი ადამიანების გზის ბინადარია. ამის შეცნობა თუ გაგება დღეს ჩემი ერთ-ერთი ყველაზე უფრო ძვირფასი ავლადიდება გახდა, რაც ხელ-ფეხს მიხსნის რაგინდარა საქმის საკეთებლად. და სანამ პირში სული მიდგას, ის ბოლომდის ჩემთან იქნება.***

***ამიტომაც, ამ შეცნობა-გაგებისათვის მადლიერების ნიშნად — რა შეცნობა თუ გაგებაც აწ სხვა ადამიანთაც უნდა გავუზიარო, —ეს წიგნი შენ გეძღვნება, პეტრუს.***

***ავტორი.***

### წინათქმა

წარმოიდგინეთ **რამირ პირველის** ზეობა, ბრძოლა ლოგრონიოსთან და თეთრონზე ამხედრებული იაკობი, რომელიც ძლევამოსილ ქრისტიანულ მხედრობას მეთაურობს და **აბდურაჰმან მეორის** წინამძღოლობით მოსაგრე მავრთ ამარცხებს. იმ შორეული ხანიდან მოკიდებული, ვისაც კი ადგილ-მამული ჰქონია კამპუსსტელაში, პედროს მთის ძირას გაშენებულ პატარა ქალაქში, სადაც ხსენებული ღირსმოსაგონარი ბრძოლა გაიმართა, მოციქულ იაკობს ყოველწლიურად სუყველა ღვინოსა და ხორბალს სწირავს. ბრძოლის შემდგომ მალევე, როს იქაურთ ირწმუნეს, რომ წმინდანის სხეული იქ იყო დამარხული, ეს პატარა ქალაქი სალოცავ ადგილად იქცა. 997 წელს მავრთ იავარყვეს ის ადგილი, 1809 წლიდან 1814 წლამდე ფრანგთ ეჭირათ იქაურობა, მაგრამ ეს უკვე წმინდა მხარე იყო, იქით მიმავალ გზებს კი მაგია, ანუ გრძნებით შემკვრელი ძალა იფარავდა. სუყველა გზა, ოღონდ ჩვენთა ოცნებათაკენ თუ მივყავართ, მაგიური, ანუ გრძნებით შეკრული გზაა.

ხოლო ვინც თავისი ოცნების ასახდენად მაგიას თუ გრძნებას არის აყოლილი, იმას გზა ეჭირვება. ადამიანის სული, რომელიც ადამპაპის დროიდან ყოველგვარ სახსარს ეძებს, რაც რამ წუთისოფლის საიდუმლოთა გამოცნობაში წაადგება, რაგინდარა სინათლეს იყენებს, უკეთუ იმ საიდუმლოთა გარემომცველი წყვდიადის გაფანტვა შეუძლია. მშვენიერიცა და საოცარიც ეს წიგნი იმით არის, რომ წამკითხველს გპირდება: შენს გასავლელ გზას ისე გაივლი, მზე მაღლა იქნებაო, შენს ოცნებასაც აიხდენ და შენს მახვილსაც ხელთ მოიგდებო.

სანტიაგო, ანუ წმინდა **იაკობი უფროსი,** ერთი თორმეტი მოციქულთაგანი, იოანეს ძმა და მებადური იყო. **ქრისტე** რომ შეიპყრეს, იერუსალიმი დააგდო,მაგრამ სიკვდილით რომ დასაჯეს, კვალად მიბრუნდა იქ და ახალი სარწმუნოების ქადაგად დაეცა. თანაც ისერიგად მგზნებარე შეიქმნა, რომ ჰესიოდე აგრიპამ სიკვდილი მიუსაჯა 44 წელს.

და როგორც სანტიაგოში, პაულო კოელიოშიც თვალადსაჩენია **რწმენა და აღმაფრენა.** როდესაც პაულოს გავეცანი, ვერც კი წარმოვიდგენდი, თუ ვინმეს შეეძლო ჩემთვის ახალი და უცნობი სამყაროს აღმოჩენა. და, თექვსმეტი წლისანის **სიყვარულისა** და ოცი წლისანის **ფილოსოფიის** მსგავსად, მან თვალცხადლივ დამანახვა, რომ ეს სოფელ-ქვეყანა ბევრად უფრო დიდი და განუზომელია, ვიდრე ჩვენ წარმოგვიდგენია. იმისათვის, რათა დაფარულსა და დამალულს მიაგნო, მკაცრი ლოგიკის მოკავშირედ **ზეშთაგონების** თვალისმომჭრელი ცეცხლი უნდა გაიხადო. იმათ, ვინც თავისი ოცნების მოსახელთებელ გზაზეა შემდგარი, ტრადიციულ ფილოსოფოსთა თვალსაზრისით, შეუძლებელი უჩვეულო მოვლენები სულიერი მხედველობის შესაძლებლობას უქმნიან.

და პაულოსა და პეტრუსის საუბარსაუბარში გზა თვითონ ჩვენშივე ჩნდება. აგერ, მიდიან, თავიანთ სავალს, თავიანთ საგზაურს მიჰყვებიან პეტრუსი და პავლე, პეტრე და პავლე. წმინდა პეტრე, იაკობი და იოანე არცროდის არ ეგრძნობიერებოდნენ წმინდა პავლეს — პირიქით: ვითარცა გულდაჯერებულნი კაბალისტნი ისინი ფრიად მნიშვნელოვან ხარკს უხდიდნენ ათასგვარ წარმართულ საიდუმლოებას. წმ. პავლე, რომელიც ინტელექტუალურად იმათზე მაღლა იდგა, რამეთუ გაცილებით უკეთ იცოდა ფილოსოფია და ბევრად უფრო განათლებული იყო, ძალაუნებურად იტანდა წყენას იმ ხალხისგან, ვინც აბრალებდა, ეგაო გნოზისით, ანუ ბერძნული მისტერიების სიბრძნით მოწამლულიაო. და სულაც არა შემთხვევითად ჰქვიათ პეტრე და პავლე „მოგვის დღიურში“ აღწერილ გზას ადევნებულთ. აგერ, მიდიან, მიბაასობენ დაგზიურებულნი, ცოტ-ცოტას ყლურწავენ კიდეც, ძალას იკრებენ და საკუთარი თავისთვის არცრა სამყაროს აღმოჩენა არ ეძნელბედებათ.

რწმენამ და სასოებამ (აღმაფრენამ) გულმოწყალებასთან (სიყვარულთან) უნდა მიგვიყვანოს. პაულო ამ სამივე ღირსებით მადლმოსილი ადამიანია. მერედა, განა რწმენამ არ შეახვედრა სანტიაგო ცხოვრებას? განა სასოებამ არ აადევნა გზას ცათაფრენაშემდგარი? ნუ დაგვავიწყდება, რომ ბერძნულად „ენთუზიაზმი“ ღვთაებრივის სინონიმია, ხოლო სიტყვასიტყვით „საკუთარ თავში ღმერთჩასახლებულს“ ნიშნავს. ჭარბად მადლცხებულია პაულო აგრეთვე სიყვარულით, რომელსაც ბერძნული ტრადიციის მიხედვით ყოფს **ეროსად, ფილოსად** და **აგაპედ.** ეს უკანასკნელი და უმნიშვნელოვანესი — სიყვარულის იპოსტასი ოდესღაც ითარგმნებოდა როგორც „ტრაპეზი“, რაც უმალ პლატონის დიალოგთ გვახსენებს. პლატონის „ნადიმიც“ ხომ აგრეთვე უფრო თხრობაა, ვიდრე დიალოგი, მერე რა ვუყოთ, თუ გერმანელ ფილოსოფოსთ ლათინური ტრადიციით დამკვიდრებულ სიტყვა „ნადიმს“ სიტყვა „სიმპოზიუმი“ დაამჯობინეს. ამჟამად ნადიმობა და სიმპოზიუმი პრინციპულად სხვადასხვა ხასიათის მოვლენებია. მაგრამ საჭმლის მსგავსად, ცოდნა, რომელიც გვეძლევა, ხომ შეიძლება რომ გავსინჯოთ, დავაჭაშნიკოთ, და თუ გვეგემა, მივირთვათ და შევირგოთ კიდეც. როგორც ცოდნა, ისე საჭმელი, სიყვარულის საგნისა არ იყოს, თვითონ ჩვენივე შემადგენელი ნაწილი ხდება. ბერძნები კიდევ ერთხელ გამოდგნენ მართალნი.

ასეთია „დღიური“. ეს საკუთარ თავთან შეხვედრაა. ეს დიდი ოცნებაა, რომელიც გრძელი და ძნელი გზის ბოლოში მოინაგრება. ამ გზის დაქნა სუყველას ძალუძს, ვისაც კი ამის სურვილი გაუჩნდება. კოელიო თავისი საყვარელი უილიამ ბლეიკივით ეუარება ადრინდელ ტრადიციას და თავის საკუთარსა ქმნის. მან გლამური, ანუ გრძნება, ქარიზმაზე გაცვალა, სტერეოტიპები კი — მოელვარე სიმბოლოებზე. ხილული სამყაროს საგნები „დღიურის“ ავტორისთვის წარმოსახვის თვალითაც ჩანან. მოივარგა რა ბლეიკის გაკვეთილები, იგი თავისი საკუთარი, არანასესხები შემართებით აღიჭურვა და შეიძლო, რომ ერთმანეთის პირისპირ დაეყენებინა ვეფხვი (გამოცდილება) და კრავი (უმანკოება) და ორთავე განესაზღვრა როგორც ერთნაირად მშვენიერი, რამეთუ ერთიცა და მეორეც „უკვდავის ხელით შექმნილა და თვალით დანახულა“. პაულო კოელიოს გზა თვალწარმტაცი და ნაყოფიერია — ალალი იყოს ჩვენი ტაში. ღმერთმა ქნას, თითოეულ ჩვენგანს ჩვენ-ჩვენი საკუთარი გზა დაგვექნას.

**კლაუდია კასტელო ბრანკო.**



### პირველსათქმელის მაგივრად, ანუ ოცი წლის შემდეგ

საფრანგეთის სამხრეთით მდებარე პატარა ქალაქის ბაღში ვზივარ.

და მთებს რომ გავყურებ, მაგონდება, როგორ ვიარე ფეხით ოცი წლის წინათ ამ მთებში, სანტიაგოს გზასთან პირველად შეუღლებულმა.

და დრო თითქოს უკან მიედინება: ცოტაც და, მოსაღამოვდება, მაგიდაზე ერთი ფინჯანი ყავა და ერთი ჭიქაც მინერალური წყალია, ირგვლივ ადამიანები ირევიან და ჟრიამულობენ. ამ სცენას მხოლოდ ამჯერად ლეონის დაბლობები უწევენ დეკორაციის მაგივრობას, და ჟღერს ესპანური მეტყველება, კარზეა, ახლოვდება ჩემი დაბადების დღე, და უკვე გავლილ-დაკეცილია იმ გზის ნახევარზე მეტი, სანტიაგო-დე-კომპოსტელაში რომ მივყავარ. წინ ვიყურები და ვხედავ ერთფეროვან პეიზაჟსა და ეტიკს, ანუ მეგზურს, რომელიც აგრეთვე ყავას შეექცევა თითქოსდა არსაიდან უცაბედად გაჩენილ ბარში. უკან ვიყურები, და იგივე ერთფეროვანი პეიზაჟია, სხვაობა მხოლოდ ის არის, რომ მტვერში ჯერეთ კიდევ ჩანან ჩემი ლანჩების ანაბეჭდები, მაგრამ ისიც ცოტა ხნით: სანამ ჩამოღამდებოდეს, ქარი ეგრევე წაშლის ნაფეხურებს. აგრე მგონია, ყველაფერი მელანდება-მეთქი. მაინც რა მინდა, რა მესაქმება აქ? ეს კითხვა არა და არ მასვენებს, თუმცაღა უკვე რამდენიმე კვირა გამოხდა.

რა მესაქმება და ჩემს მახვილს დავეძებ. რიტუალს ვასრულებ, RAM-ად წოდებული პატარა ორდენის რიტუალს, რომელი ორდენიც კათოლიკურ ეკლესიას ეკუთვნის და სხვა არცრა სასწაული არ იცის, არცრა საიდუმლო, თვინიერ სოფელ-ქვეყნის სიმბოლური ენის გაგების საცადისისა. ჩემის ფიქრით, შევცდი, ყოველგვარი სულიერი ძიება მოკლებულია აზრსა და ლოგიკას და ბევრად აჯობებდა, უკეთუ ბრაზილიაში ვიჯდებოდი და კვალად ჩემს საქმნელს მივხედავდი. მეეჭვება, რომ გულწრფელი და უზაკველი ვიქნები სულიერ ძიებათა ჟამს, რამეთუ უზომოდ ძნელია პოვნა უფლისა, რომელიც ცხადად არცროდის არ გვეხილებ-გვენახვება, ძნელია აგრევე ლოცვად დგომა განსაზღვრულ დროს, ჭირს უჩვევ გზათა ზედა ხეტიალიც და იმ ბრძანებათა სიტყვაშეუბრუნებლად მორჩილება, სუყველა უკლებლივ უაზრო რომ მეჩვენება.

დიახ, დიახ, სწორედ ეს მაფიქრებს — ჩემი გულწრფელობა მაეჭვებს. რაც ერთად მოვდივართ, პეტრუსი სულ მიმტკიცებდა, ეს გზა სუყოველ კაცს ეკუთვნისო, ეს გზა ჩვეულებრივი ხალხის გზააო, და თავისი ამ ჩიჩინით სასოწარკვეთილებაში მაგდებდა. მე კი მეგონა, ჩემი ეგზომ განუზომელი ძალისხმევა საჩინო რამ ადგილს მიმიჩენს-მეთქი იმ მცირეოდენ რჩეულთა შორის, რომელნიც სოფელ-ქვეყნის დიად არქეტიპთ მიახლოებიან. ჩემი ვარაუდით, ბოლოსა და ბოლოს უცილოდ დადასტურდებოდა სუყველა იმ ამბის ჭეშმარიტება, რომ ტიბეტელ ბრძენკაცთ არაერთი განმგებელთმოძღვარი ჰყავთ, რომ გრძნება-ჩხიბვით შეიძლება სიყვარულის იქ გამოხმობა, სადაც ურთიერთლტოლვა წამლადაც არა ჩანს, რომ ზოგზოგი წეს-ჩვეულების აღსრულებისას უმალ მოიხილავ, ვითარ გაიღება შენ წინაშე სამოთხის ბჭე-კარი.

პეტრუსმა კი, რჩეულნი არ არიანო, მითხრა. რჩეული, სხვათაგან გამოყოფილი და უპირატესია სუყველა, ვინც იმის მაგივრად, რომ თავს იმტვრევდეს, მაინც რა მინდა, აქ რა მესაქმებაო, რაღაცის ქმნას ანდა თავის გულში აღმაფრენის გაღვიძებას გადაწყვეტს. სამოთხის კარიბჭესთან რუდუნებას მივყავართ, უფალთან კი — ჩვენსავე გარდამქმნელ-გადამხალისებელ სიყვარულს. და **სულიწმიდასთან** უწინარესად აღმაფრენა გვაკავშირებს და არა ასჯერ თუ ათასჯერ გადაკითხული კლასიკური ტექსტები. სასწაულთაც იმის რწმენის წყურვილი ხდის შესაძლებელს, რომ თავად ცხოვრებაა სასწაული და არა ყბადაღებულნი „საიდუმლო რიტუალნი“ ანდა „კურთხევის წეს-ჩვეულებანი“. და ადამიანს ადამიანად მხოლოდ თავისი ბედისწერის აღსრულების გადაწყვეტილება აქცევს და არა წუთისოფლის იდუმალებისა გამო ტვინის ჭყლეტა თუ ჩირთიფირთი.

და აი აქა ვარ. უკან კი იმ გზის ნახევარზე ცოტათი მეტი დარჩა, რომელ გზასაც სანტიაგო-დე-კომპოსტელაში მივყავართ.

იმ დღეს ლეონში, აწ უკვე აგრე შორეულ 1986 წელს, ჯერეთ კიდევ არ ვიცი, რომ ექვს თუ შვიდ თვეში წიგნს დავწერ ყოველივე იმის შესახებ, რაც რამ ამ გზაზე მოვიხილე და განვიცადე, რომ ჩემს სულში უკვე ეპირება განძეულის საძებნელად წასვლას მწყემსი სანტიაგო, რომ ქალი, სახელად ვერონიკა, აბს აბზე გადაყლაპავს თავის მოსაკლავად, რომ პილარი მალე ჩაიმუხლებს რიოპედრას ნაპირზე და ატირდება, და დღიურის წერას დაიწყებს. არცრა ეს ამბავი ჯერეთ კიდევ არ ვიცი. მხოლოდ გაღიზიანებასა და დაძაბულობას ვგრძნობ, და პეტრუსთან საუბრის გაბმის თავი არა მაქვს, რამეთუ ამწუთას მივხვდი: ვეღარცროდის ვერ მივუბრუნდები ჩემს ძველ საქმეებსა და საზრუნავს, თუნდაც ამას მოჰყვეს გვარიანი თანხა ყოველი თვის ბოლოს, ჩემი კარგი უცვლელი გუნება-განწყობილება და ის სამუშაო, რომელიც ჩემთვის უცხო არ არის და არცთუ ცუდად გამომდის. სხვა გზა არა მაქვს, უნდა გამოვიცვალო და დავიძრა ჩემი ოცნების მიმართულებით, რაგინდ უაზრო-ბავშვური და სრულიად აუხდენელიც არ უნდა ჩანდეს, — სხვა სიტყვებით თუ ვიტყვი, **მწერალი უნდა გავხდე**. სულის სიღრმეში, საკუთარი თავის უჩუმრად, საწერად მუდამ მექავებოდა ხელი, მაგრამ ვერა და ვერ გამებედა ამ ტვირთის ზურგზე მოგდება.

პეტრუსი ბოლომდე ცლის თავის ყავასა და მინერალურ წყალს, მთხოვს დანახარჯის გადახდას და გზის მალევე განგრძობას, რაკი შემდგომ ქალაქამდე სულ რამდენიმე კილომეტრია დარჩენილი. ჩვენ გვერდით ამვლელ-ჩამვლელნი მიმოდიან, ერთმანეთში საუბრობენ, თან ცალი თვალით ორი შუახნის პილიგრიმისკენ იყურებიან და, ალბათ, ფიქრობენ: „ქვეყნად იცოცხლე, ბლომად იპოვებიან შერეკილნი, რომელნიც მუდამ მზად არიან დიდი ხნის წინათ გარდაცვლილი წარსულის გასაცოცხლებლადო“*. მზე უკვე შუბის ტარზე იხრება, სიცხე 27 გრადუსზე ნაკლები არ იქნება, მე კი მეათასედ ვეკითხები ჩემს თავს, მაინც რა მინდა, აქ რა მესაქმება-მეთქი.

მე რა, ცვლილებათა მომხრე ვიყავი? მგონი, რომ არა, თუმცაღა ამ გზამ სავსებით გამომცვალა. მე რა, საიდუმლოთა ამოცნობა მსურდა? ალბათ, დიახ, მსურდა, თუმცაღა ეს გზა უსუსტრად ჩამაგონებდა, ქვეყნად არცრა საიდუმლოება საერთოდ არ არისო, რამეთუ, ქრისტეს თქმით, არა არის რა დაფარული, რომ არ გაცხადდეს. ერთი სიტყვით, ყველაფერი პირიქით მოხდა მოსალოდნელთან შედარებით.

… ვდგებით და მდუმარედ განვაგრძობთ გზას. საგონებელსა ვარ მიცემული, ეჭვი და ურწმუნოება მტანჯავს, პეტრუსი კი, ალბათ, მილანში მიტოვებულ თავის სამუშაოზე ფიქრობს, ხოლო აქ იმიტომ აღმოჩნდა, რაკი ტრადიციის რაღაც წეს-ჩვეულებას მისდევს, ოღონდ, უფრო შესაძლებელია, თავადაც იმას ელოდებოდეს, ნეტავი როდის დასრულდება ეს მოგზაურობა და როდის მივუბრუნდები ჩემს საყვარელ საქმიანობასო.

მთელ დანარჩენ დღეს დუმილში ვლევთ. იმხანად ჯერეთ კიდევ არ იყო ფიჭვური ტელეფონი, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა. და ამიტომ ჩაკეტილნი ვართ ჩვენი იძულებული ურთიერთობის ნაჭუჭში. სანტიაგო-დე-კომპოსტელა ჯერეთ კიდევ წინ არის, იმის წარმოდგენაც კი არ შემიძლია, რომ გზა არა მარტო ამ ქალაქში, არამედ მსოფლიოს მრავალ სხვა ქალაქშიც მიმიყვანს. არც მე და არც პეტრუსს ფიქრადაც არ მოგვდის, რომ ლეონის დაბლობზე ჩამომდგარ ამ დაისის ჟამს იმის მშობლიურ მილანისკენაც მიჭირავს გეზი, სადაც ათ წელიწადში მოვხვდები, და უკვე ხელთ მექნება წიგნი, რომელსაც „ალქიმიკოსი“ ერქმევა. მივალ, მივდივარ ჩემი საკუთარი ბედ-იღბლის შესახვედრად, რომელზედაც აგრე ძლიერად ვოცნებობდი და რომელსაც აგრე ხშირად ვეუარებოდი.

მივალ, მივდივარ, რათა ჩემი აღორძინების ამბავი დავწერო.

**პაულო კოელიო,**
**სენ-მარტენი, 2006 წლის იანვარი.**

თარგმნა
**გურამ გოგიაშვილმა**

(გაგრძელება იქნება)

**** იმ წელიწადს, როცა ლოცვად ვიყავი მავალი, სანტიაგოს გზაზე სულ 400 კაცმა გაიარა. 1999 წელს, არაოფიციალური ციფრით, აქ მოხსენიებულ ბართან დღეში 400 კაცი გადიოდა.***

დღესაც ჟურნალ-გაზეთები „გაჯერებულია“ მისი იურიდიული კონსულტაციებით. საქართველო იურისტების ნაკლებობას ნამდვილად არ განიცდის, მაგრამ მედიის საშუალებათა უმრავლესობა, მათ შორის, „საქართველოს რესპუბლიკაც“ ირინე ღლონტის იურიდიული კონსულტაციით სარგებლობს



№ 32. სამშაბათი, 20 თებერვალი, 2007 წელი.

## რას ფიქრობს ხალხი?

(მეხუთე გვერდიდან)

# ვანგრევთ თუ ვაშენებთ?

„ცენტრპოინტ ჯგუფმა“ რომ მთელი თბილისი სამშენებლო პოლიგონად გამოაცხადა, განა ეს შეიძლება? გაიხედეთ, სპორტის სასახლესთან, რამდენი მრავალსართულიანი სახლი ააშენეს, მრავალსართულიან შენობებს რომ ერთმანეთის მიყოლებით აკვეხებენ ყველგან, ჩვენ რა, აქ მცხოვრებლებს, ჰაერი არ გვინდა? შეაჩერეთ მშენებლობები, თორემ სულ გადავგვარდებით. თუ ქართველები არ ვიქნებით, ვისთვის გინდათ ეს სახლები?

**გულიკო ასანიძე, სტუდენტი:** მე, ჩემო კარგო, ყველაფერი მომწონს, რასაც ჩვენი ხელისუფლება აკეთებს. როგორ შეიძლება არ გქონდეს უფლება და ააშენო? მეც მინდა, მქონდეს ჩემი „სალონი“, ვოცნებობ ამაზე. ამიტომ წავიდე და თავისუფლების მოედანზე ავაშენო? შეხედეთ, როგორ გალამაზდა თბილისი, გასუფთავდა, მიხარია, ქუჩაში რომ დავდივარ, არც ღამე მეშინია სიარული. იმიტომ, რომ ყოველ ნაბიჯზე პატრულები დადიან. თქვენ ისევ ჭაობში გინდათ ცხოვრება, როგორც იყავით. ასე არ შეიძლება, დარწმუნებული ვარ, რაც დაინგრა, ყველა უკანონოდ იყო აშენებული. ვალმერთებ ჩვენს პრეზიდენტს, ვიცი, არ დაწერთ, მაგრამ მე მაინც ვამბობ.

**ასმათ გოცირიძე, პედაგოგი:** გაოცებული დავრჩი, როცა გავიგე, ბინებს ართმევენ, ვისაც ადრე მისცესო, მერე გავიგე, რამდენი კორუმპირებულია იმ სიაში. ნუთუ კიტოვანს (სახელიც კი არ მინდა მისი ვახსენოძ, კაცს, რომელმაც თბილისის შუაგული გადაწვა, ხალხის მიერ დიდი სიყვარულით არჩეული კანონიერი პრეზიდენტი აიძულა საქართველო დაეტოვებინა და ჩერნეთის მიწაზე ეპოვა სავანე, კიდევ ბინა ეკუთვნოდა ამის სანაცვლოდ? მე რომ პროკურორი ვიყო, კიტოვანს ერთ საათსაც კი არ ვამყოფებდი გარეთ. მიუხედავად იმისა, რომ ზვიადის მომხრე არ ვყოფილვარ, მიმაჩნდა და ახლაც მიმაჩნია, რომ იგი საპრეზიდენტო კაცი არ იყო, მაგრამ რადგან ხალხის უმრავლესობამ აირჩია, ვალდებული ხარ, ქედი მოიხარო და მას დაემორჩილო. მით უმეტეს, რომ სწორედ ზვიადმა დანიშნა კიტოვანი სარდლად. რა უფლება აქვს მას და კიდევ ბევრ მისთანას, როცა ხასიათზე მოვა, „ნოტაციებს“ გვიკითხავდეს პრესით? სირცხვილი სულ არ აქვს ამ კაცს. ბინა კი არ უნდა მიეცათ, რაც ადრე ჰქონდა, ის სასახლეც უნდა ჩამოერთმიათ. იგი ისეთი დამნაშავეა, ციხეში უნდა იჯდეს, მასთან ერთად ისიც უნდა დაისაჯოს, ვინც კიტოვანისთვის ბინის მიცემას ხელი მოაწერა. სხვა პირებთან საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. მიცემულის წართმევა არ შეიძლება.



**ნანული ცნობილაძე, დიასახლისი, 5 შვილის დედა:** დიდუბეში ვცხოვრობ, გარეთ გამოსვლა არ მინდოდა, ჩემს ეზოში ისეთი ანტისანიტარია იყო. ახლა ხომ ხედავთ, როგორ გალამაზდა ყველაფერი. ბაღები, სკვერები ძალიან კარგია, ხშირად გამოვდივარ და ვისვენებ ბაღში. მადლობა ქალაქის ხელმძღვანელობას, პირველ რიგში კი ჩემს პრეზიდენტს.

**გიორგი ცაგარეიშვილი, უმუშევარი, თბილისელი:** მესმის, ქალბატონო, კარგია თბილისს რომ ალამაზებენ, მაგრამ უკეთესი არ იქნებოდა, ჯერ ხალხის ცხოვრების დონის გაუმჯობესებისათვის უფრო მეტი დაეხარჯათ ბიუჯეტიდან? წარმოიდგინეთ, მარტო თბილისში რამდენი შადრევანი აშენდა, საახალწლოდ და სხვა საზეიმო დღეებში რამდენი იხარჯება კონცერტებზე, საზღვარგარეთიდან ვარსკვლავების ჩამოსაყვანად, მაშინ, როცა ბევრ ჩვენგანს ელემენტარულად ბავშვებისთვის სასკოლო წიგნების შეძენის საშუალებაც არა აქვს.

იციან, რამდენი დაიხარჯა სასკოლო ფორმების შესაძენად? იკითხეთ, რამდენი დადის ამ ფორმით დღეს სკოლაში. თითზე ჩამოსათვლელია ასეთი ბავშვი. მაშ, რისთვის დახარჯეს ამდენი თანხა? შთაბეჭდილება მრჩება, რომ ჩვენი ხელისუფლება გადაწყვეტილებას ისე იღებს, არ ფიქრობს. მართალია, რომ ასეთი გადაწყვეტილებები ახალგაზრდებს სჩვევიათ, ჩვენი ხელისუფლებაც ჯერჯერობით ყმაწვილურ ასაკშია, მაგრამ ნურც იმას დავივიწყებთ, რომ დავითი 15 წლისა მეფე იყო და მერე როგორი მეფე. გაუმარჯოს დავით მეფეს!

ესაუბრა
**ნაზი იმნაიშვილი**

## ადამიანი — დროში

# „გათენდება, შენზე ვლოცულობ...“



## ირინე ღლონტის კონსულტაციები

*ამ მშვენიერ ქალბატონს, ჟურნალისტსა და იურისტს ირინე ღლონტს ლამის მთელი საქართველო იცნობს. იგი წლების განმავლობაში ტელეეკრანიდან თუ რადიოთი თავისი ნაზი, ხავერდოვანი ხმით გვესაუბრებოდა. მისი იურიდიული კონსულტაციები ხშირად იბეჭდებოდა ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე და სწორი, პროფესიული განმარტებებით ბევრ პრობლემას აცილებდა ხალხს. ირინე ღლონტი ჟურნალისტი და იურისტი, ჩინებული მოქართულე და იურისპრუდენციის ზედმიწევნით მცოდნე, ყველა, ვინც კი მას მიმართავდა, უსაფუძვლოდ დაჩაგრული, თუ თავის უფლება-მოვალეობებში გაურკვეველი, ყველას კანონისმიერ გზას უჩვენებდა და აკვალიანებდა. და არა მხოლოდ ზემოთ ჩამოთვლილი საშუალებებით ირჯებოდა, არამედ, პარალელურად იღვწოდა საქართველოს სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროში, მოგვიანებით კი შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში, სადაც საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს ხელმძღვანელობდა და წლების შემდეგ, ეს დეპარტამენტი რეორგანიზაციამ შეიწირა.*

რამდენჯერ შევსწრებივარ, სამინისტროში, ბრიფინგის შემდეგ პირველ სართულზე, მის მყუდრო და გემოვნებით მოწყობილ კაბინეტში როგორი გულისხმიერებით იღებდა ყოველ მომსვლელს, რომელთა შორის უკიდურესად გაჭირვებულები ჭარბობდნენ. ერთხელ, შევეკითხე კიდეც:

**— თქვენს მისაღებში ბევრი მოქალაქეა, კაბინეტს კი მიღების დღეები და საათები არ აწერია. არ იღლებით, როგორ ახერხებთ ამდენი ხალხის მიღებას?**

— ვიღლები, მაგრამ ვცდილობ მიღებაზე მოსულ მოქალაქეებს ბოლომდე მოვუსმინო. ისეთი დღეებიც ყოფილა, რომ შინ მისულს, შვილებთან საუბრის თავიც აღარ მქონია. მაგრამ, მაინც ბედნიერი ვარ, რომ ჩემი ოთახიდან უკმაყოფილო არავინ წასულა. ბუნებრივია, შეკითხვაზე, ყველას დადებით პასუხს ვერ გასცემ, მაგრამ თუ მოთმინება გეყოფა და სრულყოფილად აუხსნი, ხალხი მაინც მადლიერი დაგრჩება.

ამიტომაც ჰყავს ბევრი მადლიერი. ქალბატონი ირინე სათუთად ინახავს წლების განმავლობაში მისთვის გამოგზავნილ ბარათებს. ერთ-ერთი მათგანი ასე იწყება: „დილა გათენდება, შენზე ვლოცულობ, დაღამდება და კიდევ შენზე ვლოცულობ. თუ ქმარ-შვილი გყავს, ღმერთმა გიცოცხლოს, თუ არადა, ღმერთმა ბედნიერი მომავალი მოგცეს. შენი გადაცემის წყალობით ყოველთვიური პენსია დამენიშნა და საარსებო წყარო გამიჩნდა“. ან თუნდაც ეს წერილი: „ქალბატონო ირინე, მადლობა იმისათვის, რომ ხართ ისეთი, როგორიც ხართ. ამ ბარათს ზუგდიდიდან გიგზავნით. ალბათ გახსოვთ,ატირებული მოვედი თქვენთან სამინისტროში, შვილი მყავდა ავად, ოპერაცია სჭირდებოდა, მე კი, არანაირი სახსარი არ გამაჩნდა. თქვენ მანუგეშეთ, მითხარით, რომ ჩემს შვილს უფასოდ ეკუთვნოდა ოპერაციის გაკეთება. ყველა გზა მასწავლეთ, თან ისე გულიანად ირჯებოდით, მაიმედებდით... ყველაფერი კარგად დასრულდა. ღმერთმა დაგლოცოთ, თქვენც და ის ექიმებიც, შვილი რომ გადამირჩინეს“.

დამეთანხმებით, ბევრ ჯილდოს გადაწონის ერთი ასეთი ბარათი, თუმცა არც სახელმწიფო ჯილდოები აულია.

ამ კეთილშობილი პიროვნების სამსახურებრივი სტატისტიკა ასეთია: იგი 22 წლისა მივიდა და 40 წელიწადს ზემოთ ხსენებულ სამინისტროში გაიარა გზა რიგითი სპეციალისტიდან დეპარტამენტის უფროსამდე; 24 წელი ტელეეკრანს არ მოსცილებია, პარალელურად კი, 28 წელი რადიოდან ესაუბრებოდა მსმენელს.

ირინე ღლონტი ამჟამად თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტში მომავალ იურისტებს შრომისა და სოციალური დაცვის სამართალს ასწავლის, და, რაც მთავარია, ადამიანურ თვისებებს, გაჭირვებულის დახმარებას და მათი კანონიერი უფლებების დაცვის ხელოვნებას აზიარებს. გარდა ამისა, ირინე ღლონტი დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტსა და თბილისის დამოუკიდებელ უნივერსიტეტ „იბერიაში“ მომავალ ჟურნალისტებს და იურისტებს მოძღვრავს. ის სტუდენტების საყვარელი პროფესორია.

დღესაც ჟურნალ-გაზეთები „გაჯერებულია“ მისი იურიდიული კონსულტაციებით. საქართველო იურისტების ნაკლებობას ნამდვილად არ განიცდის, მაგრამ მედიის საშუალებათა უმრავლესობა, მათ შორის, „საქართველოს რესპუბლიკაც“ ირინე ღლონტის იურიდიული კონსულტაციით სარგებლობს.

ბევრს მარტო იურისტი ვგონივარო, არაერთხელ უთქვამს ქალბატონ ირინეს. ვისაც ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული მისი საინტერესო წერილები, ჩანახატები და ლექსები წაუკითხავს, ასე ნამდვილად არ იფიქრებს.

* * *

ბევრს უკვირს, ამდენ საქმეს შეჭიდებული ეს დიდი ოჯახის დიასახლისი, მეუღლე, დედა, ბებია, ეს ნაზი ქალი, შინ თუ გარეთ ამდენ საქმეს როგორ აუდის. ქალბატონ ირინეს ოჯახში გამგები და თანამდგომი ადამიანები რომ არ ჰყავდეს, ალბათ ამდენს ვერ შეძლებდა. ეს კი უწინარესად მისი მეუღლის დამსახურებაა. სტუდენტობის დროს დაწყებული მომავალი ჟურნალისტის ირინე ღლონტისა და ინჟინერ-ტექნოლოგის ლევან დათუკიშვილის ლამაზი სიყვარულისთვის წლებს ვერაფერი დაუკლია, პირიქით, მათი ურთიერთობა, მათი მშვენიერი ოჯახი, სანიმუშო და მისაბაძია ირგვლივმყოფთათვის. მათ ბევრი რამ აქვთ საერთო, ისიც, რომ ორივეს მუზა ხშირად სტუმრობს. იგი რამდენიმე წიგნის ავტორია. საყვარელი მეუღლეა მისი მუზა და შთაგონების წყარო.

ქალბატონ ირინეს და მის მეუღლეს ორი შვილი ჰყავთ ნინო და ბესიკი, ორივე დაოჯახებულია. ნინო ფილოლოგია და საქართველოს რადიოში საავტორო გადაცემას უძღვება. ბესიკმა დედის მეორე პროფესია აირჩია, იურისტია. სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდში სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის უფროსია და ამავე დროს დოქტორანტია. ქალბატონი ირინე სამი შვილიშვილით და ამდენივე შვილთაშვილით ხარობს.

იშვიათად ხდება, რომ ადამიანი ერთდროულად წარმატებული იყოს საქმესა და პირად ცხოვრებაში. მით უმეტეს, როდესაც ეს ქალებს ეხება. მაგრამ ქალბატონი ირინე პიროვნული თვისებების, პროფესიონალიზმისა და შრომისმოყვარეობის წყალობით იმ გამონაკლისთა რიცხვს მიეკუთვნება, ვინც ეს თანაბრად შეძლო.

* * *

ხანდახან შემოივლის რედაქციაში ღიმილიანი, სათნო ქალბატონი, მოვიკითხავთ ერთმანეთს, ინფორმაციას „გავცვლით“. მერე თავისი გადამდები სიმშვიდით დაგვმუხტავს და წავა.

ამ დღეებში ჩვენთან სტუმრობისას ვკითხე:

**— ქალბატონო ირინე, კონსულტაციისთვის უფრო ვინ მოგმართავთ, დღესდღეობით რა უფრო აწუხებს, რა აინტერესებს ჩვენს მოსახლეობას?**

— უფრო მეტად მოხუცები, ინვალიდები, მრავალშვილიანი ოჯახები და მარტოხელები მომმართავენ. მიმაჩნია, რომ სახელმწიფოსაგან დღეს სწორედ მათ სჭირდებათ განსაკუთრებული მზრუნველობა და დახმარება, ვინაიდან, როგორც შეკითხვის ავტორები აღნიშნავენ, მათ ელემენტარული საარსებო პირობებიც კი არ გააჩნიათ და ის პენსია თუ დახმარება, რომელსაც იღებენ, მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებს ოჯახის მატერიალურ-საყოფაცხოვრებო მოთხოვნებს.

შეკითხვების ავტორთა შორის არიან აგრეთვე სამუშაოდან უსაფუძვლოდ დათხოვნილი პირები, მათ შორის, ახალგაზრდები, რომლებსაც მცირეწლოვანი შვილები და უმუშევარი მეუღლეები ჰყავთ.

თუმცა, ამ ბოლო წლებში, სახელმწიფო ასეთ დაუცველ ოჯახებს, ყოველთვიურ ფულად დახმარებას აძლევს (2006 წლის ივნისიდანძ, უწევს გარკვეულ შეღავათებს კომუნალური გადასახადების, სამედიცინო მომსახურების, მგზავრობისა და სხვა სახის დახმარებით, მაგრამ ასეთი კონტინგენტი, ზოგადად გაჭირვებულებთან შედარებით იმდენად მცირეა, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი მაინც სოციალურად დაუცველია. პენსიონერების უმრავლესობა კი იმის გამო უკმაყოფილო, რომ, მათ პენსია შრომითი სტაჟის მიხედვით არ დაენიშნათ. და ისინიც უსტაჟოებს გაუთანაბრეს...

**ბელა დურგლიშვილი**

**ამჟამად კი ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ძირითადი წყაროა ავტოტრანსპორტი. ქვეყნის ავტოსატრანსპორტო საშუალებების საკმაოდ მოძველებული პარკი, დაბალი ხარისხის საწვავის მოხმარება, ზოგიერთ ადგილებში საავტომობილო მაგისტრალების არადამაკმაყოფილებელი ტექნიკური მდგომარეობა ხელს უწყობს ატმოსფერული ჰაერის გაჭუჭყიანებას**



ეკოლოგია

# რაღაა იგი ჰაერი, რომლის ჩასუნთქვაც მოგვწამლავს?!

***უცხოეთიდან საქართველოში სულ უფრო და უფრო შემოდის ძველი, ნახმარი ავტომანქანები, რომელთა ტექნიკური მდგომარეობა აშკარად არადამაკმაყოფილებელია, რაც მნიშვნელოვნად ზრდის ატმოსფერული ჰაერის გაბინძურებას მავნე გამონაბოლქვებით. თუმცა ქვეყანაში არც ადრე ყოფილა სახარბიელო მდგომარეობა. ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იან წლებში სამრეწველო სექტორის წილი ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებაში 28-30 პროცენტს შეადგენდა, ავტოტრანსპორტის — 70-72 პროცენტს, ხოლო 1995-2005 წლების მონაცემებით ავტოტრანსპორტის წილი 80-დან 85 პოცენტამდე გაიზარდა.***

***სავალალოა ერთი ძველი მონაცემი: 1987 წელს თბილისში ავტოტრანსპორტიდან ატმოსფერულ ჰაერში გამოფრქვეულმა მავნე გაზებმა 311 ათასი ტონა შეადგინა, რის გამოც ქალაქის თითოეულ მოსახლეზე 225 კგ მავნე ნივთიერება მოდიოდა. ეს კი ადამიანის ჯანმრთელობისთვის სასიკვდილოა.***



ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ მსოფლიოს ყველა ქვეყნის დიდქალაქში განხორციელებული გამოკვლევებით დადგენილია, რომ მყარი შეწონილი ნაწილაკებით დაბინძურებული ატმოსფერული ჰაერის ზეგავლენით ყოველწლიურად ათასობით ადამიანი იღუპება. ევროპის ქალაქებში მოზრდილთა ყოველწლიური სიკვდილიანობა 36 ათასიდან 129 ათასამდე გაიზარდა, რაც დაბინძურებული ატმოსფერული ჰაერის ხანგრძლივი ზემოქმედებით არის გამოწვეული.

ყოფილი საბჭოთა კავშირის დიდ ქალაქებში დაბინძურებული ატმოსფერული ჰაერის ზეგავლენის გამო ყოველწლიურად ნაადრევი სიკვდილიანობის 40 ათასი და დაავადებების 100 ათასი შემთხვევა აღირიცხება. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის ბოლო, № 99 ბიულეტენში გამოქვეყნებული მონაცემებით, მეოცე საუკუნის ბოლოს აშშ-ში ჰაერის დაბინძურების შედეგად გამოწვეულმა ზარალმა 18 მილიარდი დოლარი შეადგინა, ინგლისში — 250 მილიონი გირვანქა სტერლინგი, ხოლო იაპონიაში — 200 მილიონი იენი.

სწორედ ამიტომ, ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების წინააღმდეგ ღონისძიებების განხორციელება თითოეული სახელმწიფოს ერთ-ერთ პრიორიტეტად უნდა იქნეს მიჩნეული, მით უმეტეს, ეს შეეხება ჩვენს ქვეყანას, რომელმაც ბოლო წლებში ტვირთის გადაზიდვის სატრანზიტო დერეფნის ფუნქცია მიიღო.

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს 2005 წლის გამოკვლევით, ქვეყნის ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებაში ლომის წილი ისევ საწარმოებზე მოდიოდა, როგორიცაა ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა (34,9 პროცენტით), შპს ბათუმის ნავთობტერმინალი (16,5 პროცენტით), სს „კასპიცემენტი“ (11,2 პროცენტით), სს „რუსთავცემენტი“ (7,7 პროცენტით).

**ამჟამად კი ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ძირითადი წყაროა ავტოტრანსპორტი. ქვეყნის ავტოსატრანსპორტო საშუალებების საკმაოდ მოძველებული პარკი, დაბალი ხარისხის საწვავის მოხმარება, ზოგიერთ ადგილებში საავტომობილო მაგისტრალების არადამაკმაყოფილებელი ტექნიკური მდგომარეობა ხელს უწყობს ატმოსფერული ჰაერის გაჭუჭყიანებას.**

მსოფლიო ბანკის 2004 წლის მონაცემებით საქართველოში ყოველ ათას კაცზე 95 მსუბუქი ავტომანქანა მოდიოდა. 2005 წლისათვის საქართველოში აღრიცხვაზე სულ 341.500 ავტომანქანა ყოფილა, რომელმაც წლის განმავლობაში 585600 ტონა საწვავი მოიხმარა — აქედან 334 200 ტონა ბენზინი და 251 400 ტონა დიზელის საწვავი. დადგენილია ის ფაქტიც, რომ მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების რაოდენობრივი მახასიათებლების გაანგარიშებით ბენზინზე მომუშავე ავტოტრანსპორტიდან ატმოსფეროში უფრო მეტი მავნე ნივთიერებები გაიფრქვევა, ვიდრე დიზელის საწვავზე მომუშავიდან. 2005 წელს ამ სექტორიდან ატმოსფეროში გამოიყო 245858 ტონა მავნე ნივთიერება (ნახშირორჟანგის გარეშე), მისი ჩათვლით კი — 2124463 ტონა. სამწუხაროდ, მავნე ნივთიერებების ჰაერში გაფრქვევის დინამიკა ახლაც იზრდება.

ავტოტრანსპორტის გამონაბოლქვები შეიცავენ 200-ზე მეტ სხვადასხვა ქიმიურ ნივთიერებას, რომელთაგან უმრავლესობა მოსახლეობის ჯანმრთელობისთვის განსაკუთრებულად საშიშია.

ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით ავტოტრასპორტის ინტენსიური მოძრაობის ადგილების მახლობლად მცხოვრებ ბავშვებში რესპირატორული დაავადებების განვითარების რისკი 50 პროცენტით მეტია, ვიდრე იქ, სადაც ტრანსპორტის მოძრაობა ნაკლებია.

ყოვლად მიუღებელია ის გარემოება, რომ ქვეყანაში არ წარმოებს ავტოგასამართ სადგურებზე ბენზინის ტრასპორტირების, მანქანაში ჩასხმის, ბენზინის პისტოლეტიდან საწვავის დაღვრით ან აორთქლებით გამოწვეული დანაკარგებისა და ატმოსფეროში ამ გზით მოხვედრილი სხვადასხვა მავნე ნივთიერებების რაოდენობრივი აღრიცხვა.

დასავლეთ საქართველოში განხორციელებული გამოკვლევებით დადგინდა, რომ ყველაზე მაღალ ეკოლოგიურ დატვირთვას განიცდის აჭარის მოსახლეობა, სადაც ერთ სულ მოსახლეზე წლის განმავლობაში მოდის 140 კილოგრამი მავნე ნივთიერება. ეკოლოგიური დატვირთვის მახასიათებლებით მეორე ადგილზე იმერეთია, სადაც ერთ სულ მოსახლეზე წლის განმავლობაში თითქმის 16 კგ მავნე ნივთიერება მოდის.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პარლამენტის 1999 წლის 22 ივლისის დადგენილებით აიკრძალა „ტყვიაშემცველი ბენზინის, ტეტრაეთილტყვიის აგრეთვე არასტანდარტული საყოფაცხოვრებო კომუნალური მოხმარების თხევადი გაზის იმპორტი და რეალიზაცია“, 2000 წლისათვის ქვეყნის მასშტაბით ეთილირებული ბენზინის გამოყენება მთელი მოხმარებული ბენზინის 10 პროცენტს შეადგენდა, ხოლო ატმოსფეროში გაფრქვეული ტყვიის მთელი მოცულობის 90 პროცენტი მოდიოდა ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე.

მედიკოსების აზრით, ტყვია მიეკუთვნება პირველი კლასის ტოქსიკურ ნივთიერებათა ჯგუფს, რომელიც აზიანებს ნერვულ სისტემას, ზეგავლენას ახდენს სისხლის წარმომქმნელ და კარდიოვასკულარულ სისტემებზე, ასევე იწვევს ქალთა რეპროდუქციული ფუნქციის მოშლას, აფერხებს ბავშვთა და მოზარდთა ინტელექტუალურ განვითარებას, ამიტომაც ტყვიაშემცველი ბენზინის დიდი ოდენობით შემოტანა უნდა აიკრძალოს და ეს პრობლემა საბოლოოდ გადაიჭრას, თუმცა ჯერჯერობით მდგომარეობა კვლავაც სავალალოა.

თბილისის ინტენსიური მოძრაობის მაგისტრალებზე, თუნდაც დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის გამზირზე განხორციელებული გამოკვლევებით დადგინდა, რომ ჰაერში ტყვიის შემცველობა ამ ადგილებში გაცილებით მეტია, ვიდრე განაპირა უბნებში, თუმცა ორივე შემთხვევაში მნიშვნელოვნად აჭარბებდა დასაშვებ ნორმებს.

მალე დათბება თბილისში, სწორედ ცხელ ამინდებში უფრო იგრძნობა ატმოსფერული ჰაერის გაჭუჭყიანება და ავტომობილებიდან მავნე გამონაბოლქვი, რაც ჩვენს ჯანმრთელობას საფრთხეს უქმნის. ამიტომაც გარემოს დაცვას ამ მიმართულებით განსაკუთრებული ყურადღება სჭირდება.

**ლალი ქინქლაძე**

ინფორმაცია

## ისევ თურქული ავიაკომპანია

**საქართველოში უახლოეს ხანებში ფრენებს განახორციელებს თურქული ავიაკომპანია „პეგასი“, რომელიც სხვა კომპანიებისგან განსხვავებით, საკმაოდ დაბალი ტარიფებითა და მაღალი მომსახურების პირობებით გამოირჩევა.**

**საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის გიორგი არველაძის განცხადებით, თურქული ავიაკომპანია საქართველოში დაფუძნდება და ახალი ერთობლივი ავიაკომპანია „საქართველო-პეგასი“ შეიქმნება, რომელიც მგზავრებს შედარებით დაბალი ტარიფებით მოემსახურება.**

**„საქართველოში მეტი ავიაკომპანიები უნდა შემოვიდეს, რათა ფრენები უფრო იაფი და კომფორტული გახდეს. ჩვენ რამდენიმე ავიაკომპანიასთან ვმუშაობთ, რათა იაფიანი ავიაკომპანიები საქართველოში შემოვიდნენ, რაც ტურიზმის განვითარებისათვის მეტად მნიშვნელოვანია“, — განაცხადა გიორგი არველაძემ.**

**არველაძის განმარტებით, თურქულ „პეგასთან“ ურთიერთობა საქართველოში ტურიზმის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტორია.**

## საქართველო — „მაღალი“ რისკის კატეგორიაში

**„მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციისა“ და გაეროს მონაცემებით, ადამიანთა გატაცება, მათი შემდგომი მონური ექსპლოატაციის მიზნით, უმეტესად მსოფლიოს 127 ქვეყანაში ხდება. ძირითადად „მსხვერპლის როლში“ უცხო ქვეყნის მოქალაქეები არიან.**

**ადამიანის გატაცების მაჩვენებელი გრიფით „ძალიან მაღალი“ — რუსეთში, უკრაინაში, ბელორუსიაში, მოლდოვაში და ლიტვაშია დაფიქსირებული.**

**ამ მაჩვენებელს ერთი საფეხურით „ჩამორჩება“ და გრიფით „მაღალი“ ქვეყნების კატეგორიაში შედის — სომხეთი, საქართველო, ყაზახეთი და უზბეკეთი.**

**სულ მსოფლიო მასშტაბით — 77 % ადამიანებით მოვაჭრეთა მსხვერპლნი ქალები არიან, 33 % კი ბავშვები. აღნიშნულ შემთხვევათაგან 87 % მათ სექსუალური ექსპლუატაციისთვის იყენებენ.**

**სულ მსოფლიოს მასშტაბით, ყოველწლიურად მონობაში 900 ადამიანი ხვდება.**

**ჯი-ეიჩ-ენი**

ვითარება

# აგვივლის გვერდს ფრინველის გრიპი?

***სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, კრასნოდარის ოლქში კვლავ დაფიქსირდა ვირუსი, ამიტომ საქართველოში ფრინველის გრიპის საწინააღმდეგო პრევენციული ღონისძიებები რუსეთში ფრინველის გრიპის დაფიქსირების დღიდან გაძლიერებულ რეჟიმში ხორციელდება. ყველა რაიონში შექმნილია გრიპთან ბრძოლის შტაბი, რომლებიც აღჭურვილია სადეზინფექციო ტექნიკითა და საჭირო ხსნარებით, აგრეთვე სპეცტანსაცმლითა და სხვა დამცავი საშუალებებით. შტაბებში დაწესებულია სადღეღამისო მორიგეობა, მოქმედებს ცხელი ხაზი. ენგურის ხიდზე მოეწყო სპეციალური სადეზინფექციო ხალიჩა, სადაც სამსახურის ვეტერინარები ყველა აუცილებელ ღონისძიებას ახორციელებენ.***

ფრინველის ჯანმრთელობაზე განხორციელებული მონიტორინგის შედეგების მიხედვით, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე არც გარეული და არც შინაური ფრინველის სიკვდილიანობა არ აღინიშნება. ერთეული შემთხვევები კი მხოლოდ მექანიკური დაზიანებებით არის გამოწვეული, რაც ადამიანის ჯანმრთელობას საფრთხეს არ უქმნის.

სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის პრესასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში აცხადებენ, რომ ფრინველის გრიპის წინააღმდეგ შექმნილი ბრძოლის შტაბში მუშაობა 24 საათის განმავლობაში არ წყდება. საშიშროებამ მოიმატა, რადგან მეზობელ თურქეთშიც კი დაფიქსირდა ფრინველის გრიპის შემთხვევა, ხორციელდება გაძლიერებული პრევენციული ღონისძიებები. დილა-საღამოს შტაბის ცხელ ხაზზე შემოდის ინფორმაცია საქართველოს მთელი ტერიტორიის მასშტაბით.

ზარზანდელთან შედარებით მართალია გამოძახება ნაკლებია, მაგრამ, ამის მიუხედავად, არც ერთი უმნიშვნელო შემთხვევა ურეაგირებოდ არ რჩება. მობილური ჯგუფი ადგილზე ჩადის, ათვალიერებს ტერიტორიას, დაღუპული ფრინველი კი ლაბორატორიულად მოწმდება. ყველა რეგიონალურ შტაბში გახსნილია ასეთი დანიშნულების ლაბორატორიები.



— მაქსიმალურად ვფლობთ ინფორმაციას, დღეისათვის სიტუაცია კონტროლირებადი და სტაბილურია. ფრინველის გრიპის გამოვლენის ნებისმიერ შემთხვევაში მიღებული იქნება მკაცრი ადეკვატური ღონისძიებები, — აცხადებენ შტაბში.

ეს, რა თქმა უნდა, კარგია და საიმედო, მაგრამ თვითდამშვიდების საშუალებას, ცხადია, არ იძლევა. ამიტომაც კვლავ ძალაშია კითხვა: ვითომ აგვივლის გვერდს ჩვენ ეს სენი?

**ნაზი იმნაიშვილი**

● ოფიციალურ თბილისში დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ ალიანსის გენერალური მდივნის იააპ დე ჰოოპ სხეფერის მიერ მიუნხენში გაკეთებულ განცხადებას, რომელმაც აღნიშნა, რომ არ გამორიცხავს უახლოესი მომავლისთვის – 2009 წლისთვის საქართველოს, უკრაინის, ალბანეთის, მაკედონიის და ხორვატიის მიწვევას ამ ორგანიზაციაში



⦿ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# დადგა აღიარების დრო

**ერთხელ, როცა ქართველთა ფორმირებებმა მორიგი ცეცხლი გაუხსნეს სამხრეთ ოსეთის დედაქალაქს, ერთ-ერთ იქაურ მოღვაწეს ვკითხე: თვითაღიარებული რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ რატომ არ იღონა ყველაფერი იმისთვის, რომ საქართველოში გამართული არჩევნების დროს თავიდან აეცილებინა ხელისუფლების სათავეში მიხეილ სააკაშვილის მისვლა? „თბილისში ხელისუფლების სათავეში პრორუსულად განწყობილი პოლიტიკოსის მისვლა იქნებოდა სამხრეთ ოსეთის, როგორც დამოუკიდებელი რესპუბლიკის არსებობის დასასრული, – მიპასუხა ჩემმა თანამოსაუბრემ. – სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს კი, შესაძლოა, მივილოთ ის, რისთვისაც ამდენი ხანია ვიბრძვით, – დამოუკიდებლობა.“ ეს ადამიანი მართალი იყო: დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სივრცეში არსებული თვითაღიარებული რესპუბლიკები აქამდე არასდროს არ ყოფილან ასე ახლოს მთავარი მიზნის მიღწევასთან, როგორც ახლა.**

### ნატოზე გაგვცვალა...

მას შემდეგ, რაც რუსეთის ელჩმა საქართველოში ვიაჩესლავ კოვალენკომ ბოლოს და ბოლოს შეძლო სააკაშვილისთვის რწმუნებათა სიგელების გადაცემა, საქართველოს პრეზიდენტი კვლავ ალაპარაკდა რუსეთთან მეგობრობაზე და განაცხადა, რომ ორი ქვეყნის ურთიერთობაში ყველაფერი თავიდან უნდა დაიწყოს. ჯერ პრეზიდენტის პოსტზე დანიშვნისთანავე, შემდეგ კი რუსეთთან რაიმე სერიოზული კრიზისის წარმოქმნისას, სააკაშვილი სწორედ ასეთი ფორმით სთავაზობდა რუსეთს მეგობრობას. ამა თუ იმ კრიზისის წარმოქმნის მიზეზი კი, ყოველთვის იყო ის, რომ შეიარაღებული ქართველები ჩადიოდნენ საომრად ურჩ ავტონომიებში, და როცა იქ გადააწყდებოდნენ წინააღმდეგობას, ყველაფერში რუსეთს ადანაშაულებდნენ.

უკვე გასაგებია, რომ რუსეთთსა და საქართველოს შორის არსებობს რაღაც ფუნდამენტური წინააღმდეგობა, რაც იწვევს კიდეც მათი ურთიერთობების გაუარესებას. მაინც, რაში მდგომარეობს ეს დაპირისპირება? ერთი მხრივ, საქართველოს სურს, დაიბრუნოს აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი. თანაც სააკაშვილს, რომელიც ხელისუფლების სათავეში მივიდა ქვეყნის ტერიტორიული აღდგენის ლოზუნგებით, კარგად აქვს შეგნებული, რომ იწურება ის ნდობის კრედიტი, რომელიც მას ხალხმა გამოუყო. თუ სააკაშვილი ვერ შეასრულებს დანაპირებს, ვერც ხელისუფლების სათავეში დარჩება.

მეორე მხრივ, მოსკოვს არანაირად არ აძლევს ხელს ნატოში საქართველოს გაწევრიანების პერსპექტივა. კრემლის ამჟამინდელი ხელისუფლება, „90-იანი წლების ელიტისგან“ განსხვავებით, ნატოს არ მიიჩნევს სკაუტთა უწყინარ ორგანიზაციად. რუსეთის სამხრეთ საზღვრებთან ალიანსის სამხედრო ინფრასტრუქტურის მოახლოვება ამ ორგანიზაციას აძლევს არა მარტო იმის საშუალებას, რომ თავისუფლად ადევნოს თვალყური რუსეთის ტერიტორიაზე მიმდინარე მოვლენებს, არამედ ჩრდილოეთ კავკასიაში საომარ მოქმედებაზე უშუალო გავლენის შესაძლებლობასაც ანიჭებს.



როცა ქართველები ამბობენ, რომ გაუგიათ, თუ რას მოითხოვს მათგან რუსეთი, ისინი ბოლომდე გულწრფელები არ არიან. ჩვენს ხელთარსებული ინფორმაციით, სააკაშვილს არაერთხელ განუცხადებია ყველას გასაგონად, თუ რა არის ჩვენი, რუსების მთავარი ინტერესი. ერთხელ კი ასეთი რამ თვით პრეზიდენტ პუტინისთვისაც უთქვამს 2004 წელს მოსკოვში გამართული შეხვედრის დროს. სხვათა შორის, მაშინ საქართველო ძალზე ახლოს იყო ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასთან. მოსკოვში სააკაშვილის გავლენიან ლობისტებს მიაჩნდათ, რომ საჭირო იყო მისთვის სამხრეთ ოსეთის „მიცემა“, როგორც თავის დროზე „დავუთმეთ“ აჭარა. ამბობენ, სააკაშვილი რუსეთის პრეზიდენტს დაპირდა, რომ ორი ქვეყნის მეგობრობის შესახებ ხელშეკრულებაში შეიტანდნენ პუნქტს, რომელიც აკრძალავდა საქართველოში უცხო ქვეყნის ბაზების განლაგებას. მაგრამ თითქმის მაშინვე, დასავლეთის ერთ-ერთ ქვეყანაში ვიზიტის დროს, სააკაშვილმა განაცხადა, რომ ლაპარაკიც კი ზედმეტია ასეთ მორიგებებზე. ალბათ, იმის იმედი ჰქონდა, რომ პუტინის ყურამდე ეს ამბავი ვერ მიაღწევდა.

ნატოში გაწევრიანებაზე უარის თქმის უფლებას სააკაშვილს არ მისცემენ ამერიკელები, რომელთა სრულ კონტროლსაც ექვემდებარება იგი. თუ რისთვის სჭირდება ნატოს საქართველო, გასაგებია. მაგრამ სრულიად გაუგებარია, თუ რა სარგებელს მოუტანს ნატო საქართველოს. პირადი საუბრების დროს ქართული პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლები არ მალავენ, რომ ნატოს დახმარებით იმედოვნებენ დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებას სამხედრო გზით. მაგრამ, ალბათ, ნატოელი სამხედროები, არ წავლენ საომრად აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში. შეერთებულ შტატებს, რა თქმა უნდა, სურს, რომ რუსეთს ჩამოაშოროს ეს ტერიტორიები. მაგრამ ამერიკელთა გლობალურ ინტერესებში ამ თვითაღიარებულ რესპუბლიკებს დიდი მნიშვნელობა არ ენიჭებათ, რადგან ნავთობის მილი მათ ტერიტორიებზე არ გადის. ჰოდა, რაღაც დახშული წრე იკვრება.

### სააკაშვილის კოშმარული სიზმრები

ამჟამად სააკაშვილს სურს როგორც ნატოში შესვლა, ისე ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაც. ამას იგი ცდილობს მოსკოვის გვერდის ავლით, რითაც ძალზე აღიზიანებს რუსეთს. მოსკოვის გაღიზიანებამ ისეთ მასშტაბს მიაღწია, რომ ყოველი ქართველისთვის კოშმარული სიზმარი – რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება – ადვილი შესაძლებელია, რეალობად იქცეს. ამის შესახებ მოსკოვში ძალზე სერიოზულ დონეზე მსჯელობენ.

მაგალითად, ეს პრობლემა განიხილეს წამყვან ექსპერტთა ვიწრო წრეში. ექსპერტებმა გამოთქვეს შეშფოთება იმის გამო, რომ აფხაზეთის აღიარების საქმეში რუსეთს შეიძლება დაასწროს თურქეთმა. ამ სიტუაციას ისიც მატებდა ინტრიგას, რომ სხდომას უძღვებოდა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ერთ-ერთი ქვეგანყოფილების ხელმძღვანელი.

ჯერ კიდევ სულ ცოტა ხნის წინათ ამაზე ლაპარაკი მარგინალების და „პოლიტიკოს-ექსტრემისტების“ საქმედ ითვლებოდა. ეს არ ნიშნავს იმას, რომ პრაქტიკული ნაბიჯები შეიძლება ხვალ გადაიდგას, მაგრამ აშკარაა ისიც, რომ უკვე სერიოზულად ემზადებიან ამისთვის. პირველი ეტაპისთვის საჭიროა გავთვალოთ ყველა რისკი, რომელიც არცთუ ისე დიდია. რა დაკარგა თურქეთმა მას შემდეგ, რაც აღიარა ჩრდილოეთ კვიპროსის რესპუბლიკა? არაფერი დაუკარგავს გარდა იმისა, რომ მას არ იღებენ ევროკავშირში. მაგრამ რუსეთისთვის ამ ორგანიზაციის კარი ისედაც დახურულია. მაშ, რატომ არ უნდა გავრისკოთ, მით უმეტეს, პრეცედენტები საკმარისზე ბევრია – როგორც ისტორიული, ისე თანამედროვე.

### კოსოვოს კაზუსი

ზოგიერთი ექსპერტი გამოთქვამს შეშფოთებას, რომ დამოუკიდებელი აფხაზეთი შეიძლება გახდეს მიზიდულობის ცენტრი რუსეთის ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებისთვის. მთიელთა რესპუბლიკის იდეის რეანიმირება მოხდა საბჭოთა კავშირის დაშლის მომენტში, 90-იანი წლების დამდეგს სოხუმში იმართებოდა კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციის ყრილობები. შამილ ბასაევის მოთარეშეები საბრძოლო ნათლობას აფხაზეთში იღებდნენ. ნალჩიკის მოვლენების დროს მოკლულ მოთარეშეთა შორის აფხაზებიც იყვნენ. მაგრამ ჩვენს თანამოსაუბრეთა უმრავლესობას მაინც მიაჩნია, რომ სრულიად განსხვავებული მოვლენებია ჩეჩნური, აფხაზური, სამხრეთოსური და დნესტრისპირული სეპარატიზმი. არსებითად, ნამდვილი „სეპარატისტები“ ქართველები და მოლდაველები იყვნენ, რადგან სწორედ მათ სურდათ ერთიანი სახელმწიფოდან – სსრ კავშირიდან გამოსვლა. დნესტრისპირეთის, აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის მცხოვრებლებს კი არ სურდათ სსრ კავშირის დატოვება, და ახლა ესწრაფვიან, შეუერთდნენ რუსეთს – საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრეს. ასე რომ, ისინი „სეპარატისტები“ კი არა, პირიქით – „უნიონისტები“ არიან.

როგორც უკვე არაერთგზის განუცხადებიათ რუსეთის ხელმძღვანელებს, ამ თვითაღიარებული რესპუბლიკებისთვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა მიენიჭება სერბეთისგან კოსოვოს მხარის ჩამოშორების ლეგიტიმიზაციას. პრინციპში, უკვე დაიწყო კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარების პროცესი. კოსოვოს სტატუსის შესახებ მოლაპარაკებაზე გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის მარტი აჰტისაარის მიერ ამ ცოტა ხნის წინათ გამოქვეყნებული გეგმა ითვალისწინებს კოსოვოს სახელმწიფო სტატუსს საერთაშორისო კონტროლის პირობებში. კოსოვოს ექნება დროშა, ჰიმნი, შეიარაღებული ძალები და მიეცემა გაეროში გაწევრიანების უფლება.

რა თქმა უნდა, თუ კრემლი ხვალვე გამოაცხადებს, რომ აღიარებს სამხრეთ ოსეთის, აფხაზეთის და დნესტრისპირეთის დამოუკიდებლობას, ეს გამოიწვევს არა უბრალოდ საერთაშორისო სკანდალს, არამედ ნამდვილ დიპლომატიურ ცუნამის. მოსკოვი ახლა განიცდის უპრეცედენტო ზეწოლას დასავლეთის მხრიდან, რომელიც ცდილობს, კრემლს დღის წესრიგიდან ამოაღებინოს თეზისი კოსოვოს მოდელის უნივერსალურობის შესახებ.

მაგრამ, გვაქვს საფუძველი ვივარაუდოთ, რომ ახლა დასავლეთი ძალზე დაინტერესებულია რუსეთის ლოიალური პოზიციით ირანის საკითხში, ერაყთან დაკავშირებით, აგრეთვე ძალზე დიდია მისი დამოკიდებულება რუსეთის ენერგორესურსებზე, ამიტომ, დასავლეთმა შეიძლება მისცეს მოსკოვს თავისუფალი მოქმედების უფლება აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის საკითხებთან დაკავშირებით. ასეთი სიგნალი უკვე გაისმა. თბილისის დიდი გაღიზიანება გამოიწვია ვაშინგტონის მსოფლიო უშიშროების ინსტიტუტის რუსეთისა და აზიის პროგრამების დირექტორის ნიკოლოზ ზლოვინის გამონათქვამმა. რუსი წარმოშობის ამ ამერიკელმა ექსპერტმა საქართველოს დედაქალაქში განაცხადა: „ძალზე ადრე გადავწყვიტეთ, რომ დასრულდა საბჭოთა კავშირის დაშლა. ეს პროცესი ახლაც გრძელდება და შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ მხოლოდ შუა გზაზე ვართ“.

**მარინა პერევოზკინა**

МОСКОВСКИЙ КОМСОМОЛЕЦ

# თბილისში ნატოს დელეგაციას ელიან

**თბილისში ჩადის ნატოს საერთაშორისო შტაბის შემფასებელთა მისია, რომელიც კიდევ ერთხელ შეამოწმებს, თუ როგორ ასრულებს ქართული მხარე ნატოსთან ინდივიდუალური პარტნიორობისა და ინტენსიური დიალოგის გეგმის ფარგლებში ნაკისრ ვალდებულებებს.**

როგორც საქართველოს თავდაცვის სამინისტროში გვაცნობეს, ბრიუსელელი ექსპერტები ხუთი დღის განმავლობაში გამართავენ შეხვედრებს თავდაცვითი უწყების ხელმძღვანელობისა და შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სარდლობის წარმომადგენლებთან და შეაფასებენ, თუ რამდენად აკმაყოფილებს ქვეყანაში განხორციელებული რეფორმები ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სტანდარტებს. და მართალია, ნატოს ხელმძღვანელობა საქართველოში ასეთ შემოწმებებს ყოველწლიურად მართავს, ამჯერად საქმე გაცილებით უფრო სერიოზულად დგას: ამ შემფასებელი ჯგუფის დასკვნას ექნება გადამწყვეტი მნიშვნელობა ნატოში გაწევრიანების სამოქმედო გეგმაზე საქართველოს გადასვლის ვადების დასადგენად.

როგორც უკვე ვიტყობინებოდით, ოფიციალურ თბილისში დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ ალიანსის გენერალური მდივნის იააპ დე ჰოოპ სხეფერის მიერ მიუნხენში გაკეთებულ განცხადებას, რომელმაც აღნიშნა, რომ არ გამორიცხავს უახლოესი მომავლისთვის – 2009 წლისთვის საქართველოს, უკრაინის, ალბანეთის, მაკედონიის და ხორვატიის მიწვევას ამ ორგანიზაციაში. მოსკოვში საქართველოს ხელმძღვანელობის ასეთ ოპტიმიზმს ნაადრევი და გაზვიადებული უწოდეს.

ასეა თუ ისე, თბილისში მაინც დიდ იმედებს ამყარებენ იმაზე, რომ საქართველო უკვე უახლოესი მომავლისთვის მოიპოვებს კანდიდატი ქვეყნის სტატუსს. თანაც, გასულ კვირას შეერთებული შტატების კონგრესის წარმომადგენელთა პალატის საგარეო საქმეთა საპროფილო კომიტეტმა მოიწონა კანონპროექტი ნატოში საქართველოს და უკრაინის შესვლის მხარდაჭერის შესახებ, აგრეთვე დაუჭირა მხარი შეერთებული შტატების ბიუჯეტიდან ფინანსური სახსრების გამოყოფას, რომლებიც ამ ქვეყნებს გადაეცემათ „უშიშროების სფეროში ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში, რათა მათ შეძლონ მომზადება ალიანსში გაწევრიანებისთვის.

როგორც ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მდივანმა გიორგი ბარამიძემ განაცხადა, **„ჩვენ ვმუშაობთ იმისთვის, რომ ინტენსიური დიალოგის ფარგლებში ღონისძიებათა განხორციელების პარალელურად, უკვე 2007 წლის დამლევის, ან 2008 წლის გაზაფხულისთვის ალიანსის სამიტზე საქართველოსთვის მიიღონ ნატოში გაწევრიანების გეგმა“**. ასეთი შესაძლებლობა უნდა გაჩნდეს ნატოს შემფასებელთა კომისიის მუშაობის შედეგების საფუძველზე.

ქვეყნისთვის შემდგომი მნიშვნელოვანი ეტაპები მონიშნა თავდაცვის მინისტრის მოადგილემ დავით ქუთელიამ. მისი ინფორმაციით, საქართველოს პერსპექტივებს დაამტკიცებენ უკვე მომავალი წლის პირველ ნახევარში – 14-16 მარტს ბრიუსელში, სადაც უნდა გაიმართოს ალიანსის ხელმძღვანელობასთან საქართველოს სამხედრო უწყების წარმომადგენელთა შეხვედრა, შემდეგ კი – „26 პლუს 1“ ფორმატით დანიშნული მოლაპარაკების დროს, როცა დაწვრილებით შეამოწმებენ ნატოში ინტეგრაციის გზაზე საქართველოს მიერ გაწეულ მუშაობას: იგულისხმება ქვეყნის ეკონომიკა, კონფლიქტების მოწესრიგების პრობლემათა გადაჭრა და რეფორმები თავდაცვით სისტემაში.

თავის მხრივ, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა განაცხადა, რომ შესაბამისი უწყებები ინტენსიურად უნდა მუშაობდნენ ევროატლანტიკური ინტეგრაციის გეგმებზე. ამ მიმართულებით ინტენსიურად უნდა იმოქმედოს ყველა უწყებამ, განსაკუთრებით – თავდაცვის სამინისტრომ, საგარეო საქმეთა სამინისტრომ, და სახელმწიფო მინისტრის აპარატმა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ნატოში გაწევრიანების კურსს ამჟამად მხარს უჭერს ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობა.

**ანატოლი გორდიენკო**

НЕЗАВИСИМАЯ ГАЗЕТА

№ 32. სამშაბათი, 20 თებერვალი, 2007 წელი.

● როგორც კონდოლიზა რაისმა აღნიშნა, ეჰუდ ოლმერტმა და მაჰმუდ აბასმა „კვლავ განაცხადეს, რომ ეთანხმებიან წინათ მიღწეულ მორიგებებს და ნაკისრ ვალდებულებებს“, მათ შორის, მხარს უჭერენ რეგიონში ვითარების მოწესრიგების მიზნით ვაშინგტონში შემუშავებულ გეგმას, რომელსაც „საგზაო რუკა“ ეწოდება

# შეხვედრა იერუსალიმში

**ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის კონდოლიზა რაისის, ისრაელის პრემიერ-მინისტრის ეჰუდ ოლმერტის და პალესტინის ავტონომიის თავმჯდომარის მაჰმუდ აბასის მოლაპარაკება იერუსალიმში კვლავ დასრულდა ისე, რომ მხარეებმა ვერც ამჯერად შეძლეს საგრძნობი პროგრესის მიღწევა ახლო აღმოსავლეთის რეგიონში ვითარების მშვიდობიანი მოწესრიგების საქმეში.**

„კიდევ ერთხელ დავადასტურეთ, რომ ვერთგულობთ საკითხის ისეთ გადაწყვეტას, რომელიც გაითვალისწინებს ორი სახელმწიფოს არსებობას. გარდა ამისა, მხარეებმა მიაღწიეს თანხმობას, რომ პალესტინის სახელმწიფო არ შეიძლება იყოს ძალადობის და ტერორის კერა“, — განაცხადა იერუსალიმის ერთ-ერთ სასტუმროში შეხვედრის დასრულების შემდეგ ამერიკის საგარეო-პოლიტიკური უწყების ხელმძღვანელმა.

როგორც კონდოლიზა რაისმა აღნიშნა, ეჰუდ ოლმერტმა და მაჰმუდ აბასმა „კვლავ განაცხადეს, რომ ეთანხმებიან წინათ მიღწეულ მორიგებებს და ნაკისრ ვალდებულებებს“, მათ შორის, მხარს უჭერენ რეგიონში ვითარების მოწესრიგების მიზნით ვაშინგტონში შემუშავებულ გეგმას, რომელსაც „საგზაო რუკა“ ეწოდება, და რომელიც ითვალისწინებს თანამიმდევრულ მოძრაობას პალესტინის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის გზაზე.

გარდა ამისა, თქვა შემდეგ სახელმწიფო მდივანმა, ისრაელის და პალესტინის ლიდერებმა დათქვეს, რომ კიდევ შეხვდებიან ერთმანეთს. მართალია, კონდოლიზა რაისს შეხვედრის გამართვის კონკრეტული ვადა არ დაუსახელებია, მაგრამ განაცხადა, რომ კვლავ დაბრუნდება ახლო აღმოსავლეთში.

ოლმერტმა და აბასმა, — თქვა შემდეგ სახელმწიფო მდივანმა, — განიხილეს შეთანხმება, რომელიც პალესტინელთა ლიდერმა დადო „ჰამასის“ რადიკალური ისლამისტური დაჯგუფების ხელმძღვანელებთან და რომელიც ითვალისწინებს პალესტინის ავტონომიაში ეროვნული ერთობის მთავრობის ჩამოყალიბებას.

თავის მხრივ, ისრაელის პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ ვაშინგტონი და თელ-ავივი კვლავაც განაგრძობენ პალესტინის ადმინისტრაციის ბოიკოტს, თუ იგი არ აღიარებს, რომ ებრაულ სახელმწიფოს აქვს არსებობის უფლება. კონდოლიზა რაისმა დასძინა, რომ ვაშინგტონი არ იჩქარებს რაიმე დასკვნების გამოტანას მანამ, სანამ არ ჩამოყალიბდება პალესტინის მთავრობა.

„ჰამასის“ რადიკალური დაჯგუფება, რომელსაც პალესტინის ახალ კაბინეტში უმრავლესობა ექნება, აქამდე უარს ამბობს შეასრულოს დასავლეთის ძირითადი მოთხოვნა — ცნოს ისრაელის, როგორც სახელმწიფოს არსებობის უფლება.

„ფათჰის“ მოძრაობა, პრინციპში, მზად არის გადადგას ასეთი ნაბიჯი, მაგრამ, როგორც მეთვალყურეები აღნიშნავენ, მის წარმომადგენელს მაჰმუდ აბასს, არ შეუძლია რაიმე სერიოზული გავლენის მოხდენა ავტონომიაში შექმნილ პოლიტიკურ განწყობილებაზე.

მსოფლიო გაერთიანებამ პალესტინის მთავრობას ბოიკოტი გამოუცხადა შარშან, როცა იანვრის არჩევნებში გამარჯვების შედეგად, „ჰამასის“ დაჯგუფებამ მოიპოვა უმრავლესობა პარლამენტში და, შესაბამისად, ჩამოაყალიბა კიდეც თავისი მინისტრთა კაბინეტი.



მოგვიანებით „ჰამასის“ და „ფათჰის“ მომხრეებს შორის გაჩაღდა სასტიკი ფრაქციათაშორისი ბრძოლა, რომელსაც, გასული წლის დეკემბრიდან მოყოლებული, უკვე შეეწირა 90-ზე მეტი პალესტინელთა სიცოცხლე.

დაპირისპირებულ დაჯგუფებათა წარმომადგენელთა შორის შეტაკებები ბოლოს დასრულდა იმით, რომ მხარეებმა მიაღწიეს შეთანხმებას ავტონომიაში ეროვნული ერთობის მთავრობის ჩამოყალიბების შესახებ, რომლის პირობების თანახმადაც, „ჰამასის“ წარმომადგენელი — პალესტინის პრემიერი ისმაილ ჰანია გასულ კვირას გადადგა თანამდებობიდან.

მაჰმუდ აბასმა სწორედ ჰანიას დაავალა ახალი კაბინეტის შექმნა, რომელიც უახლოესი ხუთი კვირის განმავლობაში განსახილველად უნდა წარუდგინონ პარლამენტს.



# აფეთქებები მატარებელში

**სულ ცოტა 66 კაცი დაიღუპა მატარებელში მომხდარი აფეთქებების სერიისა და ხანძრის შედეგად, რომელიც ინდოეთის დედაქალაქიდან პაკისტანის ქალაქ ლაჰორისკენ მიემართებოდა.**

ტრაგედია მოხდა ჰარიანის შტატში, დელიდან ჩრდილოეთით 80 კილომეტრზე. მატარებელში 500-ზე მეტი კაცი იმყოფებოდა.

„სამჯჰაუტის“ ექსპრესი კვირაში ორჯერ ასრულებს რეისებს ინდოეთსა და პაკისტანს შორის. მოძრაობა დელი-ლაჰორის მარშრუტით, რომელიც 5 წლის განმავლობაში დაბლოკილი იყო, კვლავ განახლდა 2004 წელს ორი ქვეყნის ურთიერთობის გაუმჯობესების პროცესის ფარგლებში.

პაკისტანის ხელისუფლების მონაცემებით, მატარებელში დაღუპულთა უმრავლესობას ამ ქვეყნის მოქალაქეები შეადგენენ.

პაკისტანის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა ტასნიმ ასლამმა, რომელმაც აფეთქებას „ტერორისტული აქტი“ უწოდა, ინდოეთის მთავრობისგან სასწრაფო ღონისძიებათა განხორციელება მოითხოვა. „იმედი გვაქვს, რომ ინდოეთის ხელისუფლება დასჯის ბრალეულ პირებს“, — თქვა მან.

აფეთქებები და ხანძარი მატარებელში მოხდა პაკისტანის საგარეო საქმეთა მინისტრის ინდოეთში ჩასვლამდე ორი დღით ადრე. „მიზანი ნათელია, — განაცხადა პრეს-კონფერენციაზე ინდოეთის საგზაო მინისტრმა ლალუ პრასად იადავმა. — ეს არის ინდოეთსა და პაკისტანს შორის მშვიდობის დესტაბილიზაციის მცდელობა. აფეთქების შედეგად დაიღუპნენ ყოვლად უდანაშაულო ადამიანები“.



ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა მანმოჰან სინგჰმა გულისტკივილი და სამძიმარი გამოთქვა ამ ტრაგედიასთან დაკავშირებით და განაცხადა, რომ ბრალეულ პირებს იპოვიან და დასჯიან.

ადგილობრივი დროით შუაღამისთვის, როცა ექსპრესი უახლოვდებოდა ერთ-ერთ სადგურს, მატარებლის ორ ვაგონში გაისმა რამდენიმე აფეთქების ხმა. ეშელონი გაჩერდა — და მაშინ ორ ვაგონს ცეცხლი მოედო.

მატარებელში, უსაფრთხოების წესების თანახმად, მრავალი კარი ჩაკეტილი იყო, ვაგონების ფანჯრებს კი დამცავი გისოსები აქვთ, რის გამოც ადამიანებმა ვერ შეძლეს გარეთ გამოსვლა.





# შპს „გზაპროექტი“ აცხადებს აუქციონს

**მის საწესდებო კაპიტალში რიცხული, ქ. თბილისში 26 მაისის სახელობის მოედანი 2-ში მდებარე, შენობის ქვემოთ ჩამოთვლილი არასაცხოვრებელი ფართის იჯარით გაცემის მიზნით**

ინფორმაცია იჯარით გასაცემი ქონების შესახებ:

| ლოტის № | იჯარით გასაცემი ფართი | საიჯარო ფართი (კვ.მ.) | ყოველთვიური საიჯარო ქირის საწყისი ფასი (აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში) | „ბე“ (ლარი) | „ბიჯი“ (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|
| I | საოფისე ფართი (III სართული) | 565 | 6 763 | 500 | 30 |
| II | საოფისე ფართი (VII სართული) | 265 | 3 172 | 300 | 30 |
| III | სასხდომო ფართი (I სართული) | 235 | 2 813 | 200 | 30 |

ობიექტების იჯარით გაცემის ვადად განისაზღვროს 2009 წლის 28 თებერვალი.

აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა ფიზიკურ და იურიდიულ პირს. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად მსურველმა (შემოდგომში —„მონაწილე“ძ აუქციონის რეგისტრატორს უნდა წარუდგინოს შემდეგი დოკუმენტები:

— შევსებული განაცხადი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას მონაწილეზე, იჯარით გასაცემი ფართის დასახელება, ყოველთვიური საიჯარო ქირის საწყისი ფასი, რომლის შეძენაც მას სურს.

— „ბე“-ს გადახდის დამადასტურებელი ქვითარი, რომლის გადახდა უნდა მოხდეს შპს „გზაპროექტის“ ანგარიშზე — სს „საქართველოს ბანკის ცენტრალური ფილიალის“ სერვის ცენტრი №25, ბანკის კოდი 220101502, ა/ა 300609363 GEL.

— პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი (ფიზიკური პირის შემთხვევაშიძ.

— იურიდიული პირები ასევე წარმოადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლებს.

— მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, გაცემული მინდობილობა/რწმუნებულება, თუ იგი მოქმედებს იურიდიული ან ფიზიკური პირის სახელით.

საიჯარო თანხაში არ შედის ელექტროენერგიის წყლის და დასუფთავების გადასახადები.

აუქციონში გამარჯვებულს შეტანილი „ბე“ ეთვლება პირველი თვის საიჯარო თანხის ანგარიშსწორებისას.

**ინფორმაცია განაცხადების მიღების შესახებ:**

აუქციონი ჩატარდება 2007 წლის 19 მარტს, 2 საათზე, ქ. თბილისში, 26 მაისის სახელობის მოედანი 2.

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადებები მიიღება აღნიშნული ინფორმაციის პრესაში გამოქვეყნებიდან 18 მარტის ჩათვლით. აუქციონში მონაწილეობაზე განცხადების მიღება წარმოებს ყოველდღე, შაბათკვირის გარდა, 11:00 სთ-დან 16:00 სთ-მდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, 26 მაისის სახელობის მოედანი 2.

აუქციონში მონაწილეობაზე განცხადებების მიღება მთავრდება დადგენილ დღეს და საათს. დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ შემოსული განცხადებები არ მიიღება.

მონაწილემ, რომელსაც სურს მიიღოს აუქციონში მონაწილეობა რამდენიმე ლოტში „ბე“ უნდა გადაიხადოს ცალ-ცალკე თითოეულ ლოტზე.

საწარმოს პრივატიზების შემთხვევაში საწარმოს მყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს საწარმოს პრივატიზებამდე საწარმოს ძირითადი საშუალებების დროებით სარგებლობაში გადაცემის ხელშეკრულებები.

ინფორმაციის პრესაში გამოქვეყნების შემდეგ, ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს, უფლება აქვს, წინასწარ გაეცნოს საიჯაროდ გამოტანილ ქონებას.

დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ მისამართზე: **ქ. თბილისი, 26 მაისის სახელობის მოედანი 2, ან დაგვიკავშირდით ტელეფონზე 36-40-15.**

**შპს „გზაპროექტი“**

# დღის ამბები

**აქციის მონაწილეების თქმით, ორი თვეა, რაც მათ დამატებით კიდევ ოც ლარზე მეტის გადახდას სთხოვენ. ასეთივე პრობლემის წინაშე დგას ხეობის თითქმის ყველა სოფელი. სოფელ დუისის მოსახლეობის თქმით, ინდივიდუალურად უკვე მიმდინარეობს ელექტროენერგიის ხაზების ჩაჭრა და მეოთხე დღეა, მოსახლეობის უმრავლესობას ელექტროენერგია არ მიეწოდება**



## აიგება ახალი სარკინიგზო მაგისტრალი?

**დღეისთვის თურქეთისა და აზერბაიჯანის ყურადღება ყარსი-ახალქალაქი-თბილისი-ბაქოს მაგისტრალის მშენებლობისკენაა მიპყრობილი, თუმცა არ გამოვრიცხავთ, რომ უახლოეს წლებში ყარსი-ნახჩევანის მშენებლობაც დავიწყოთ, — ამის შესახებ თურქეთის ელჩმა აზერბაიჯანში ჰუსეინ აზნი ყარსიოღლიმ განაცხადა.**



მისი ინფორმაციით, ამ თემაზე მუშაობა უკვე დაწყებულია.

— ელჩად დანიშვნამდე, უშუალოდ ვმონაწილეობდი ყარსი-ახალქალაქი-თბილისი-ბაქოს პროექტზე და მის რეალიზებაში გარკვეულწილად ჩემი წვლილიცაა, რაც მეამაყება კიდეც. თუმცა, ყარსი-ნახჩევანის პროექტის რეალიზებაც მოსალოდნელია, რომელიც აზერბაიჯანსა და თურქეთს უშუალოდ დააკავშირებს. მართალია, ეკონომიკურად პროექტი გაცილებით ძვირი იქნება, რადგან მაგისტრალი უშუალოდ მთებში უნდა გავიდეს, მაგრამ თავად იდეა განხორციელებადია, — განაცხადა ელჩმა.

## მიმოქცევიდან ამოღებული ფული განადგურდება

**საქართველოს ეროვნული ბანკი, შესაბამის უწყებებთან ერთად, მიმოქცევიდან ამოღებული ფულის მასის საკითხზე ინტენსიურად მუშაობს.**

საგულისხმოა, რომ 2001 წელს მიმოქცევიდან ამოღებული ფული განადგურდა, ხოლო მას შემდეგ ფულის განადგურება აღარ მომხდარა.

როგორც სებ-ში განმარტავენ, ხელახალი ფულის განადგურების საკითხი ჯერ კიდევ განხილვის სტადიაშია, რადგანაც გარკვეულ საქმეებს ფინანსური პოლიცია იძიებს და გამოძიების დასრულებამდე საბოლოო გადაწყვეტილების მიღება ვერ ხერხდება.

## ოსებმა სოფელი თამარაშენი დაცხრილეს



**ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში მორიგი ინციდენტი მოხდა. საღამოს, დაახლოებით 22 საათზე, კონფლიქტის ზონაში მდებარე ქართული სოფელი თამარაშენი დაიცხრილა.**

გავრცელებული ინფორმაციით, ცეცხლი სოფელ არკნეთიდან გაიხსნა, სადაც ოს სეპარატისტთა პოზიციები მდებარეობს.

წინასწარი მონაცემებით, მსხვერპლი არ არის. სროლამ მხოლოდ თამარაშენის ერთ-ერთი მაცხოვრებლის სახლი და ავტომანქანა დააზიანა.

## ჯოყოლოს მოსახლეობა უკმაყოფილოა

**პანკისის ხეობის სოფელ ჯოყოლოს მოსახლეობამ სოფლის ცენტრში საპროტესტო აქცია გამართა. ისინი საუბნო მრიცხველზე დაფიქსირებული დამატებითი თანხის გადახდას ეწინააღმდეგებიან და აცხადებენ, რომ მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურს მხოლოდ ინდივიდუალურ მრიცხველზე არსებული მონაცემების მიხედვით გადაიხდიან.**

აქციის მონაწილეების თქმით, ორი თვეა, რაც მათ დამატებით კიდევ ოც ლარზე მეტის გადახდას სთხოვენ.

ასეთივე პრობლემის წინაშე დგას ხეობის თითქმის ყველა სოფელი. სოფელ დუისის მოსახლეობის თქმით, ინდივიდუალურად უკვე მიმდინარეობს ელექტროენერგიის ხაზების ჩაჭრა და მეოთხე დღეა, მოსახლეობის უმრავლესობას ელექტროენერგია არ მიეწოდება.

აქციის მონაწილეთა განმარტებით, საუბნო მრიცხველის დაყენებამდე, მათ რეგიონის ელექტროდისტრიბუციის წარმომადგენლებმა სთხოვეს, რომ ინდივიდუალური მრიცხველები ლაბორატორიაში შეემოწმებინათ, შემდეგ კი თვალსაჩინო ადგილას, ქუჩაში ან ეზოში მოეთავსებინათ.

მოსახლეობა ამბობს, რომ მათ ეს თხოვნა შეასრულეს, თუმცა მიუხედავად ამისა, ელექტროდისტრიბუციის წარმომადგენლობა მათ დამატებითი თანხის გადახდას სთხოვს.

აქციაზე იმყოფებოდნენ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, მუნიციპალური გამგეობისა და საკრებულოს პირველი პირები.

## კვლავ რუსების იმედზე არიან

**აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე სამხედრო წვრთნები დაიწყო.**



ე.წ. აფხაზური შეიარაღებული ძალების მონაწილეობით წვრთნები დაახლოებით ერთი კვირა გაგრძელდება. მასში ინსტრუქტორების სახით რუსი სამხედრო სპეციალისტები არიან ჩართულნი.

წვრთნებში მონაწილეობს „შეიარაღებული ძალების" ის ჯგუფი, რომელიც დესანტის განადგურებაზეა ორიენტირებული.

## რვა ოჯახს უსახლკაროდ ტოვებენ

**ერეკლე მეორის მოედნის № 3-ში არსებული შენობიდან ინსტრუმენტული ქარხნის ყოფილი თანამშრომლების, სულ რვა ოჯახის, გამოსახლების პროცესი დაიწყო. გამოსახლების გადაწყვეტილება თბილისის სააპელაციო სასამართლომ მიიღო, რომელიც 2006 წლის ნოემბერში უზენაესმა სასამართლომ ძალაში დატოვა.**

სარჩელით კი სასამართლოს შენობის მესაკუთრემ, სააქციო საზოგადოება „ჯანმრთელობამ" მიმართა. გამოსახლების პროცესს იუსტიციის სამინისტროს სააღმსრულებლო დეპარტამენტი უზრუნველყოფს.

როგორც ქარხნის ერთ-ერთმა ყოფილმა თანამშრომელმა თენგიზ ფირცხალავამ განაცხადა, ამ სააქციო საზოგადოების უკან „სილქ როუდ ჯგუფი" დგას, რომელსაც ამ შენობაში თავისი ინტერესები აქვს. მისივე თქმით, შენობის დაცლის სანაცვლოდ მათ 20 ათას დოლარს სთავაზობენ.

ერეკლე მეორის მოედანზე №3-ში ლეიბორისტული პარტიის წარმომადგენლები შალვა ნათელაშვილის ხელმძღვანელობით მივიდნენ. ლეიბორისტთა ლიდერის და ზემოაღნიშნულ რვა ოჯახს შორის არის.



როგორც შალვა ნათელაშვილმა განაცხადა, მიმდინარეობს სახელმწიფოს მხრიდან უკანონო ქმედებები.

— სააკაშვილმა არ იკმარა ქვეყნის ოკუპაცია და ახლა ოჯახების დანგრევა დაიწყო. სააკაშვილო, გამოგიტან პატრულის და ხალხის მონაწილეობით კაბინეტიდან, — განაცხადა ნათელაშვილმა, რომელმაც განმარტა, რომ აქ მცხოვრებლებისთვის არავის, მათ შორის არც სააქციო საზოგადოება „ჯანმრთელობას" კომპენსაციის სახით ფული არ შეუთავაზებია.

როგორც შალვა ნათელაშვილმა განაცხადა, ხელისუფლება უკანონო ქმედებებს ახორციელებს თავისი ინტერესების დასაცავად. მისივე თქმით, „შესაძლოა, ამ ადგილას ნიკა რურუას, ივანიშვილის, ბოკერიას ან კირკიტაძის ბიზნესი გაკეთდეს".

როგორც ნათელაშვილმა განაცხადა, შესაძლოა, მათ ამ ადგილას კაზინოები და სხვა ტიპის ბიზნეს-ობიექტები გახსნან.

შენობიდან გამოსახლებულები ღამის ქუჩაში გათევას აპირებენ.

## „საქწიგნის" მაღაზიები აუქციონზე იყიდება

**საგადასახადო დავალიანების გამო, „საქწიგნის" მაღაზიები აუქციონზე იყიდება.**

როგორც ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ვებ-გვერდზეა მითითებული, 302 ათას დოლარად იყიდება თამარ მეფის გამზირზე მდებარე წიგნის მაღაზია „იმედი" და მასზე წილობრივად გაპიროვნებული 21,9 კვ.მ მიწის ფართი.

ჩიტაიას ქუჩაზე მდებარე წიგნის მაღაზია „უშბა" სარდაფითურთ 60 ათას 700 დოლარად შეფასდა, ხოლო ჭიჭინაძის ქუჩაზე მდებარე წიგნის მაღაზია „იაგუნდი" და მასზე წილობრივად გაპიროვნებული 274 კვ.მ მიწის ფართი — 55 ათას 600 დოლარად.

რაც შეეხება აბესაძის ქუჩაზე მდებარე საწყობსა და მასზე წილობრივად გაპიროვნებულ 39,7 კვ.მ მიწის ფართს, მისი საწყისი ფასი 23 ათას 700 დოლარია.

„საქწიგნის" ქონება თბილისის საგადასახადო ინსპექციამ შარშან ნოემბერს დააყადაღა. როგორც ეკონომიკური განვითარების სამინისტროში აცხადებენ, ობიექტების გაყიდვიდან ამონაგები თანხით საბიუჯეტო საგადასახადო დავალიანება დაიფარება.

**ინტერპრესნიუსისა და ჯი-ეიჩ-ენი-ს მიხედვით**

**სამართალს ჩვენთან ექებენ**

# დაბრმავებისთვის 5000 ლარი გადამახდევინეს!

## მედიკოსთა შეცდომისა და უპასუხისმგებლობის მაგალითი

**ვარ ომისა და შრომის ვეტერანი, საქართველოს უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკი. მრავალი ორდენის, მედლისა და საპატიო სიგელის მფლობელი.**

ომში მიღებულმა კონტუზიამ მარცხენა თვალის ბადურა წამიშალა და თვალისჩინი დავკარგე. მარჯვენა თვალით კი მხოლოდ 15 პროცენტით ვხედავდი (კატარაქტაძ. ისიც რომ არ დამეკარგა, ექიმებმა მირჩიეს ოპერაცია გამეკეთებინა. 2006 წლის 12 მაისს თბილისში რესპუბლიკური საავადმყოფოს ოფთალმოლოგიის განყოფილების გამგემ პროფესორმა მერაბ დვალმა გამიკეთა ოპერაცია. ოპერაციის შემდეგ სულ დავკარგე მხედველობა. დამეწყო თვალში სისხლის ჩაქცევა. დაიწყეს ექსპერიმენტების ჩატარება (გადასხმები, ნემსები, წვეთები, აბები, თვალების გამორეცხვაძ, მაგრამ უშედეგოდ. მხედველობა არ დამიბრუნდა. გადამიყვანეს ორთაჭალის თვალის საავადმყოფოში. მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატმა გოგა თევზაძემ დამიწყო მკურნალობა. გამიკეთა ოპერაცია და თვალიდან ამერიკული ბროლი ამოიღო. შედეგი არც ამ ოპერაციამ გამოიღო. 7 ივლისს, 10 საათზე დაბარებულმა, 13 საათამდე ვუცადე ბატონ გოგას. აღმოჩნდა, რომ იგი დასასვენებლად წასულიყო. ასე მიმატოვა მკურნალმა ექიმმა. სხვა რა გზა მქონდა, დავუბრუნდი ჩემს ბათუმს. მეზღვაურთა საავადმყოფოში გამსინჯა ექიმმა კახა შარაშიძემ და მითხრა: თვალში შემავალი ნერვი გამხმარია, სინათლე როგორ დაგიბრუნდებაო.



შემამოწმა საექიმო კომისიამ. მცნეს ბრმად, I ჯგუფის ინვალიდად. კომისიამ საჭიროდ ჩათვალა, მყოლოდა მუდმივი მომვლელი. მივმართე აჭარის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს დახმარებისათვის. მომწერეს, მომვლელის გამოყოფა გაუქმებულიაო.

ოჯახში მომვლელი არავინ მყავს. პირიქით, მე ვუვლიდი ჩემს ავადმყოფ ქალიშვილს. ახლა ორივენი მოსავლელი ვართ. განცხადებით მივმართე საქართველოს ჯანმრთელობის, შრომისა და სოციალური დაცვის მინისტრს, ბატონ ლადო ჭიპაშვილს, ვთხოვდი მომვლელის კომპენსაცია მიმელო ორივე საავადმყოფოდან. სამინისტროდან მირჩიეს, მიმემართა სასამართლოსათვის. დაბრმავებული, I ჯგუფის ინვალიდი, ცხადია, ვერ ვივლიდი თბილისში სასამართლოზე. ვარ უმძიმეს მდგომარეობაში, ოჯახში ვართ მამა და შვილი და ორივე მოსავლელი. როგორც საექიმო კომისიამ დაადგინა, ოპერაციის დროს ექიმმა მერაბ დვალმა დაუშვა გამოუსწორებელი შეცდომა — გაჭრა კაპილარი, რომლის აღდგენა აღარ მოხერხდება.

მთელი ჩემი ცხოვრება ქვეყნის, ხალხის სამსახურში გავლიე. ვებრძოდი ფაშისტ დამპყრობლებს, ათეული წლების განმავლობაში კი სტუდენტი ახალგაზრდობის აღზრდა-დაკვალიანების საქმეს ვემსახურებოდი. დღეს კი, აი, ასეთ, გაუბედურებულ მდგომარეობაში ვარ. ექიმმა პასუხი უნდა აგოს თავისი შეცდომისთვის, უგულისყურობისთვის. ბატონმა მერაბ დვალმა მთლიანად დამაბრმავა, ხოლო გოგა თევზაძემ თვალიდან ამერიკული ბროლის ამოსაღებად ორი ოპერაცია გამიკეთა. ორივე უშედეგოდ, შემდეგ კი მიმატოვა და დასასვენებლად წავიდა. ორივე საავადმყოფოში ჩემი მკურნალობისთვის, უფრო სწორად, ჩემი დაბრმავებისთვის ნათესავებმა 5000 ლარამდე დახარჯეს!

მოგმართავთ თქვენ, პატივცემულო რედაქციავ, იმ იმედით, რომ ეგებ თქვენი საშუალებით ხმა მივაწვდინოთ ჯანმრთელობის სამინისტროს და ჩემს მკურნალ ექიმებს, რათა დამეხმარონ. ექიმების მიერ დაბრმავებულს მოუვლელობით ნუ შეიმოკლებენ დარჩენილ დღეებს. მომვლელისთვის მაინც გამომიყონ გარკვეული თანხა!

*პატივისცემით,*
**ვლადიმერ მოქერია**

ლევან თედიაშვილის სახელობის ოლიმპიური ცენტრის დარბაზში გასულ უქმეებზე ოცდაერთწლამდელი ფალავნებისთვის საქართველოს პირველობა გაიმართა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, რითაც ახალგაზრდებმა, ფაქტობრივად, ევროპის პირველობისთვის დაიწყეს მზადება



№ 32. სამშაბათი, 20 თებერვალი, 2007 წელი.

**ეროვნული თასი**

## ...და ნაკვალევს მსაჯი შლის

**მზე, ქარი, წვიმა, თოვლი... არ გეგონოთ, ამინდის პროგნოზს გაცნობდეთ — გლდანის სტადიონზე გამართული დავით ყიფიანის სახელობის „ყაზბეგის“ ეროვნული თასის გათამაშების პირველი მეოთხედფინალური შეხვედრა სწორედ ბუნების ჭირვეულობით იყო გამორჩეული.** თუმცა, თუ დამარცხებულთა და ქომაგთა ერთი ნაწილის რეაქციით ვიმსჯელებთ, არც



მთავარი მსაჯის ლევან კვარაცხელიას კაპრიზებია მისაჩუმათებელი, რომელმაც მასპინძლები რამდენიმე საპენალტო სიტუაციაში დაინდო. ახლა კი მთავარზე — გათამაშების აღნიშნული ეტაპის ცენტრალური წყვილის — „ამერი“ — „დინამო“ პირველმა რაუნდმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ ახალ სეზონში ორივე გუნდს შესწევს უმაღლესი მიზნებისთვის ბრძოლის უნარი.

**„ამერი“ — „დინამო“ 2:1 (1:1).**

**გოლები:** დოლიძე, ჩიმაკაძე („ამერი“); იაშვილი („დინამო“).

საწყისი ნახევარი საათი უდავოდ თასის ამჟამინდელი მფლობელებისა იყო. დროის ამ მონაკვეთში თვალნათლივ გამოჩნდა, რომ მნიშვნელოვანი საკადრო მომძლავრების მიუხედავად, დუშან უგრინის შეგირდებს შეთამაშება აკლიათ, რაც განსაკუთრებით ცენტრალურ მცველებზე (ჩელიჩი, კრშკოძი) ითქმის. აქვე დავძენთ, რომ სუსტად გამოიყურებოდნენ შაშიაშვილი და, რაც განსაკუთრებით მოულოდნელი გახლდათ, დილმელაშვილი, თუმცა ფუნქციონალური მომზადების თვალსაზრისით „თეთრ-ლურჯებმა“ აშკარად დაჯაბნეს მეტოქე.

რაც შეეხება გიორგი ჩიხრაძის კრებულს, მას მნიშვნელოვანი კვალი დააჩნია დეკანოსიძის არყოფნამ, რისი კომპენსირებაც სამაგალითო ბრძოლისუნარიანობითა და მეკარე ქვარახიას თავგანწირული თამაშით მოხერხდა. სხვათა შორის, „ამერი“ ხუთი წელია შეიქმნა და ქვეყნის წამყვან კლუბთან ჯერ არ დამარცხებულა.

**დანარჩენი შედეგები:** „ჩიხურა“ — „სიონი“ 2:3 (ბოლნისელთა კამერუნელმა ლეგიონერმა გასტონ ევოჩემ „ჰეთ-თრიქი“ შეასრულა), „ბათუმი“ — „ტორპედო“ 0:0, „ბორჯომი“ — „ზესტაფონი“ 1:2.

საპასუხო რაუნდი 6 მარტსაა დანიშნული.

**ელდარ მალხაზიშვილის ფოტო.**

**კალათბურთი**

## ხანდახან ჩვენთანაც იბრძვიან



**კი ვამბობთ, XVI ეროვნულ ჩემპიონატს ინტრიგა აკლიაო, მაგრამ შიგადაშიგ გამოერევა ხოლმე მატჩები, როცა ფავორიტებს შედარებით სუსტნიც უბედავენ შებრძოლებას.**

ერთი ასეთი შეხვედრა ვერის ბაღის მიხეილ კეკელიძის სახელობის დარბაზში სუპერლიგის III წრის მორიგ ტურში გაიმართა, როცა თბილისის „დინამო“ კეშელავას, გვიმრაძისა და ლაფანაშვილის გარეშე ბევრს დასამარცხებლად განწირულად მიაჩნდა თსუ-ს წინააღმდეგ, თუმცა მოვლენები სულ სხვა სცენარით წარიმართა — სტუდენტებმა თამაში მხოლოდ დამატებით დროში მოიგეს — 97-94 (ძირითადი დრო — 86:86). აღსანიშნავია, რომ ნუგზარ ჭეიშვილის გუნდი სასურველი შედეგის მიღწევას ფორტუნასაც უნდა უმადლოდეს — საფინალო სასტვენამდე რამდენიმე წამით ადრე ხელსაყრელი პოზიციიდან ბადრიძემ ბურთი კალათს ააცილა.

**ყველაზე შედეგიანები:** შანიძე (23 ქულა, თსუ), ნოზაძე (19 ქულა, „დინამო“).

**დანარჩენი შედეგები:** „აზოტი“ — „მაკაბი“ 124:76 (რუსთაველთა ლიდერმა კოტე ტულუშმა 11 სამქულიანი ჩააგდო და სულ 45 ქულა მოაგროვა. იგი ტურის საუკეთესო კალათბურთელად დაასახელეს); „ავიამშენი“ — სტუ 93:76.

**24 თებერვალს ითამაშებენ:** სტუ — „დინამო“ (12 საათზე), თსუ — „მაკაბი“ (14 საათზე) და „ავიამშენი“ — „აზოტი“ (16 საათზე).

* * *

**მართალია, ზემოთ დავიჩივლეთ, ჩვენი ქვეყნის ეროვნულ ჩემპიონატში იშვიათად იმართება საინტერესო მატჩებიო, მაგრამ სასაყვედუროდ თვით ოკეანისგაღმაც ყოფილა საქმე.** მაგალითად, გუშინდელ ნბა-ს ყველა ვარსკვლავის მატჩში, რომელსაც პირველად უმასპინძლა კაზინოების დედაქალაქმა ლას-ვეგასმა, დასავლეთის ნაკრებმა უმოწყალოდ დატორა აღმოსავლეთელები — 153:132. ყველაზე სასარგებლოდ მიჩნეულმა მოთამაშემ კობი ბრაიანტმა („ლოს ანჯელესი“) გამარჯვებულებს 31 ქულა შესძინა.

**ელდარ მალხაზიშვილის ფოტო.**

**ორბიტაზე**

### დღეს იმსაჯებენ

**ჩემპიონთა ლიგის განახლებული ტურნირის დღევანდელ, 20 თებერვლის მერვედფინალურ მატჩებზე მთავარ მსაჯებად უეფამ დანიშნა:** „სელტიკი“ — „მილანი“ — შტარკი (გერმანია), პსვ — „არსენალი“ — ევრებე (ნორვეგია), „ ლილი“ — „მანჩესტერ იუნაიტედი“ — ბრამჰარი (ჰოლანდია), „რეალი“ — „ბავარია“ — დე ბლეკერე (ბელგია).

### თავისივე რეკორდი გააუმჯობესა



**ამერიკელმა მოცურავემ, 21 წლის მაიკლ ფელპსმა, 2004 წელს ათენის ოლიმპიადაზე 6 ოქროს მედალი რომ მოიპოვა, სამშობლოში გამართულ შეჯიბრებაზე გააუმჯობესა თავისივე მსოფლიო რეკორდი 200 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში. მან ეს დისტანცია 0,09 წამით უფრო სწრაფად გაცურა და ახლა მსოფლიო რეკორდი 1 წუთისა და 53,71 წამის ტოლია.**

ფელპსი მსოფლიო რეკორდების გაუმჯობესებას აპირებს მსოფლიო ჩემპიონატზეც, რომელიც მარტის შუა რიცხვებში მელბურნში გაიმართება.

### ქორწილი ურჩევნია

**ასე განაცხადა მომღერალმა, მსახიობმა და ტელეწამყვანმა შარლოტა ჩერჩმა, რომელსაც ხვალ, ოთხშაბათს 21 წელი უსრულდება. მისი თქმით, ყველა საჩუქარს ურჩევნია თუკი მისი რჩეული უელსელი მორაგბე გევინ ჰენსონი ხელსა და გულს შესთავაზებს.**

„თუკი ის ცოლობას მთხოვს, რასაკვირველია, დავეთანხმდები, — განუცხადა შარლოტამ ჟურნალისტებს, — მე ის მიყვარს, ის ჩემთვის ერთადერთი მამაკაცია“. ჩერჩი იმასაც ამბობს, რომ არ უნდა მოვლენების დაჩქარება და საქმროზე ზეწოლა, რადგან ორივეს საკუთარი კარიერა აქვს და მასაც დრო უნდა დაუთმონ. თანაც არ უნდა დიდი საქორწილო ზეიმის მოწყობა, რომლის უსაფრთხოების დაცვისთვის 50 მილიონი გირვანქის გაღება მოუწევთ.

რაც შეეხება თავად გევინს, ის ჯერჯერობით კომენტარებისგან თავს იკავებს.



**ფეხბურთი**

## ევროპის სტადიონებზე



**იტალია. XXIV ტური.** „ინტერი“ — „კალიარი“ 1:0, „ემპოლი“ — „რომა“ 1:0, „პალერმო“ — „კიევო“ 1:1.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ინტერი“ — 63, „რომა“ — 49, „პალერმო“ — 43 ქულა.

**ბომბარდირი:** ტოტი („რომა“ — 14 გოლი.

**შემდეგი ტური:** „კატანია“ — „ინტერი“, „რომა“ — „რეჯინა“, „ატალანტა“ — „პალერმო“.

**ესპანეთი. XXIII ტური.** „ვალენსია“ — „ბარსელონა“ 2:1, „სევილია“ — „ატლეტიკო“ 3:1, „რეალი“ — „ბეტისი“ 0:0.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ბარსელონა“, „სევილია“ — 46-46, „ვალენსია“, „რეალი“ — 42-42 ქულა.

**ბომბარდირი:** კანუტი („სევილია“) — 18 გოლი.

**შემდეგი ტური:** „ბარსელონა“ — „ბილბაო“, „ხეტაფე“ — „სევილია“, „ხიმნასტიკი“ — „ვალენსია“, „ატლეტიკო“ — „რეალი“.

**გერმანია. XXII ტური.** „ვოლფსბურგი“ — „შალკე“ 2:2, „აინტრახტი“ — „შტუტგარტი“ 0:4, „ვერდერი“ — „ჰამბურგი“ 0:2.

**ლიდერთა ჯგუფი:** „შალკე“ — 49, „შტუტგარტი“ — 47, „ვერდერი“ — 44 ქულა.

**ბომბარდირი:** გომესი („შტუტგარტი“) — 13 გოლი.

**შემდეგი ტური:** „შალკე“ — „ლევერკუზენი“, „შტუტგარტი“ — „ჰერტა“, „გლადბახი“ — „ვერდერი“.

**მძლეოსნობა**

## „სპორტის დედოფალი“ - ჭერქვეშ

**დიდუბის მძლეოსნობის მანეჟში დამთავრდა საქართველოს მძლეოსანთა ზამთრის ჩემპიონატი, რომელშიც სხვადასხვა ქალაქისა და რაიონის 300-მდე წარმომადგენელი ცდიდა ძალებს.**

**გაუწყებთ გამარჯვებულთა ვინაობას:**

**ქალები:** ანა კაშია (60მ., ქუთაისი), სოფო მანუკიანი (200მ., თბილისი), ირინა ლოზოვაია (400მ., გორი), გაიანე უსტიანი (800მ., ფოთი), გიული დეკანაძე 1500 და 3000მ., ვანი), სალომე რიგიშვილი (ბირთვი, თბილისი), ქრისტინე შალამბერიძე (სამხტომი, წყალტუბო), ლიკა დვალიშვილი (60მ. თარჯრბენი და სიგრძეზე ხტომა, თბილისი); ამანათრბენი 4X200 — თბილისი.



**ვაჟები:** დავით ცუცქირიძე (60მ., ბორჯომი), ანდრო ზილბერშტეინი (400მ., ახალციხე), გიგლა ზილბერშტეინი (1500 და 3000 მ, ახალციხე), გიორგი ამირანაშვილი (სიმაღლეზე ხტომა, თბილისი), მამუკა ტულუში (ბირთვი, ოზურგეთი), ბორისლავ სხირტლაძე (სამხტომი და სიგრძეზე ხტომა, თბილისი), დავით ილარიანი (60მ. თარჯრბენი, თბილისი), ამანათრბენი. 4X200მ. — თბილისი.

**გუნდური ადგილები ასე განაწილდა: I ჯგუფი**. 1. თბილისი — 1/530 ქულა, 2. ახალციხე (340,5), 3. ქუთაისი (340). **II ჯგუფი.** 1. წყალტუბო (116), 2. მარტვილი (83), 3. ოზურგეთი (40).

**ავტოსპორტი**



### მასპინძელია კუს ტბა

**ჩქაროსნულ სამთო რბოლაში საქართველოს ჩემპიონატის პირველი ეტაპი კუს ტბის მიდამოებში გაიმართა. ორკილომეტრიან დისტანციაზე 18 ეკიპაჟი ეჯიბრებოდა ერთმანეთს.** ორი რბოლის შედეგებით პირველ ადგილზე ოთარ თავართქილაძე და ლადო კუხიანიძე („სუბარუ იმპრეზა“) გავიდნენ. მეორე იყო გიორგი ოგბაიძე („ჰონდა სივიკი“), მესამე ადგილი არჩილ ბიძინაშვილს („ჰონდა სივიკი“) ხვდა.

საქართველოს ჩემპიონატის მეორე ეტაპსაც კუს ტბა უმასპინძლებს.

**ჭიდაობა**

## დიდი გზა აქვთ გასავლელი

**ლევან თედიაშვილის სახელობის ოლიმპიური ცენტრის დარბაზში გასულ უქმეებზე ოცდაერთწლამდელი ფალავნებისთვის საქართველოს პირველობა გაიმართა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, რითაც ახალგაზრდებმა, ფაქტობრივად, ევროპის პირველობისთვის დაიწყეს მზადება.** ხალიჩაზე გამოვიდა ყველა უძლიერესი, გარდა ლაშა გოგიტაძისა (55) და რევაზ ლაშხისა (60), რომლებიც ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ვლადიმერ ადეიშვილმა დაასვენა, რადგან მათ კონკურენტები არა ჰყავთ, თანაც გოგიტაძე უფროსებში საქართველოს წლევანდელი ვიცე-ჩემპიონია, ხოლო ლაშხი — გამარჯვებული.



ორთაბრძოლების შემდეგ წონითი კატეგორიების მიხედვით კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ ზურაბ მაჭარაშვილი (50, ოზურგეთი), არჩილ თურმანიძე (55, აჭარა), ლაშა მოლაშვილი (60, თბილისი), ანტონ მამაგეიშვილი (66), ლაშა გუგუნაშვილი (74), სერგო ნინუა (84, ყველა-ქუთაისი), იოსებ ჯაბიძე (96, ბაღდათი) და დიმიტრი ჯავახიშვილი (120, აჭარა).

ევროპის პირველობამდე ჩემპიონები და პრიზიორები საწვრთნელ შეკრებას გაივლიან, შეირჩევა ნაკრების ძირითადი ბირთვი, რომელიც რამდენიმე ტურნირში იასპარეზებს. ახალგაზრდა „კლასიკოსები“ 10-11 მარტს სოფიაში პეტკო სირაკოვის მემორიალზე გამოვლენ, 25-27 მაისს იზმირის, 1-3 ივნისს კი ერევნის საერთაშორისო ტურნირებზე იჭიდავებენ. მხოლოდ ამის შემდეგ დასახელდება მათი ვინაობა, ვინც ბელგრადში საქართველოს სპორტულ ღირსებას დაიცავს.

დ ა ძ ა ბ უ ლ ი

# ჩვენ

ეს ჩვენი ქალაქის ისტორიაა. ქალაქს კი, რაც უნდა ლამაზი იყოს, კოლორიტული პიროვნებები ალამაზებენ. ჩვენი გმირიც ხომ ასეთი საზოგადოების ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენელია



## ქართული ხასიათები

# თბილისის ძველი მოდელიერი

**ქართველებს, ყველა დროსა და ეპოქაში, გაჭირვება იყო თუ დალხინება, ჩაცმა-დახურვა განსაკუთრებულად გვიყვარდა და, ღვთის მადლით, არც გემოვნებასთან ვიყავით მწყრალად. სულმნათი კოტე მახარაძის მარცვალ-მარცვალ ჩამოგვირისტებული, ძარღვიანი ქართული გამოთქმისა არ იყოს, გენეტიკურად, ჩვენ „ჯიშიან ახალგაზრდობას“ ყველაფერთან ერთად, გემოვნებით ჩაცმაც გამოარჩევს.** დღეს ჩაცმა-დახურვით ვერავის ველარ გააკვირვებ, რადგან სამოდელო ინდუსტრიამ გაუგონარ მასშტაბებს მიაღწია. მომრავლდნენ ბიბილოგახვრეტილი, საყურეებიანი მოდელი მამაკაცები და გაშიშვლებულ მოდელ ქალებთან ერთად, ამაყად დააბიჯებენ საგანგებოდ მოწყობილ პოდიუმზე. მაყურებლებიც ისე გაშმაგებულები ადევნებენ თვალს, გეგონებათ ქვეყნის ყოფნა-არყოფნის ბედი ამ პოდიუმზე წყდებოდეს. რაკი სიტყვა სამოდელო ხელოვნებაზე ჩამოვარდა, ვნახოთ რა ტრადიციებით გამოირჩეოდა ჩვენი ქალაქი და თბილისის ერთი ძველი მოდელიერი, ანუ როგორც მაშინ ვეძახდით, მკერავი ვალიკო მანჯავიძე გავიხსენოთ. მკერავიო ვამბობ, მაგრამ ამ უპრეტენზიო, უბრალო სიტყვის უკან, დახვეწილი გემოვნების, შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული, მაღალი რანგის ძველი თბილისელი მოდელიერი დგას, რომლის მიერ დამზადებული ყოველი ტანსაცმელი, ხელოვნების ნიმუშს წარმოადგენდა.

ყველაფერი სრულიად სპონტანურად დაიწყო. ორმოცდაათიანი წლების ბოლოს, ნახევარმილიონზე ოდნავ მეტი მოსახლეობის თბილისი, სრულიად პროპორციულად ჯდებოდა ხუთმილიონიანი საქართველოს დედაქალაქის ჩარჩოებში. მეტ-ნაკლებად ყველა ერთმანეთს იცნობდა. ჩვენი თავშეყრის ადგილიც და „პოდიუმიც“ რუსთაველის გამზირი იყო. ზამთრის ერთ სუსხიან დღეს, რუსთაველის პროსპექტზე იმ პერიოდისთვის სრულიად განსხვავებული მოდელის, ელეგანტურ თარგზე შეკერილ პალტოში გამოწყობილი, სიმპათიური ახალგაზრდა გამოჩნდა. გეგონებოდათ პალტო რომელიღაც ფეშენებელური ინგლისური ფირმის შეკერილი იყო, რაზეც პატრონის ამაყი სიარულიც მიგვანიშნებდა (ეს პიროვნება, შემდგომში ჩვენი ტექნიკური სამეცნიერო ინტელიგენციის ღირსეული წარმომადგენელი, პროფესორი ზურიკო მგელაძე გახლდათ). ჩვენდა გასაკვირად, მისი ავტორი, ერთი კაფანდარა თბილისელი, ხალასი ნიჭით დაჯილდოებული, ოცდასამიოდე წლის ბიჭი ვალიკო მანჯავიძე აღმოჩნდა. მისი „ინგლისური ფირმა“ კი მაშინდელი მთავრობის სახლის პირველ სართულზე, შადრევნის წინ იყო განთავსებული. სწორედ ამ შენობის კედლებში მოხდა მისი სამოდელო დიზაინერად ნათლობა.



მისმა შეკერილმა პალტომ, რომ იტყვიან, ფურორი მოახდინა და, როგორც თბილისს სჩვევია, გუშინ ყველასათვის უცნობი ვალიკო მანჯავიძე ერთ-ერთ პოპულარულ პიროვნებად იქცა. პოპულარობას მისმა სასიამოვნო გარეგნობამაც შეუწყო ხელი. იგი შეკვეთების მიღებას ვერ აუდიოდა, რაც ზემოხსენებული შენობის პირობებში, გარკვეულ „უხერხულობას“ იწვევდა. საჭირო შეიქნა სხვა ადგილისა და შენობის მოძებნა. ასე აღმოჩნდა მისი ატელიე ფალიაშვილის ქუჩაზე, მაშინდელ უცხო ენათა პედაგოგიურ ინსტიტუტთან. რადგანაც სტუდენტური მჩქეფარე ცხოვრების სავანედ ვაკე ითვლებოდა, ვალიკოს „რეზიდენციაში“, სტუდენტთა, და არა მარტო სტუდენტთა, გაუთავებელი რიგი იდგა. ზოგი რას იკერავდა, ზოგი რას. მოთხოვნილებისა და შესაძლებლობების ეკონომიური ბალანსი, საბედნიეროდ, ამის საშუალებას იძლეოდა, თუნდაც სტუდენტური სტიპენდიის პირობებში.

მოდელიერის ასე აღმასვლა და პოპულარობა, ბუნებრივია, მაშინდელ პარტიულ ელიტას შეუმჩნეველი არ დარჩენია, რადგან იქაც ბლომად იყვნენ მოდურად ჩაცმის მოყვარულები. ასე რომ, ჩვენი მოდელიერი, საზოგადოებრივი ყველა ფენისა და სფეროს სასურველი და საჭირო პერსონა გახდა. ბუნებრივია, მუყაითმა და პატიოსანმა შრომამ ამ ახალგაზრდა კაცს სოლიდური შემოსავალი გაუჩინა. იტყვიან ხოლმე, ბევრი ფული კაცს აფუჭებსო, მით უმეტეს ახალგაზრდას. საბედნიეროდ, მთლად ასე არ ყოფილა, თურმე, კაცსაც გააჩნია. სწორედ ასეთი გამონაკლისი გახლდათ ჩვენი გმირი. მან მშვენივრად უწყოდა, რომ რაიკომის მდივნის ან თუნდაც ინსტრუქტორის ჯიბის სტუდენტის ჯიბესთან გათანაბრება მკრეხელობაა, ხოლო შეკვეთის ერთნაირი პატივით და მონდომებით მიღება-შესრულება, ვისიც არ უნდა იყოს, გამორჩეულთა ხვედრია, ქველმოქმედების ტოლფასი. ოსტატის მხრიდან, უფლის მიერ ბოძებული მოყვასის ასეთი სიყვარული იყო ის ღირსება, რომელიც მას გამოარჩევდა და მის მიმართ პატივისცემით განგაწყობდა. დღეს მომღერლის, მსახიობის თუ სხვა სფეროს წარმომადგენლებისგან ტელეეკრანიდან ხშირად გაიგონებთ გამოთქმას — „ჩემს ჩაცმულობაზე ამა და ამ ფირმამ იზრუნა“ და ამ ფირმას რეკლამაც გარანტირებული აქვს. ჩემი თაობის ახალგაზრდობაზე, ყოველგვარი რეკლამის გარეშე, მართლაც იზრუნა ვალიკო მანჯავიძემ.

მისი მაღალი გემოვნებით შესრულებული ელეგანტური ტანისამოსი იყო ერთ-ერთი გარანტი ახალგაზრდების დაწყვილებისა, რაც საბოლოო ჯამში, ქორწინებით და ახალი ოჯახების შექმნით გვირგვინდებოდა. ჩვენი ქვეყნისთვის ამ მამულიშვილურ საქმეში ვალიკო მანჯავიძის მადლიც ერია. ეს შეხმატკბილებული ურთიერთობა მოდელიერსა და მოსახლეობას შორის ათეული წლების განმავლობაში გრძელდებოდა. მაინც, რა ანდამატური ძალა ჰქონდა ჩვენ თბილისს, ან რა იყო ის ამოუხსნელი ფენომენი, რომელიც ასეთ ზნეკეთილ პიროვნებებად გვაყალიბებდა და ურთიერთდამოკიდებულებების განუმეორებელ ჰარმონიას ქმნიდა საზოგადოების ყველა ფენასა და სფეროში! ჩვენდა სამწუხაროდ, ეს ყველაფერი ისტორიას ბარდება და ტკბილ მოგონებად რჩება. ოკეანის გაღმიდან დაბერილმა გამჭოლმა სიომ ქართული სულიერებისთვის მიუღებელი, ეგრეთ წოდებული „უნარ-ჩვევები“ თავს უნდა მოგვახვიოს... სამოდელო სფეროში გამოჩნდნენ ახალი სახეები, განსხვავებული გემოვნებითა და ღირებულებებით.

ჩვენი გმირი, თავისი ნიჭისა და გამოცდილების მიუხედავად, ვერ მოერგო ამ ახალ ტალღას, არ უღალატა მარადიულ ფასეულობებს, თავისი ქალაქის ტრადიციებს, გაუძლო ყოველგვარ ცდუნებას და დარჩა ჩვენი ქალაქის ძველ „მეფაიტონედ“. ჩვენც ნუ ვიქნებით უმადურნი, ვიყოთ ერთგულნი ჩვენი თბილისის, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი განუმეორებელი ხიბლისა, გავიხსენოთ, პატივი მივაგოთ ძველ მოდელიერ ვალიკო მანჯავიძეს, რომელიც დღესაც რუდუნებით ემსახურება თავის საყვარელ საქმეს, თავისსავე მყუდრო ატელიეში, მისსავე გაზრდილ შეგირდ შურიკასთან ერთად.

ეს ჩვენი ქალაქის ისტორიაა. ქალაქს კი, რაც უნდა ლამაზი იყოს, კოლორიტული პიროვნებები ალამაზებენ. ჩვენი გმირიც ხომ ასეთი საზოგადოების ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენელია.

**ალბერტ გულისაშვილი,**
**სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი.**

## აფორიაქებული განწყობით

# თავზე არაფერი დაეცეს ვინმეს

**ღვთის მადლობელი ვარ.**

**მანქანის მართვა არ ვიცი.**

**საშუალება კი მქონდა.**

**შესაძლებლობაც.**

**არ გამჩენია მხოლოდ სურვილი.**

**არასოდეს.**

**სიყმაწვილიდან მოყოლებული დღეის-დღემდე.**

**კიდევ კარგი, თორემ დავიტანჯებოდი უსათუოდ.**

მოვახერხებდი რაღაცას, ვიყიდდი ერთ გასაცოდავებულ მანქანას და ვინანებდი. გავიმწარებდი ყოველდღიურობას.

საღამოხანს დავბრუნდებოდი შინ.

დაღლილი.

დაქანცული.

მოვინდომებდი მანქანის თავის ადგილზე დაყენებას. მივაგორებდი გარაჟთან, შევაჩერებდი ორიოდე წუთს, გავაღებდი კარებს და მანქანასთან დაბრუნებულს სულმოკლე შეყვარებულივით დაუგვიანებლად გამომეცხადებოდა მეთვალყურე თუ მესადგომე, მოკლედ „სტაიანშჩიკი“ ჩვენი მრავალრიცხოვანი ჩრდილოელი მეზობლის მშობლიურ ენაზე.

მომთხოვდა ოც თეთრს.

შეიძლება ორმოცდაათსაც.

ლარსაც, დგომის ხანგრძლივობის გათვალისწინებით.

გაჩერების საფასურს.

დაკანონებულს.

სამართლებრივად განმტკიცებულს.

ასე იქნებოდა ნამდვილად, რადგან **თბილისში თითქმის არ დარჩა ერთი ფიორი მიწის ნაგლეჯი, სადაც კაცი დატოვებს მანქანას, შევა მეპატრონის ამარა დარჩენილ პატარა ბუდრუგანაში, წამში იყიდის ერთ კოლოფ სიგარეტს და გააგრძელებს გზას ამ დალოცვილი დგომის საფასურის გარეშე.**

დღეისთვის ქალაქში მართლა იშვიათია ასეთი ადგილი.

გასაგებია ყველაფერი:

შევსება უნდა ბიუჯეტს.

ნებისმიერი ხერხით.

ყოველგვარი საშუალებით, მაგრამ..

ოხერია ეს „მაგრამ.“

ყოველთვის გარიდებს სწორ გზას. მიყავხარ სადღაც იქ, სადაც არაფერი გესაქმება.

ახლაც ბიუჯეტთან მიმიყვანა უგამაგეთ.

დარაჯებზე ვსაუბრობდი. უნდა ხაზგასმით მეთქვა, რომ ნამდვილად თანავუგრძნობ ამ პატიოსან ხალხს.

ვუფასებ შრომას.

ერთ ადგილზე ტრიალებენ დილიდან საღამომდე.

ქარში.

წვიმაში.

ხშირად თაკარა მზეში.

იქნევენ ჭრელ ჯოხებს. ხელგაშვერილები დასდევენ დასაძრავად გამზადებულ მანქანებს, იყრიან ჯიბეში ხურდას.

ზოგიერთებისგან მეტს.

ზოგთაგან ნაკლებს.

გააჩნია, ვისგან და როგორისგან.

ბიუჯეტსაც ავსებენ, ოჯახსაც არჩენენ ამით.

თურმე ეს არის სულ.

არ ჰქონიათ სხვა საქმე.

არაფერზე აგებენ პასუხს.



ახლახან სადგომიდან ჩუმად გაიყვანეს ახლობლის მანქანა. მოკითხეს ამ ყვითელხაფთანიანს.

გაოგნდა კაცი, რა გინდათო ჩემგან, კომპიუტერი ხომ არ ვარ, ვიმახსოვროო თითოეული მანქანის მეპატრონის სახე და მანერები.

სახელმწიფო მიწაზე დგომის საფასურის ამკრეფი ყოფილა მხოლოდ. არ ჰქონია სხვა საზრუნავი.

არანაირი პასუხისმგებლობა.

ვყოფილვარ, მინახავს სადღაც და რაღაც.

სხვა ქვეყნებში.

მართლა მოწესრიგებულებში.

ავტოსადგომებში დგომის წესებიც გამირკვევია არაერთგან.

კაცისშვილი არ ჟაჟანებს იქ მანქანების პატრონების გარდა. დგომის საფასურს ავტომატში აგდებ წინასწარ და მიდიხარ შენს საქმეზე მშვიდად.

არ გაქვს მოპარვის შიში. ტელეთვალი არავის მისცემს შენი მანქანის მორგებული გასაღებით დაქოქვისა და გატაცების ჩვეულებრივ საშუალებას.

რატომღაც უკუღმაა ყველაფერი აქ და პოლიტიკური ნების საგანი არ არის ეს. ცოტა მეტი მოქნილობაა საჭირო. სხვა არაფერი.

ფულს აქაც იხდი, მაგრამ არ გაქვს არაფრის გარანტია, თუ არ გაგიმართლა, უფალმა არ დაგიცვა უკეთურის ხელთაგან.

ვთქვათ, არ მოხდა ასე.

რას შვრები მაშინ?

ერთი ძველისძველი ანეკდოტისა არ იყოს, ადგე და წახვიდე უნდა ფეხით ისე, როგორც წავიდა იმ ანეკდოტის გმირის წინაპარი, რომელსაც ქურდებმა ცხენი მოპარეს მანქანების გამოგონებამდე.

ახლა სხვა ცხოვრებაა და შეიძლება ავტობუსსაც გაჰყვე. გაჩერებაზე დგომის საფასურს ნამდვილად არავინ მოგთხოვს.

ჯერჯერობით მაინც.

**რობერტ ძერია.**

● ოპერის ევროპულმა დღეებმა სპექტაკლების ჩვენებასთან ერთად მოიცვა თეატრის ფოიეში გამართული გამოფენა — „თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის ევროპული ტრადიციები“. აქ წარმოდგენილმა ექსპონატებმა ასახეს ბოლო წლებში ქართულ სცენაზე ევროპული დადგმების ისტორია



№ 32. სამშაბათი, 20 თებერვალი, 2007 წელი.

◉ სიახლე

# თეატრი მეტროში და... რას ფიქრობენ ახალგაზრდები

**ასეთი უჩვეულო გარემო კლასიკური მუსიკის ცოცხლად ასაჟღერებლად, ალბათ, ძნელი წარმოსადგენი იყო — ოპერის თეატრი... მეტროში ჩავიდა. ეს უპრეცედენტო შემთხვევა თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრმა ჩაიფიქრა ოპერის ევროპულ დღეებში, რომელიც მთელი ევროპის მასშტაბით აღინიშნა და კონკრეტულად დაუკავშირდა, ასევე უპრეცედენტო მოვლენას — ოპერის ოთხსაუკუნოვან იუბილეს.**

მაღალი რანგის ხელოვნების ხალხთან უფრო მეტად მიახლოების, როგორც ეს აღნიშნა თეატრის დირექტორმა დავით საყვარელიძემ, გამოხატულება იყო კვირას, შუადღისას, მეტროს სადგურ „თავისუფლების მოედანზე“ გამართული კონცერტი. იგი დიდხანს დაამახსოვრდება ყველას, ვინც მას შეესწრო. მსმენელნი საკმაოდ მოგროვდნენ, აქვე იყვნენ დედაქალაქის მერიის წარმომადგენლებიც. ამ დღეს მათთვის უკრავდა სიმებიანი კვარტეტი და მღეროდა ოპერის თეატრის გუნდი. კვარტეტმა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ გია ხაინდრავა, პაატა ჭანტურიშვილი, ირაკლი ჯაფარიძე და გიორგი ჯორჯაძე, მოცარტისა და სულხან ცინცაძის ქმნილებები ააჟღერა, ხოლო სოლისტებმა მზია დავითაშვილმა, სულხან გველესიანმა და ტარიელ ჭიჭინაძემ გუნდთან ერთად შეასრულეს ფრაგმენტები კლასიკური რეპერტუარიდან.



შთაბეჭდილება სახელდახელოდ გამიზიარეს ჩემს გვერდით მდგომმა ქალბატონებმა მარინე ჭანიშვილმა და ლარისა ტოკარევამ. „კმაყოფილებას ვერ ვმალავთ, და ამის გამოსახატავად სიტყვები არ გვყოფნის, აკუსტიკა ცუდი არ იყო. სამწუხაროდ, ვერ ვახერხებთ თეატრში სიარულს, მატერიალურად თუ გვაკლია, სულიერი საზრდო მაინც რომ გვქონდეს დროდადრო თუნდაც ასეთი სახით, კარგი იქნება“.

ოპერის ევროპულმა დღეებმა სპექტაკლების ჩვენებასთან ერთად მოიცვა თეატრის ფოიეში გამართული გამოფენა — „თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის ევროპული ტრადიციები“. აქ წარმოდგენილმა ექსპონატებმა ასახეს ბოლო წლებში ქართულ სცენაზე ევროპული დადგმების ისტორია.

დღეების მნიშვნელოვანი მოვლენა იყო აგრეთვე ოპერის მოყვარულთა ახალგაზრდული კლუბის პრეზენტაცია.

როგორც ითქვა, ევროპაში ყველა ოპერის თეატრთან არსებობს ოპერის მოყვარულთა ახალგაზრდული და მოზრდილთა კლუბები. ამჯერად ჩვენში საფუძველი ჩაეყარა ახალგაზრდულ კლუბს, სამომავლოდ კი თეატრს მოზრდილთა კლუბის შექმნაც აქვს ჩაფიქრებული. როგორც გაირკვა, კლუბის წევრობის სურვილი უკვე 200-ზე მეტმა ახალგაზრდამ გამოთქვა.

რა მიზნები და პრიორიტეტები ექნება კლუბს და როგორ წარიმართება მისი მუშაობა? როგორც კლუბსა და თეატრის ადმინისტრაციას შორის შუამავალი, საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის დირექტორი რუსუდან მაცაბერიძე ამბობს, კლუბის შექმნის მიზანია, რაც შეიძლება მეტი ახალგაზრდა დაინტერესდეს საოპერო ხელოვნებით. ისინი დროდადრო დაესწრებიან გუნდის, ორკესტრის რეპეტიციებს, შეღავათები ექნებათ ბილეთების საფასურში. ცალკეულ სპექტაკლებზე და საოპერო თემატიკაზე გამოთქმულ სურვილებს და შენიშვნებს თეატრი მხედველობაში მიიღებს. თეატრსა და კლუბის წევრებს შორის მეგობრობა და თანადგომა საქმიან ურთიერთობასაც გულისხმობს.

— ახალგაზრდობას საორგანიზაციო საქმეშიც ჩავრთავთ და მათ პატარ-პატარა საიდუმლოებებსაც გავანდობთ, სცენის მიღმა სამყაროსაც გავაცნობთ. გარდა ამისა, ისინი შეიტყობენ, რა ხდება დღეს მსოფლიოში, რა ტენდენციებია და როგორი ახალი შემოქმედებითი თაობები მოდიან, — ამბობს თეატრის დირექტორი დავით საყვარელიძე.

კლუბის წევრთა ცხოვრებას საინტერესო შტრიხს შემატებს ურთიერთობა სხვადასხვა ქვეყნის კლუბებთან. ისინი გაცვლიან პროგრამებს და ამაში მათ სათაო ოფისი „ჯუვენილიაც“ დაეხმარება, რომელიც გერმანიაში მდებარეობს.

კლუბის მუშაობას წარმართავს ხუთკაციანი საბჭო, რომელიც ექვს თვეში ერთხელ აირჩევა. მოსწავლეები და სტუდენტები საწევროს სახით 15 ლარს გადაიხდიან წელიწადში, ხოლო ისინი, ვინც მუშაობს, 20 ლარს. რა ერქმევა თბილისურ კლუბს? ამაზე ახალგაზრდები ჯერ კიდევ იმსჯელებენ, სურვილად კი გაჩნდა სახელი „ლირა“.

**— მიხარია, რომ ამდენმა ახალგაზრდამ გამოთქვა კლუბის წევრობის სურვილი, იმედი მაქვს, მომავალში მათი რაოდენობა კიდევ უფრო გაიზრდება და მეგობრულ ვითარებაში გავიზიარებთ ერთმანეთის პრობლემებს, — აღნიშნა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა ზაზა აზმაიფარაშვილმა.**

**რუსუდან მუხიგულაშვილი**

## ხსოვნა



### მარინა ზარქუა-ფიფია

წალენჯიხის რაიონის მედპერსონალს გამოაკლდა **მარინა ლონგინოზის ასული ზარქუა-ფიფია,** რომელიც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, 1979 წლიდან ამ კოლექტივის წევრი იყო. მარინა იყო შესანიშნავი სტომატოლოგი, უანგარო და ერთგული პიროვნება და მეგობარი, უსაყვარლესი მეუღლე და დედა, რომელმაც სამშობლოს გაუზარდა ორი ღირსეული ვაჟკაცი: კობა და შოთიკო.

ჩვენო მარინა, შენ ხომ არავის პატივისცემა არ გავიწყდებოდა და მხარში ედექი მთელ კოლექტივს, ნათესავებსა და მეგობრებს, როგორც ჭირში, ასევე ლხინში. ამიტომაა, რომ უცრემლოდ ვერავინ გიხსენებს, ჩვენო გაუნელებელო ტკივილო, უსაზღვროა ჩვენი მწუხარება...

ამბობენ, სიკვდილს გლოვა უხდებაო. ჩვენც რაღა დაგვრჩენია ამის მეტი... შენი სიკეთე და სიყვარული ლამაზ მოგონებად ანათებს და მონატრებას გვიმძაფრებს...

დაე, მსუბუქი ყოფილიყოს შენთვის მშობლიური მიწა! მუხლმოყრილნი, უფალს ვევედრებით, გაანათლოს შენი სპეტაკი სული და მოგანიჭოს სამუდამო სასუფეველი...

**წალენჯიხის რაიონის მედპერსონალის სახელით:**
**ზურაბ მორგოშია, მარიამ კაკაურიძე, ლალა შენგელია, ინეზა შენგელია, თათია მოლაშხია, ელზა კვარაცხელია, ლია ხუბუტია, ირინა ქუჩულორია**



მეუღლე იგორ ფიფია, შვილები კობა, შოთიკო, და მანანა, ძმა სოსო, რძალი ნანი კალანდია, დისწულები ელენე, თაკო მგალობლიშვილები, ძმისწულები თამუნა, თემურ ზარქუები, სიძე მალხაზ შანავა, ძმის შვილიშვილი ნინიკო შანავა, მაზლი გიგლა ფიფია, მაზლის ცოლი ნონა კვირტია, მაზლიშვილები დანიელ, მამუკა ფიფიები, მული ნარგიზა ფიფია, მულის ქმარი ჯემალ ქვანია, მულისშვილები ხათუნა, ირმა, ლექსო, ნათია ქვანიები, დეიდაშვილები მერაბ, სერგო, მარინა ჯინჯოლავები, რძალი დოდო შელია, სიძე მალხაზ კვარაცხელია, მამიდაშვილები ზურაბ, მარინა გოგოხიები, ბიძაშვილები აივენგო, ნუგზარ, გოგი ზარქუები, გია, ნატო, ციცო, ლალა, ლალი, ლიანა, როინ, ლევან, გიორგი სალიები, დეიდა ზაირა შეროზია, ბიცოლები ლუბა ზარქუა, სულიკო სალია, ნათესავები და ახლო მეგობრები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მარინა ლონგინოზის ასული ზარქუა-ფიფია

პანაშვიდი 20, 21 II, 14 სთ. დაკრძალვა 22 II, 16 სთ. წალენჯიხა, სოფ. ობუჯი.

## გახსენება



### რუსუდან ძოწენიძე

ორმოცი დღეა, ჩვენთან აღარ ხარ... შენი კეთილი მამის სულს შეუერთდი... თვალცრემლიანი და გულდასეტყვილი დატოვე დედა, და, ქმარ-შვილი, ახლობლები...

არ წყდება შენს ბინაში ტელეფონის ზარი: გკითხულობენ ექიმს... შენ ხომ პაციენტებს დედად გახდომის ოცნებას უსრულებდი... შენი პროფესიონალიზმი, სიმშვიდე, სითბო და იმედიანი ღიმილი იზიდავდა ავადმყოფებს. რამდენი ქალი გახადე ბედნიერი!..

გულმა გიმტყუნა, იმ სათნო გულმა, სიკეთით და სიყვარულით რომ იყო სავსე!..

შენი ორი ვაჟკაცი, ორი ღირსეული შვილი აგრძელებს ამ ქვეყნად შენს სიცოცხლეს... განმეორდები შვილიშვილებშიც...

ძალიან გვენატრები!..

სასუფეველი დაუმკვიდროს ღმერთმა შენს სულს!..

**შენი ოჯახი და ახლობლები**

## განცხადება

**მიმდინარე წლის 22 თებერვალს 15 საათზე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დიდ დარბაზში (რუსთაველის პროსპექტი №52ძ შედგება აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის სხდომა.**

აკადემიკოსი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი კლიმენტი შელია წაიკითხავს ლექციას თემაზე: **„საქართველოს საგარეო-პოლიტიკური ორიენტაციის საკითხისათვის“.**

**აფხაზეთის ა/რ მეცნიერებათა აკადემია**

◉ მოგვმართავენ, გვეკითხებიან

**რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.**

**კითხვა: მიუხედავად იმისა, რომ ღარიბი კი არა, ღატაკი ვარ, შემოწმების შედეგად შესაბამისი ქულა არ მომანიჭეს და ყოველთვიური დახმარება არ დამენიშნა. გადაწყვეტილება გავასაჩივრე, შემპირდნენ, გადავამოწმებთ თქვენს მდგომარეობასო, მაგრამ ამაოდ.**

**გთხოვთ, განმიმარტოთ, „ჩალით არის დახურული ქვეყანა“, რომ მშიერი ვკვდები და ყურადღებას არავინ მაქცევს?**

**რიმა ბეჟაშვილი**



**პასუხი:** საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 იანვარს №6 დადგენილების შესაბამისად, ცვლილება შევიდა თქვენთვის საინტერესო საკითხზე და დამტკიცდა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ ოჯახთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის განმეორებითი შეფასების განაცხადის ფორმა და მისი მიღების, აღრიცხვისა და დამუშავების ინსტრუქცია.

აღსანიშნავია, რომ „ქვეყანაში სიღატაკის დონის შემცირებისა და მოსახლეობის სოციალური დაცვის სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის ზემოაღნიშნული დადგენილებიდან გამომდინარე, როდესაც მოხდება ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური პირობების განმეორებით შემოწმება, ქულის მინიჭების თარიღად მიიჩნევა ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების თარიღი, რომლის საფუძველზეც მას მინიჭებული აქვთ სარეიტინგო ქულა.

**მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 98-96-33.**

**2007 წლის 6 მარტს შპს „საქართველოს ავიახაზები“ აწყობს აუქციონს შემდეგ ქონებაზე:**

1. საჰაერო ხომალდი Ту-154Б. გამოშვების წელი 1983.
2. საჰაერო ხომალდი ЯК-40. გამოშვების წელი 1976.
3. ექვსი ცალი საჰაერო ხომალდის პლანერის ნარჩენები სხვადასხვა კომპლექტაციით.

აუქციონი ჩატარდება შპს „საქართველოს ავიახაზების“ ბუღალტერიის შენობაში 11 სთ-ზე. მონაწილეთა რეგისტრაცია დაიწყება 10:30 სთ-დან.

**მისამართი: თბილისი, თბილისის საერთაშორისო აეროპორტი.**

**რეკლამა**
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-96-32; 899 328576

● კარგი იქნება, თუ მეტრო „ნაძალადევსაც“ ცოტნე დადიანის სახელი მიენიჭება, მეტროს სადგურის წინ, სკვერში კი მოქანდაკე მერაბ მეტრეველის მიერ შექმნილი ცოტნე დადიანის ძეგლი დაიდგმება. ამით ჭეშმარიტად კარგი საქმე გაკეთდება



## კახეთის მხარე

# თბილისელი ფსიქოლოგები — დედოფლისწყაროში

**უკვე რამდენიმე თვეა, დედოფლისწყაროში სრულყოფილი „ქალთა ცენტრი“ მოქმედებს, რომელიც სოციალურად დაუცველ და ძალადობის მსხვერპლ ქალთა ხელშეწყობას ითვალისწინებს. პროექტს მცირე გრანტების პროგრამით ფონდი „ღია საზოგადოება — საქართველო“ აფინანსებს.**



ამ დღეებში „ქალთა ცენტრის“ (ხელმძღვანელი ნათია ჯიყაშვილი) მოწვევით დედოფლისწყაროს რაიონს თბილისიდან ფსიქოლოგები და იურისტები ეწვივნენ. რამდენიმე დღის განმავლობაში ადგილობრივ მანდილოსნებს ინდივიდუალურად ფსიქოლოგიურ კონსულტაციებს უტარებდნენ.

ფსიქოლოგი თეონა ლომთაძე კმაყოფილებას ვერ მალავდა, რომ მოზღვავებული ინტერესის გამო ფსიქოლოგიური კონსულტაცია გათვალისწინებულზე სამჯერ მეტ მოქალაქეს გაუწია: „დედოფლისწყაროელი ქალბატონების ინტერესმა ჩვენს მოლოდინს გადააჭარბა. ძალზე ნაყოფიერი შეხვედრები გვქონდა, უკან ემოციურად დატვირთული ვბრუნდებით, ჯერჯერობით, არ ვიცი, პროექტის ფარგლებში კიდევ თუ მოგვიწევს აქ ჩამოსვლა, მაგრამ ჩვენი შეხვედრების აუცილებლობას ნამდვილად ვხედავ, რაც შემდგომში გაცილებით შედეგიანი იქნება“, — თქვა მან.

წვრთნა-შეკრებაზე მოსული დედოფლისწყაროელი ქალბატონები კმაყოფილებას ვერ მალავდნენ — ამგვარი შეხვედრები ეპიზოდურად კი არა, ინტენსიურად უნდა იმართებოდეს, რაც თითოეულ ჩვენგანს აუტანელ ყოფას გარკვეულწილად შეგვიმსუბუქებს.

**ნანა ჭიჭინაძე,**
**„სრ“ კორ.**

## გვწერენ

# ასე ხომ არ აჯობებს?

**თბილისში ნაძალადევის რაიონი, ე.წ. „ნახალოვკა“, ერთ-ერთი კოლორიტული უბანია. იგი XIX საუკუნის 80-იან წლებში გაშენდა. გასული საუკუნის 60-იან წლებში თბილისში მეტრო რომ გაიხსნა, ამ რაიონში მდებარე ერთ-ერთ სადგურს „ოქტომბერი“ ეწოდა.**

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ნაძალადევში მთავარ ქუჩას „ოქტომბერს“ სახელი გადაარქვეს და სახელოვანი მამულიშვილის ცოტნე დადიანის სახელი უწოდეს, მასზე მდებარე მეტროს სადგურს კი — „ნაძალადევი“.

კარგი იქნება, თუ მეტრო „ნაძალადევსაც“ ცოტნე დადიანის სახელი მიენიჭება, მეტროს სადგურის წინ, სკვერში კი მოქანდაკე მერაბ მეტრეველის მიერ შექმნილი ცოტნე დადიანის ძეგლი დაიდგმება. ამით ჭეშმარიტად კარგი საქმე გაკეთდება.

**დურმიშხან ცინცაძე**

## ინფორმაცია

# მუზეუმის თანამშრომელთა პროტესტი

**უფლისციხის მუზეუმის თანამშრომლები ხელფასებს ითხოვენ. როგორც „ადამიანის უფლებათა ცენტრიდან“ იტყობინებიან, მუზეუმის თანამშრომლებს 1993-2003 წლების ხელფასი დღემდე არ მიუღიათ.**

ცენტრის განმარტებით, მუზეუმის თანამშრომლებმა გაყინული ხელფასების თაობაზე 2003 წელს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელს ნინო ბურჯანაძეს წერილით მიმართეს. ბურჯანაძემ მათი წერილი ფინანსთა სამინისტროს გადაუგზავნა. ფინანსთა მინისტრის მოადგილემ კი მუზეუმის თანამშრომლებს აცნობა, რომ იმ ეტაპისთვის ბიუჯეტში მათთვის თანხები გათვალისწინებული არ იყო.

— ამის შემდეგ სახელმწიფომ სამი ბიუჯეტი დაამტკიცა, თუმცა არც ცენტრალურ, არც ტერიტორიულ და არც ადგილობრივ ბიუჯეტში უფლისციხის მუზეუმის დაფინანსების წყაროები არ გაზრდილა, — აცხადებენ „ადამიანის უფლებათა ცენტრში“.

**ინტერპრესნიუსი**

# გორის ფინანსურ პოლიციაში ახალი უფროსია

**ფინანსურ პოლიციაში საკადრო ცვლილებები განხორციელდა. ფინანსური პოლიციის გორის ბიუროს ხელმძღვანელად გოჩა ჭელიძე დაინიშნა.**

როგორც ფინანსურ პოლიციაში აცხადებენ, ჭელიძემ აღნიშნული თანამდებობა გიორგი კოდოშვილის ნაცვლად დაიკავა.

კოდოშვილი თბილისში, ფინანსურ პოლიციაში ახალ თანამდებობაზე გააგრძელებს მუშაობას.

**ინტერპრესნიუსი**

## ჯანმრთელობა

# ვებრძოლოთ შიდსს!



**საქართველოში შიდსის წინააღმდეგ ეროვნული სტრატეგიული სამოქმედო გეგმა გაეროს ერთიანი პროგრამით განხორციელდება.**

სასტუმრო „თბილისი მარიოტში“ შიდსთან ბრძოლის სამოქმედო სტრატეგიის განხილვას საქართველოს პირველი ლედი სანდრა რულოვსი, ჯანდაცვის მინისტრი ლადო ჭიპაშვილი და გაეროს კოორდინატორი რობერტ უოტკინსი დაესწრნენ.

აღნიშნული პროგრამა გაეროს რვა სააგენტომ შეიმუშავა, რომელიც მიზნად ისახავს შიდსთან ბრძოლის მართვაში ეროვნული შესაძლებლობების განმტკიცებას; უსაფრთხო სისხლის ბანკების შექმნას კონფლიქტის ზონებში; შიდსით დაავადებულთათვის იურიდიული და სოციალური დახმარების გაწევას; სამოქალაქო საზოგადოების მობილიზებას შიდსის მიმართ არსებული სტიგმისა და დისკრიმინაციის დასაძლევად; ეროვნული პროგრამის მიღმა დარჩენილი სოციალურად დაუცველი მოსახლეობის (მიუსაფარი ბავშვების, საბავშვო დაწესებულებების, იძულებით გადაადგილებული პირების, კონფლიქტის ზონაში მცხოვრებ ადამიანთა) დახმარებას.

**ინტერპრესნიუსი**

## ლარის კურსი

### 20 თებერვლიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსი

| | | |
|---|---|---|
| ინგლისური გირვ. სტერლ. | 1 | 3,3409 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 1,7130 ლარი |
| ევრო | 1 | 2,2257 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0,0649 ლარი. |
| აზერბაიჯანული მანათი | 1 | 1,9694 ლარი. |
| სომხური დრამი | 100 | 0,4796 ლარი. |
| უკრაინული გრივნა | 10 | 3,4178 ლარი. |

## ანეკდოტები

ვინც რა და როგორც უნდა თქვას, მაგრამ მსოფლიოში ყველაზე ძვირი უძრავი ქონება — ეს არის პარალიზებული ბილ გეიტსი.

* * *

ღმერთო ჩემო, სამყარო ნამდვილად ჭკუიდან შეიშალა, გარშემო მხოლოდ იდიოტები, გიჟები და ფსიქიურად დაავადებული ხალხია, ამოილაპარაკა ერთმა ძალიან დაღლილმა კაცმა და უცებ გაახსენდა, რომ იგი ფსიქიატრიული საავადმყოფოს მთავარი ექიმია.



* * *

ახალგათხოვილი შვილიშვილი საოჯახო საღამოზე ტრაბახობს:

—თაფლობის თვეზე ქმართან ერთად ჰავაიზე წავედით. მერე ლას-ვეგასში ვიყავით, იქიდან ბადენ-ბადენში გადავინაცვლეთ. მერე კი... ბებო, რად ხარ გაჩუმებული? შენ და ბაბუაჩემმა სად გაატარეთ თაფლობის თვე?

— საძინებლის საწოლში!

* * *

თანამედროვე ავტომობილში ყველაფერი წვრილმანებამდეა გათვლილი. ჩაგეძინა საჭესთან? — ბახ და, თავი უკვე ბალიშზე გიდევს.

* * *

„ვესტის“ ახალი ამბებიდან: გუშინ რუსმა მაშველებმა ჩაატარეს მოგლეჯილი ყინულის მასივიდან მეთევზეთა მოხსნის ოპერაცია. ყველაზე მეტი მეთევზე სნაიპერმა ივანოვმა მოხსნა.

## კადრი



ჯემალ კასრაძის ფოტო

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
აიწყო და დაკაბადონდა „გამომცემლობა მაქსიმუმში“.
მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 93-50-22.
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები

გამომცემელი — შპს „თანადგომა-1“
ქიზიყის 14
ტ: 899 797679; 98-96-32

მთავარი რედაქტორი ალეკო ასლანიშვილი
მორიგე რედაქტორი ოთარ ტურაბელიძე

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
მთავარი რედაქტორი: 98-96-34.
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: 98-96-33.
სარეკლამო განყოფილება: 98-96-32; 899 328576

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე აკრეფილი 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.